ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი

1981

3

(66)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოროხი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

გამოცემის 23-ე წელი

3

1981

მაისი
ივნისი

გათუმი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲝᲭᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ

ᲕᲐᲡᲢᲐᲜᲒ ᲐᲐᲙᲣᲜᲘᲫᲔ — 3 საბჭოთა აჭარა 60 წლისაა.

ᲤᲠᲘᲓᲚᲝᲜ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ — 12 დვას საქართველო... (ლექსი)

ᲐᲠᲩᲘᲜ ᲚᲝᲠᲘᲐ — 13 ძველი ნანაწერების კვალდაკვალ

ᲯᲔᲕᲐᲚ ᲯᲐᲧᲔᲚᲘ — 36 საზეიმო (ლექსი)

ᲘᲝᲡᲘᲐᲠ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ — 37 მამია აბაშიძის ოქროს ვარსკვლავი (ნარკვევი)

ᲨᲐᲠᲚᲐᲮ ᲨᲣᲨᲐᲚᲐᲫᲔ — 42 ოქტომბერს (ლექსი)

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲫᲔ — 43 რევკომის თავმჯდომარე

ᲛᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲚᲔᲑᲘᲗᲘᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲟᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ — 46 მახვილსაგრელი პირველი კომუნისტები

ᲘᲣᲡᲣᲤ ᲮᲐᲠᲐᲖᲛᲘ — 52 როცა იმ დღეებს ვიგონებ

ᲨᲝᲗᲘᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ — 55 ნასაკირალი... ნასაკირალი...

ᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ — 57 მემედ გოგიბერიძის რაზმიც იბრძოდა

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲚᲘᲠᲐᲫᲔ — 59 ლექსები

ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲒᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐ — 62 ბახარაზოში (მოგონებათა წიგნიდან)

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲐᲙᲘᲫᲔ — 71 ლექსები

ᲚᲐᲚᲘ ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲫᲔ — 72 ნაზიმ პიქმეთი ბათუმში

ᲞᲝᲚ ᲔᲚᲣᲐᲠᲘ — 76 ჩვენ ვარსებობთ (ლექსი თარგმნა ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ)

78 ქართველი რეკისტი უკრაინაში (უკრაინულიდან თარგმნა ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ)

ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ — 83 პერებულთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში

ᲒᲘᲪᲘ ᲒᲐᲕᲠᲔᲯᲔᲚᲘ — 90 მოჭალარაკე ილიშება

94 გასულ ორ თვეში

გარეკანის მე-2 გვერდზე — „შრომის ზეიმი“. ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲜᲨᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲔᲓᲣᲠᲝᲑᲐ.

გარეკანის მე-3 გვერდზე — „დილა მენავთობეთა დაბაში“. ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ.

ჟურნალი გააფორმა ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲚᲝᲛᲐᲫᲔᲛ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲜᲘᲐ.

საბჭოთა აჭარა 60 წლისაა

ვასტანგ ჯაჯუნიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

17140

გაზაფხულის ამ ულამაზესი თვის — შრომის, მშვიდობის, გამარჯვების მაისის დაუვიწყარ დღეებში დიდი და ნათელი დღესასწაული დგას საქართველოს მიწა-წყალზე — რესპუბლიკის მშრომელები ჩვენი დიადი ქვეყნის მოძმე სალხებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავენ დიდ ისტორიულ თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის საბელოვან 60 წლისთავს. დიდი დღესასწაული აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც ეწვია. საბჭოთა აჭარა თავისი 60 წლისთავის იუბილეს ზეიმობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული მზიური აჭარის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს შრომისა და ბრძოლის იმ საბელოვან გზას, რომელიც მათ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით განვლეს.

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე მეტად ძნელი ამოცანების გადაწყვეტა მოუხდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ აჭარამ წარსულში რთული ისტორიული გზა განვლო. ბუნების დაუსრულებელმა თარეშმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ამ უძველესი კუთხის ეკონომიკას და კულტურას, მის მკვიდრთ ბევრჯერ ემუქრებოდა ფიზიკური განადგურება და გადაგვარება. მხოლოდ 1878 წლის აგვისტოს, რუსეთის ჯარების ძმური დახმარებითა და ქართველ მამულიშვილთა გმირული ბრძოლის შედეგად, შესაძლებელი შეიქმნა სამხრეთ საქართველოს ნაწილის — ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების დედასაქართველოსთან შეერთება, ოსმალთა 300-წლიანი ბატონობის შემდეგ აჭარის განთავისუფლება.

ისტორიამ შემოგვინახა ჩვენი კუთხის მგზნებარე მამულიშვილთა სახელები, იმათი ღვაწლი, ვინც საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს კეთილდღეობას ანაცვლებდნენ, უპირველესად ესენი იყვნენ სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები, ახმედ კიკნაძე, ილიას ხელაძე და მრავალი სხვა. განსა-

კუთრებით ტრაგიკული იყო სელიმ ხიმშიაშვილის ბედი. უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილ სელიმს, როდესაც თავს ჰკვეთდნენ, თურმე ასე უთქვამს: თქვენ შეიძლება თავი მომკვეთოთ, მაგრამ აჭარა თავის დედას — საქართველოს მაინც შეუერთდებაო! ეს სიტყვები მართლაც დიდებულად ახდა!

თუ თვალს გადავავლებთ იმ დროის ქართულ პერიოდულ პრესას, გადავფურცლავთ ჩვენს გაბოჭენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რაწარმოებებს, უფრო ნათლად წარმოვიდგენთ იმ დიდ აღფრთოვანებას, რომელიც ქართველ ხალხში აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნებამ გამოიწვია.

აი, რას წერდა იმ დღეებში ილია ჭავჭავაძე: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენი ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო ჩვენ დღეს შემოგვიერთდა“.

დღის წესრიგში დგებოდა ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ეკონომიკურად და კულტურულად უაღრესად ჩამორჩენილი კუთხისათვის ძმური დახმარების ხელის გაწევა, განსაკუთრებით საზრუნავი იყო ხალხის სულიერი ცხოვრება, სწავლა-განათლების საკითხი.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დაუღალავი ზრუნვა აჭარისადმი არც მომდევნო წლებში შენელებულა. შინაური თუ გარეშე მტრების ცდებმა — კვლავ მოეწყვიტა საქართველოსაგან აჭარა — მარცხი განიცადა. სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ამ კუთხის შვილთა — მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, გულოლა კაიკაციშვილის, მემედ ჭყონიასა და სხვათა ღვაწლს, მათ პატრიოტულ საქმეებს. ისინი ყოველი საშუალებით იბრძოდნენ ამ მხარეში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და კანმტკიცებისათვის, დედასაქართველოსთან განუყრელი კავშირისათვის.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ისევე როგორც მთელს საქართველოში, აჭარაშიც, კერძოდ, ბათუმში, ფართოდ გაიშალა მუშათა მოძრაობა. ჩვენ ვვეამაყება, რომ აჭარა მხარეა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისა, რომელთაც მაღალ შეფასებას აძლევდა პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ბათუმის მუშათა მოძრაობამ მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით 1901 წლის დეკემბერში შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. იმ პერიოდში ვ. ი. ლენინის ნაწერებში ჩნდება ბათუმის რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის შეფასება. კერძოდ, 1901-1903 წლების საგაფიცვო მოძრაობასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: „კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი და ბათუმი, მათი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებით და მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტა-

რიაცით, ამ მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები“. განსაკუთრებით საგულისხმოა ლენინური „ისკრის“ 1903 წლის 43-ე ნომერი, რომელშიც ვკითხულობთ: „მუშათა მოძრაობის არცერთ ძველ ცენტრებში — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბრძოლაში, 1902-1903 წლების ძიელ სააგიტაციო პერიოდში არ მოხერხდა მოგვეწყო თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი დემონსტრაცია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის კომიტეტი. სწორედ ამიტომ ბათუმის კომიტეტს უფლება აქვს მიულოცოს თავის თავს მიმდინარე წლის 9 მარტის დემონსტრაცია“.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსეთში გაზეთ „ისკრის“ გავრცელებას. ბათუმი იყო საზღვარგარეთიდან „ისკრის“ შემოტანის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი. ჩვენს ქალაქში გაზეთი მარსელიდან ჩამოჰქონდათ. მარშრუტი მარსელი-ბათუმი უშუალოდ ვ. ი. ლენინის მიერ იყო შედგენილი.

1905 წლის რევოლუციის დროსაც ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა ბათუმის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას. ამის დამადასტურებელია პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის აზრი ჯავშნოსან „პოტიომკინის“ ბათუმში წამოსვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, „პოტიომკინის“ ეკიპაჟი 1905 წლის ივნისში აჯანყდა. ცენტრალურმა კომიტეტმა ოდესაში სპეციალურად მიავლინა თავისი წარმომადგენელი და აჯანყებულებს ავალებდა დესანტით ოდესის დაუფლებას, ხოლო თუ ეს არ განხორციელდებოდა, მაშინ, ჯავშნოსანი ბათუმისკენ უნდა წამოეყვანათ, რადგან ბათუმი, როგორც რევოლუციური ბაზა, მთელი შავი ზღვის სანაპიროზე ყყელაზე უფრო საიმედო რაიონი იყო.

„პოტიომკინის“ ბათუმში ჩამოსვლა და აქაურ რევოლუციონერებთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრება დიდ გავლენას მოახდენდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება არ მოხერხდა.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეებიდან ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარია ნასაკირალის ცნობილი შეტაკება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დათიკო შევარდნაძისა და კიკია მამულაიშვილის ხელმძღვანელობით. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აჯანყებულთა რიგებში აჭარის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. მათი რაზმის უფროსი მეშედ ჯოგიბერიძე იყო.

მართალია, შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან დიდად აამაღლა მშრომელთა პოლიტიკური შეგნებულობა და დარაზმულობა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ 1917 წლის ოქტომბერში დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მშრომელებზე. ბათუმის ბოლშევი-

კური ორგანიზაცია, საქართველოდან ერთ-ერთი პირველი, მხურვალედ ეხმაურა საბჭოთა მთავრობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა აჭარაში მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ეს კუთხე საკმაო ხნით ოკუპირებული იყო უცხოელი დამპყრობლების — თურქების, გერმანელების, ინგლისელების მიერ, რომლებმაც აჭარა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს.

მენშევიკური მთავრობის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა სულ უფრო ძლიერდებოდა. ქვეყანა საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის 1921 წლის 16 თებერვალს შეიქმნა რევკომი, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა მთავრობას. 25 თებერვალს აჯანყებულები დასახმარებლად მოსულ მე-11 წითელი არმიის ნაწილებთან ერთად თბილისში შევიდნენ. საქართველოს დედაქალაქის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა.

მენშევიკური მთავრობა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში გადმოვიდა, მაგრამ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მშრომელი ხალხის ნება-სურვილს წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ შემოაბრუნებდა.

1921 წლის 18 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მენშევიკური მთავრობა უცხოეთში გაიქცა, ქალაქში კი თურქეთის ჯარი იდგა. ამ დროს ბათუმში შემოვიდნენ მე-11 წითელი არმიის ნაწილები. მათი დახმარებით რევკომის მებრძოლმა რაზმებმა საბოლოოდ გაანთავისუფლეს აჭარა ინტერვენტებისაგან, შეიქმნა ბათუმის საოლქო რევკომი სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში და კერძოდ აჭარაში ამავე დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალური იდეების გამარჯვება იყო და იგი გამოჭედეს ქართველმა ბოლშევიკებმა რუსი და სხვა სალხების ძმური მხარდაჭერითა და დახმარებით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე აჭარის რევკომმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია ხალხის ხელისუფლების განსამტკიცებლად, სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ამ რთული ამოცანის გადაჭრაში ფასდაუდებელი როლი ითამაშა ვ. ი. ლენინის ისტორიულმა მითითებებმა საქართველოს კომუნისტებისადმი. იმ მითითებების საფუძველზე, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად შესაძლებელი გახდა აჭარის სწრაფი სამეურნეო და კულტურული ღაწინაურება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საკითხი, მრეწველობის აღდგენა და განვითარება, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ

საფუძველზე. ვ. ი. ლენინი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოსა და კერძოდ ჩვენი კუთხის პირველ ნაბიჯებს ახალი ცხოვრების მშენებლობის ძნელ გზაზე, მიუთითებდა მთელი რიგი ღონისძიებების აუცილებლობაზე ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ საქმეში ბელადი განსაკუთრებულ როლს ქალაქ ბათუმს ანიჭებდა.

1921 წლის მარტში ვ. ი. ლენინი პარტიის X ყრილობის დელეგატებს მიმართავდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ".

მოვლენათა შემდეგმა მსვლელობამ შესანიშნავად დაადასტურა დიდი ბელადის წინასწარმეტყველური სიტყვები.

სამეურნეო ამოცანებთან ერთად დღის წესრიგში დგებოდა კულტურული რევოლუციის საკითხი, აჭარის საბჭოების III ყრილობაზე, 1928 წლის 29 იანვარს, სერგო ორჯონიკიძე ამბობდა: „ჩვენი უდიდესი ამოცანაა აჭარა აღვადორძინოთ კულტურულად, ეკონომიურად, მივცეთ პოლიტიკური შეგნების გაქანება... აღორძინეთ აჭარაში კულტურა, შექმენით მჭიდრო დამოკიდებულება სოფელსა და ქალაქს შუა, აღზარდეთ ახალგაზრდობა და მაშინ გვექნება უფლება ვთქვათ: მოდით და ნახეთ ჯლეხი, მოდით და ნახეთ ჩვენი აჭარა, ნახეთ და დარწმუნდით ჩვენს საქმიანობაში".

სოციალისტური წყობილების პირობებში ისტორიულად მოკლე დროში აჭარაში შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, აღორძინდა კულტურა, მეცნიერული აზრი, ლიტერატურა, ხელოვნება.

ვინც თვალს გადაავლებს პირველი ხუთწლედების მატიანეს, მისთვის ნათელი გახდება ის დიდი შემოქმედებითი შრომა, რაც აჭარის მშრომელებმა გასწიეს ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. გავიხსენოთ აჭარის მრეწველობის სიამაყე, პირველი ხუთწლედის პირმშო — ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, აწჰესი, რომელიც ზაჰესთან ერთად გვერდში ამოუდგა გოელროს პროგრამის პირველ მერცხალს — ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურს. ეს იყო საბჭოთა აჭარის ახალი ცხოვრების, ახალი სინამდვილის მძლავრი ნაბიჯები.

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა. ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად დადგნენ საქართველოს შვილებიც. მარტო აჭარიდან დიდ სამამულო ომში 24 ათასზე მეტი კაცი წავიდა, მათ შორის 600-მდე ქალი იბრძოდა ცეცხლის მოწინავე ხაზზე. აჭარის წარგზავნილებიდან 7.423 კაცი დაიღუპა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მათ შორის ამ კუთხის პირველი საბჭოთა კავშირის გმირი, მახინ-

ჯაურელი ჭაბუკი ისრაფილ ჯინჭარაძე. გმირები არ კვდებიან, მათ სახელს ხალხი წმინდად ინახავს.

ომისშემდგომი წლები აჭარაში თვალსაჩინო წარმატებების, ნამდვილი შრომითი გმირობის დაუვიწყარი წლებია.

დღეს აჭარის სამრეწველო საწარმოები უშვებენ რთულ ხელსაწყოებსა და მანქანა-დანადგარებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგალითად, აჭარაში დამზადებული სხვადასხვა ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ელექტროკარები, კვების მრეწველობის მანქანები იგზავნება ბულგარეთში, რუმინეთში, კუბაში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და უცხოეთის სხვა მრავალ ქვეყანაში, აქვე დავბენთ, რომ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წილი მთლიან პროდუქციაში 20 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ბათუმს სამართლიანად უწოდებენ რესპუბლიკის საზღვაო ჭიშკარს. 14 წელი გავიდა დიდი კომპლექსური საზღვაო-სატრანსპორტო ორგანიზაციის — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნიდან. მართალია, ეს დიდი დრო არ არის, მაგრამ ქართველმა მეზღვაურებმა უკვე ბევრა სასახელო საქმე გააკეთეს.

დიდ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად გადიდდა საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წილი. აჭარის მწვანე პლანტაციათა მშრომელები, ჩვენი მეჩაიეები და მეციტრუსეები ღირსეულად აგრძელებენ რესპუბლიკის სახელოვან ტრადიციებს, მათ სასახელოდ, ვადაზე ადრე გაანაღდეს მეათე ხუთწლედის დავალებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კულტურის, განათლების განვითარებისათვის. ახლა ჩვენი რესპუბლიკა დაფარულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ჯანმრთელობისა და საკურორტო-გამაჯანსაღებელი კერების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო ქსელით.

საბჭოთა კონსტიტუციის მზის ქვეშ ჰყვავის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის მომავალსაც თვით მისი შრომისმოყვარე ადამიანები სჭედენ. ისინი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თავდადებით შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა, XI ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. ეს ადამიანები ჩვენი სიამაყეა. ისინი ბევრი არიან, მაგრამ ზოგიერთი მათგანს მაინც დავასახელებთ. ესენი არიან პარტიის XXVI ყრილობის დელე-

გატები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე გუგული ჭანიძე და ბათუმის ვეშთსაშენი ქარხნის მუშა აფრასიონ დარსალია, ესენი არიან ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ხარატი ვლადიმერ დოლიძე და ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამია აბაშიძე, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად სწორედ XXVI ყრილობის დღეებში მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი ამბობდა, თუმცა აჭარის რესპუბლიკა არ არის დიდი, მაგრამ მას უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვსო. აჭარას სამართლიანად უწოდებენ 80 ძმის რესპუბლიკას, დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მხარეს.

აჭარის მშრომელთა ძმურ მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე რომ შეიქმნა, ქართველებთან ერთად აერთიანებდა რუსებს, სომხებს, ბერძნებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ისინი ერთად იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

ეს სახელოვანი ტრადიცია განაგრძო აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ და დღეს ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი საერთო წარმატებების, ჩვენი გამარჯვებების ჭეშმარიტი საწინდარია.

ჩვენს დროში ხალხთა ლენინური მეგობრობა გაცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო მოვლენად იქცა. 1964 წლიდან მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგის მშრომელებს შორის. სისტემატურად იგზავნება დელეგაციები, რომლებიც ეცნობიან აჭარისა და ბლაგოევგრადის ოკრუგის მშრომელთა წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, იხილავენ პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილებას, ეწყობა შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა. ამ მეგობრობას ორივე მხარისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

საბჭოთა აჭარის სახელოვან იუბილეს, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები ზეიმობენ, რადგან ეს ზეიმი მარტო აჭარის დღესასწაული როდია, იგი მთლიანი საქართველოს დღესასწაულია, მასში შემავალი ყველა რეგიონის, ყველა სოფლისა და ქალაქის დღესასწაულია. და მაინც, ამ ქალაქებიდან განსაკუთრებით ვვინდა გამოვყოთ ერთი ქალაქი, რომელსაც ქართველი ხალხი დედას უწოდებს. დიახ, განუზომელია თბილისის, მის საბელოვან შვილთა ღვაწლი ჩვენი კუთხისადმი. ასე იყო წარსულში, ასე არის დღესაც. და სწორედ ამიტომ გადაიქცა აჭარაში შარშან გამართული თბილისის დღეები ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის ჭეშმარიტ

დღესასწაულად. ბევრი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა იმ დღეებში აჭარაში, მათ შორის ის, რომ ბათუმში, კინოთეატრ „თბილისის“ წინა მდებარე სკვერში დაიდგა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი, რომლის ავტორი მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი გახლავთ.

გალაკტიონ ტაბიძეს ჩვენი კუთხე განსაკუთრებულად, შთაგონებით უყვარდა, აქ შექმნა თავისი შესანიშნავი ლექსების წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ასევე არაერთი ბრწყინვალე სტრიქონი მიუძღვნეს აჭარას გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა და სხვა ცნობილმა პოეტებმა. გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „საბჭოთა სისტემამ... ეს ულამაზესი ნაწილი საქართველოსი ისე შესცვალა, რომ უწინდელი აჭარის მნახველს მისი ცნობა გაუჭირდება“... და რა ბევრი სიკეთე ცვლილება მოხდა აჭარაში ამ სიტყვების თქმის შემდეგ, ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გაგვიჭირდება.

საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მასძილზე, ლენინური იდეების განხორციელების შედეგად, აჭარა ჩამორჩენილი კუთხიდან მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. ამ წინსვლის, ამ წარმატებების სიმბოლოა ავტონომიური რესპუბლიკის დროშაზე მოკიდებული სამი ორდენი, აგრეთვე ბოლო წლებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების აღსანიშნავად მიღებული შვიდი წითელი დროშა.

ეს წარმატებები, ჩვენი ყველა მიღწევა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ეს მიღწევები იმ დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ნაყოფია, რომელსაც აჭარის პარტიული ორგანიზაცია ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სისტემატური ხელმძღვანელობითა და ზრუნვით.

აჭარისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სისტემატური ზრუნვის საილუსტრაციოდ ბევრი ძაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. ამ ბევრიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1979 წლის თებერვლის ჟენშარიტად ისტორიული ღადგენილება მთიანი აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ.

ჩვენი წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა იმ პოზიტიური ძვრების გარეშე, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა საქართველოში და რომლებიც სათავეს იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

დღეს ყველა ხედავს, რომ საქართველოში საქმე კარგად მიდის, მაგრამ როგორც ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, წინ „ბევრი საქმე მოგ-

ველის, დიდია, რთულია გადასაწყვეტი ამოცანები, მაგრამ ჩვენ გადავწყვეტთ მათ, და გადავწყვეტთ აუცილებლად.

დიახ, საბჭოთა ადამიანები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნებიერთა თავდაჯერება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომით შექმნა, საკუთარი სისხლით დაიცვა, და ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს შრომის ძალა, იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი პარტია, ვიცით, რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს, ერთადერთი სწორი გზაა!“

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ავჭარის მშრომელები კვლავაც გაამრავლებენ წარმატებებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა, XI ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას საქართველო...

სამოცო წელო, დიდო და ვრცელო,
ხან ტკბილო, ხანაც მწარევ და ძნელო,
მადლობასავით დგას საქართველო,
შენს დასალოცად, შენს სადღეგრძელოდ

შენაც, აჭარის სისხლო და ცრემლო,
ჯანო ახალო, ტკივილო ძველო,
დღეს ვაჟკაცურად და სასახელოდ
თქვი:
მადლობა შენ, სამოცო წელო!

უთხარ მადლობა ამ ბედისწერას,
რომ მოგირჩინა მწარე ნაღველი,
უთხარ მადლობა დღეის სიმღერას
მღვრიე წარსულის მძიმე სახელით.

უთხარ მადლობა სამშობლოს ველთა,
გამარჯვებათა ახალთა, ძველთა,
შინ‌მოსულთა და შინმოუსვლელთა,
მოსულიშვილთა, ჯინჭარაძეთა
გაუხუნარ და ამაყ სახელით.

სახელით ხნიერ ჩვენებურ მიწის,
კარგი შვილების დაზრდა რომ იცის,
უთხარ მადლობა ყვავილს და ნაყოფს,
ჩვენთვის სიუხვე რომ გაიმეტა.
ჩვენი ოცნების კარები აღოს
კვლავ სიყვარულმა, ძმობამ, იმედმა.

პარმენ ლორია

ძველი ჩანაწერების ძვალდაძვალ

მწერალ პარმენ ლორიას არქივში სხვა დოკუმენტებთან ერთად ინახება რამდენიმე მცირე ზომის ბლოკნოტი და რვეული დღიურის სახის ჩანაწერებით, რასაც ავტორი 1924-1936 წლებში აჭარის მთიანეთში მოგზაურობისას აწარმოებდა. ამ მოგზაურობას განსაკუთრებული საგანმანათლებლო და კულტურული მიზნები ედო საფუძვლად. მწერალი ამ დროს იყო მცირე აგიტბრიგადის ჯგუფის ხელმძღვანელი და ჩანაწერებიც უმეტესად ამ აგიტბრიგადის მოგზაურობასა და საქმიანობას შეეხება.

1924-1936 წლები საბჭოთა აჭარის ისტორიაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნების პერიოდია. ახალი, საბჭოური ცხოვრების დამკვიდრებას გარკვეული სიძნელეები უშლიდა ხელს. უნდა აღმოფხვრილიყო ხალხის შეგნებაში საუკუნეობით ჩანერგილი დრომოჭმული ადათ-წესები და მშრომელები განათლებისა და კულტურის ყველა სიკეთეს უნდა ეზიარებინათ.

მამულიშვილობა, ხალხისა და საქმის ერთგულება და სიყვარული კარნახობდა ადამიანებს, არ დარიდებოდნენ ამ სიძნელეებს და საქვეყნო საქმისათვის ეზრუნათ, თავიანთი წვლილი შეეტანათ სოციალისტური სახელმწიფოს შენების საქმეში.

ის აგიტბრიგადები, რომლებიც 1924-1936 წლებში აჭარის მთიანეთში მოგზაურობდნენ, სწორედ ამნაირი ენთუზიასტებისაგან შედგებოდა. ისინი დიდ როლს თამაშობდნენ მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის მონაცემებიც, რომლებიც პარმენ ლორიას გაუკეთებია თავის დროს და ამჟამად მის პირად არქივში ინახება.

ცხოვრების უკანასკნელ წლებში მწერალს ამ მასალების საფუძველზე შეუდგენია ნარკვევი — „იმ დროის აჭარის მთიან რაიონებში“ (აქვს მეორე სათაურიც — „აჭარის მთიანი რაიონების სოფლებში. დღიურებიდან ამონაწერი“) და მისი დაბეჭდვა განუზრახავს. ძირითადად იგი მასზე მუშაო-

1977 წელს, როდესაც ხშირად ავადმყოფობდა და ხელიც არ ემორჩილებოდა. რამდენადაც ჩანს, მწერალი არ უნდა ყოფილიყო სავსებით კმაყოფილი თავისი ნაშრომის ლიტერატურული მხრით. ეტყობა, მერე კვლავ უცდია მისი დამუშავება, მაგრამ არ დასცალდა. ამდენად, დარჩა ეს ნარკვევი ფართო საზოგადოების გაცნობის გარეშე. მასში კი იმდენი ფაქტობრივი მასალაა მოცემული და იმდენი პირია მოხსენებული, რომლებმაც ღვაწლი დასდეს აჭარის მთიანი რაიონების კულტურული ცხოვრების განვითარებას, რომ ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ მასალის გაშოშხეურება.

ნარკვევი „იმ დროის აჭარის მთიან რაიონებში“ იწყება მოგონებით, როშელიც უშუალოდ არ ეხება აგიტბრიგადის საქმიანობას, მაგრამ მას ერთგვარი ლიტერატურული შესავლის ფუნქციები აქვს დაკისრებული.

მთელი ნარკვევი რამდენიმე პატარ-პატარა დასათაურებული თავისაგან შედგება, მაგრამ ზოგან სათაური გადაშლილია და მხოლოდ თავისი ნუმერაციაა დარჩენილი. კარგად ჩანს, რომ ავტორს უცდია ნარკვევს კომპოზიციურად ლიტერატურული სახე ჰქონოდა.

თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთს დიდად აფასებდა მწერალი. როგორც თვით ნარკვევიდანაც ნათლად ჩანს, იგი ამ პერიოდს, მაქსიმ გორკის ანალოგიით, თავის სკოლასა და უნივერსიტეტს უწოდებს.

პუბლიკაცია მოამზადა მწერლის შვილმა — პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ალექსანდრე ლორიამ.

აჭარელი ბიჭი

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ ერთ ადგილას ჩაქურაში გამოწყობილი ბიჭი იყო ჩახატული. „აჭარელი ბიჭიო“, ეწერა ქვემოთ.

მაშინ მეც პატარა ბიჭი ვიყავი — შვიდი-რვა წლის, მაგრამ არა ჩაქურაში გამოწყობილი, უბრალო ტილოს ტანსაცმელი მეცვა.

დამაინტერესა ამ აჭარელი ბიჭის ვინაობამ. იქვე მოკლედ მოთხრობილი იყო აჭარის წარსული, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მასწავლებელმა იერემია თევზაძემ უფრო ვრცლად და საინტერესოდ გვიამბო ამ კუთხის ისტორია.

შემებრალა „დედა ენაში“ ჩახატული ბიჭი, შემიყვარდა იმდენ ვაივაგლახგამოვლილი აჭარა.

თერთმეტი წლისამ დავამთავრე ჩვენი სოფლის ერთკლასიანი სასწავლებელი და „სწავლის გასაგრძელებლად“ ჩაქვის საუფლისწულო მეურნეობაში ჩაის მკრეფავთა „უნივერსიტეტში“ განვაგრძე მუშაობა. დილის 6 სათიდან საღამოს 6 საათამდე „ვსწავლობდი“ ჩაის კრეფას.

აქ ბევრი აჭარელი ბიჭი გავიცანი. მართალია, მათ ჩაქურას ნაცვლად დაკერებული შარვალი და ბლუზი ეცვათ, მაგრამ მე მაინც ჩაქურიანებად მეჩვენებოდა ყველა. ისინი მახლობელ სოფლებიდან ჩამოდიოდნენ. თან ჩამოჰქონდათ დღის სამყოფი მჭადი, ყველი, და საღამომდე ჩემთან ერთად მუშაობდნენ.

გულკეთილად და მეგობრულად ვეპყრობოდით ერთმანეთს. მიყვარდა ყველა, ისე, როგორც იმ „დედა ენაში“ ჩახატული „აჭარელი ბიჭი“, მაგრამ ყველაზე უფრო პატარა ასლან გოგაძემ შემაყვარა თავი. იგი ერთი წლით ჩემზე უმცროსი იქნებოდა, მაგრამ ჩაის კრეფაში მჯობნიდა. მამამისი, რეჯებ გოგაძე, თოხით მუშაობდა ცალკე ნაკვეთში და ხშირად მოინახულებდა შვილს. სადილს ერთად ჭამდნენ, ერთად ისვენებდნენ, სახლშიაც ერთად მიდიოდნენ.

ზაფხულის ერთ მხურვალე დღეს, როცა სადილობის მაუწყებელი ზარი დაჰკრეს და ყველამ სამუშაო მივატოვეთ და სადილის საჭმელად ჩრდილს მივაშურეთ, რეჯები შვილთან მოვიდა, მაგრამ ჩვეულებრივ სადილი არ მოუტანია. დაისვა გვე-, რდით ჩვენგან მოშორებით და საუბარი დაუწყო.

ასე მოიქცნენ მეორე, მესამე დღესაც, და ამან ძალიან დამაინტერესა.

— ასლან, თქვენ რატომ არ სადილობთ? — შევეკითხე მე, როცა მუშაობა დაიწყეთ ისევ.

— რამაზანია და იმიტომ. — მიპასუხა ბიჭმა.

— რამაზანი? — არ გამეგონა ასეთი სიტყვა.

— ჰო, რამაზანია... მარხვა... გიაურებმაც ხომ იცით მარხვა?

— მარხვა ვიცით, მაგრამ... საჭმელი რომ არ ვჭამოთ სულ, ხომ დავიხოცებით?

— საჭმელს ელბეთ ჩვენც ვჭამთ, მაგრამ რომ დაღამდება, ცაზე რომ ვარსკვლავი აღაჭაჭდება.

— მერე, როგორ ძლებთ ამდენ ხანს მშიერი?

— მშიერი? მშიერი მეტ ხანსაც გავძლებ... უჰ, ახლა ერთი ყლუპი წყალი მასვა და... — წყაროსკენ გაიხედა.

— როგორ, წყლის სმაც გეკრძალებათ?

— აბა არა? მარტო პირში გამოვლების უფლება გვეძლევა. ჩაყლაპვა აკრძალულია...

— რომ ჩაისხა პირში და არ გადმოლვარო, რა იქნება?

— რაფრა შეიძლება?! ალაჰი ხომ ყველაფერს ხედავს?

ახლა გამახსენდა, როგორ „ვინახავდით“ ჩვენი სკოლის მოსწავლეები მარხვას, როგორ ვატყუილებდით მოძღვარსა და წმინდანებს ჩვენი „ერთგულებით“.

— ასლან, იცი რა... მოდი, პირში გამოსავლებად წყალი ბლომად ჩაისხი, მეტი ნაწილი გადაყლაპე, ცოტა გადმოლვარე. ასე ერთხელ, ორხელ, სანამ წყურვილს მოიკლავ. რამდენი ჩაისხი და რამდენი გადმოლვარე, ამას ვერც ალაჰი მიხვდება და ვერც მამაშენი. მოსინჯე ერთი, დამიჯერე!

— დაგიჯერებ, ჭოვ, მარა... იცი რა, ბაბაიას არ უთხრა, არც სხვას...

პირობა მივეცი.

იმ დღიდან ასლანი წყურვილს აღარ შეუწუხებია.

* * *

გრძელი და უსასრულოა ცხოვრების გზა, ზოგან სწორი და პირდაპირი, განიერი, ზოგან მიხვეულ-მოხვეული, ახორგილ-ჩახორგილი და ძნელად გასავლელი. მე ეს უკანასკნელი მარგუნა ბედმა. ჩაიში მუშაობის შემდეგ გემების მტვირთველთა არტელში გავაგრძელე „სწავლა“, ხოლო ამის შემდეგ რუსეთში წავედი და ცემენტის ქარხნების „უნივერსიტეტში“ დავიწყე „მეცადინეობა“. იქ ყველაზე მძიმე საგნის ჩაბარება მელოდა, მაგრამ „მიშველა“ კურთხეულმა მეფემ. ჩემი „დაწინაურება“ ისურვა და სამხედრო სამსახურში დამაწყებინა „სწავლა“...

...ერთხელ ბათუმში ამხანაგთან ერთად ჯარისკაცის ფარაჯით ვარ კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული. ბათუმის დასაცავად წამოგვიყვანეს.

მოშიებულნი სასადილოში შევედით, მაგიდას მივუჯექით და კერძი მოვითხოვეთ. ის იყო სადილს შევექეცით, და მსახურმა ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა და მაგიდაზე დაგვიდგა.

— იმ ახალგაზრდებმა გამოგიგზავნეს, — გვითხრა მან და მახლობელ სუფრას-თან მყოფ ახალგაზრდებზე გვანიშნა.

გამომგზავნთ მადლობა გადავუხადეთ, მაგრამ წესის მიხედვით სამაგიეროს ხომ ორმაგი ესაჭიროებოდა?

ჩვენ კი უკანასკნელი გროშებიც უნდა გავიღოთ მორთმეულ კერძში.

— გმადლობთ, ამხანაგებო, გმადლობთ, მაგრამ... — ვაგრძნობინე ჩვენს პატივისმცემლებს, რა გასაჭირშიაც ვიყავით.

— საჭირო არაა, — წამოდგა ერთი ახალგაზრდა და ჩვენთან მოვიდა, — შეიძლება შემეშალა. დიდი ხანია მას შემდეგ, მაგრამ... იგიც ისე ჩოფურა იყო... ჩაქვის ჩაის მეურნეობაში გიმუშავია?

— საუფლისწულო მამულში? — ვეკითხები მე.

— ჰო, ჩაი თუ გიკრეფია?

— მიკრეფია... დაახლოებით შვიდი-რვა წლის წინათ იყო ეს.

— ჰო, ჰო, მართალია!.. იგი ხარ!.. შორიდან შეგიცანი. — და მომეხვია. — არ გახსოვს, რომ გამაგიაურე? რამაზანის დროს წყალის სმა მასწავლე? — იღიმება იგი.

— აჰ, ასლანაი ხარ, ბიჭო?.. ჩემი აჭარელი ბიჭი? — ახლა მე ჩავიკარი გულში.

— არ გახსოვს, ერთხელ რომ წაგიყვანე და ბექმეზი გასვი? ახლა აღარ ვსვამ ბექმეზს. მთლად გავგიაურდი და აგია!.. ბაბა მომიკვდა, მე და ნენეი ვუძღვებით ოჯახს. უნდა მესტუმრო ერთხელ. — და კვლავ მომეხვია.

იმ დღეს ძალიან ტკბილად დამთავრდა ჩვენი საუბარი. მე შევპირდი და ისიც შემპირდა, რომ ერთმანეთს ვესტუმრებოდით ოჯახებში, მაგრამ...

...ომიანობის, არევ-დარევის, მდგომარეობისა და მოვლენათა მრავალნაირად ცვლის გამო ჩვენი სიტყვა და შეპირება ვერ შესრულდა.

პირველი კურსი

„...30 აპრილია, 1924 წელი. მე და ალი მიქელაძე სოფელ ღორჯომში ვართ. ალი ძველი რევოლუციონერია, ცნობილი პიროვნება, პარტიის დავალებით არის წამოსული, მე კი ჩვეულებრივი პროფმუშაკი ვარ, მუშურ-გლეხური მილიციის ადგილკომის ხელმძღვანელი. პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ იმდენად მენდობიან, რომ ამოდენა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დამაკისრეს. ჟურნალ-გაზეთებშიც გთანამშრომლობ, ადგილობრივ გაზეთ „ფუხარას“ მუშგლეხკორთა ბიუროს ხელმძღვანელობაც მაქვს დავალებული. თბილისის ჟურნალ-გაზეთებშიაც იბეჭდება ჩემი ლექსები, მოთხრობები, ფელეტონები, პიესები. ნიკო კიკნაძე (გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორი), ნოე ზომლეთელი, იოსებ იმედაშვილი, სანდრო ეული და სხვები კარგი თვალით მიცქერიან, მთხოვენ, ხშირად ვუგზავნო მათ ნაწარმოებები. ერთი სიტყვით, უქმად არ ჩაუვლია იმდენ „უნივერსიტეტებში“ მიღებულ ცოდნას, მაგრამ კარგად ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ბევრ „უნივერსიტეტში“ დამჭირდება ცოდნის მიღება, რათა ჩემი ადგილი ვიპოვო ცხოვრებაში.

— გადახედე, რა მშვენიერია! — აღტაცებით მეუბნება მიქელაძე, როცა ღორჯომიდან ქვემოთ გაშლილ მიდამოს გადმოხედა. — ახლა შენ ერთ ორ-სამ წერილს კი დაწერ ამ კუთხეზე.

— ორ-სამ წერილს? — მეც მოვავლე თვალი იქაურობას. — ორ-სამ წერილს კი არა... — მინდოდა მეთქვა, ორ-სამ წიგნსაც დავწერ-მეთქი, მაგრამ ტრაბახად არ ჩამომართვას მეთქი და გავჩუმდი.

...ოჰ, ხვალ პირველი მაისია და სწორედ ამიტომ ვართ აქ გამოგზავნილი, რომ დღესასწაულის მნიშვნელობაზე მოხსენება გავაკეთოთ ამ თემსაბჭოში შემავალ

მცხოვრებთა მიტინგზე. ეს იცის რაიკომმა და თემსაბჭოს ხელმძღვანელობამაც.

მზიანი დღეა. ხალხი თემსაბჭოს შენობის წინ გროვდება. ჩვენც ვემზადებით მოხსენებისათვის, მაგრამ...

იქვე მეჩეთთან აღმართულ მაღალ მინარეთზე გადმომდგარმა ხოჯამ რაღაცა გადმოიძახა და თემსაბჭოს წინ შეკრებილი ხალხი დაიშალა.

— ეჰ, — ჩაილაპარაკა ალიმ. — ჯინაზე ახლა მოუნდა მაგ წყეულ ხოჯას ლოცვის დაწყება... მეტი რა გზაა, უნდა დავველოდოთ, სანამ მორჩებიან ლოცვას.

ალი თემსაბჭოს თავმჯდომარეს შეჰყვა კაბინეტში, მე კი იქვე მახლობლად ხის მორზე ჩამომჯდარი მოხუცი შევნიშნე და მასთან მივედი.

— გამარჯობა, ძია კაცო! — მივესალმე და გვერდით მოვუჯექი.

— გაგიმარჯოს. — ამომხედა მან. — საიდან ხარ?

— ბათუმიდან... აქაური ბრძანდებით?

— ჰო, ღორჯომელი ვარ... რაიზა მეკითხები?

— აქაური თუ ბრძანდებით, რატომ... — მეჩეთზე ვანიშნე.

— არ ვლოცულობ — გამიგო, რის კითხვაც მინდოდა.

— მაჰმადიანი ხომ ბრძანდებით?

— აბა, რაი გითხრა... არც მაჰმადიანი ვარ და არც ქრისტიანი. ნამდვილი გიაური ვარ. არც მოლა-ხოჯები მწამს და არც მღვდელ-დიაკვნები...

ოჰო!.. აი, სად იწყება კიდევ ახალი „უნივერსიტეტი“... ამ მოხუცის წარსულით დავინტერესდი.

ადგილობრივი ხანთელაძეა (სამწუხაროდ, სახელი არ შემიტანია დღიურში). თორმეტი წლისას გარდაცვლია მშობლები, ერთ აღას აუყვანია მწყემსად, რომელსაც დიდი ჯოგი ჰყოლია და ბევრი მწყემსი ესაჭიროებოდა. მის მწყემსებს ჰიერუტყვი ხშირად ბახმარომდე აჰყავდათ, სადაც გურულ და მეგრელ მწყემსებთან ერთად აძოვებდნენ საქონელს. ხშირად ერთად იკრიბებოდნენ, სადილობდნენ, ვახშმობდნენ, საუბრობდნენ, სარწმუნოებით აკრძალულ წესებს არ ეპუებოდნენ. გურულები და მეგრელები მარხვას არ იწახავდნენ, არც ლოცულობდნენ...

— აბა, ჩვენ რატომ გვებლაყუნა უსარგებლოდ? — ღიმილით ამბობს მოხუცი. — თუ იმდენი ხალხი არ ებრალება იმ ღმერთს და ყველას ჯოჯოხეთში ჩაამწყვდევს, ბარემ ჩვენც იმგენთან ჩაგვრეკოს. ერთად ყოფნა გვირჩევნია ცალკე წვალებას!

მოხუცთან საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ ამ უბრალო და უსწავლელი კაცისაგან იმდენი გავიგე, რამდენიც აქამდე თითქმის არც ერთი მოსაუბრისაგან არ გამეგონა.

* * *

მიდიან დღეები, თვეები, წლები. მაშინ 1924 წლის 30 აპრილი იყო, დღეს 1931 წლის რვა მარტია. ქალთა საერთაშორისო დღე. მანქანით ხულოში ავედით. საგაზაფხულო თესვის კამპანიას უნდა მოვემსახუროთ, რაიონის მოსახლეობას უნდა გავეცნოთ, წარმოდგენები დავდგათ, საღამოები მოვაწყოთ, კედლისა და საველე გაზეთები გამოვუშვათ, მხატვრული ლიტერატურა ჩამოვარიგოთ. თერთმეტი კაცისაგან შედგება ჩვენი აგიტბრიგადა. სამი ქალიშვილია — ჩვენი პროფკავშირის მუშათა კლუბის თვითმოქმედი წრის წევრები. აჭარის პროფსაბჭოს დავალებით მე მაქვს მონდობილი ამ ბრიგადის ხელმძღვანელობა. მესამე წელია მუშათა კლუბის

ბარამის სახ. საჯ. სკრ

ხელმძღვანელი ვარ. რამდენიმე თვითმოქმედი წრე გვყავს, მაგრამ დრამატული წრე ყველაზე ძლიერია.

ახლაც სწორედ ამ წრეს დაევალა რაიონების კულტურული მომსახურება და ჩვენც მოვემზადეთ. თითო მოქმედებიანი პიესები მიგვაქვს, რამდენიმე ათეული პლაკატი და ლოზუნგი, სცენის სახელდახელო მოწყობილობა, გრიმები, და საკუთარი ლოგინი. სასმელ-საჭმელი კი მოსახლეობისაგან უნდა შევიძინოთ. ამის მოგვარება ვერა გობრონიძესა და ნათელა კვირკველიას დავავალეთ. მათ უკეთ შეეძლოთ ადგილობრივ ქალებთან მოლაპარაკება. ვერა კალანდარიშვილს სუფლიორობა დავაკისრეთ, თუმც კარნახი არავის სჭიროდა — მაყურებლების განწყობილებისა და მდგომარეობის მიხედვით ამბობდნენ ჩვენი „არტისტები“ მონოლოგებს. დათიკო ჯვარშეიშვილი აფიშებსაც გვიწერს, კარიკატურებსაც გვიხატავს, გრიმსაც გვიკეთებს და როლებსაც ასრულებს. თუმცა, მისი როლები იქავე, სცენაზე „იქმნება“ მის მიერვე და შემდეგ ასეთი სახით ვრცელდება ხალხის წარმოდგენაში. ერთგვარად დათიკოს არც დურუშა შიშინაშვილი ჩამორჩება. ისიც თავისებური „მსახიობია“. ერთ და იმავე სცენას რამდენჯერმე ამეორებინებდნენ ხოლმე მაყურებლები.

პირველი, მეორე და მესამე საღამო ხულოს კლუბში გავმართეთ. თერთმეტ მარტს კი რიყეთისაკენ გავსწიეთ. სოფელ დიოკნისში საღამო გავმართეთ თემსაბჭოს შენობის ღერეფანში. დავდგით პიესები, წავიკითხეთ ლექსები, ვიმღერეთ და გვიან ღამე მოსასვენებლად სკოლის შენობაში შევბარგდით.

ამ თემსაბჭოს მოსახლეობას ისე მოეწონა ჩვენს მიერ გამართული „სეირობა“ (ასე უწოდებდნენ ჩვენს საღამოებს), რომ მეორე დღეს ორჯერ გაგვამეორებინეს. ამ სოფელში თორმეტამდე ძოსწავლე გამოვიდა გაზეპირებული ლექსების კითხვით. გაგვახარა ასიე და ფადიმე ძირკვაძეების გამოსვლამ. მოგვხიბლა ოსმან, ალი და იუსუფ ძირკვაძეების წაკითხულმა ლექსებმაც. აკაკისა და ილიას ლექსები მშვენივრად წაიკითხეს მემედ შავაძემ და ხასან სანიკიძემ. ჩვენ პატარებს ჩვენი მხრიდან კამფეტებით ვაჯილდოვებდით.

13 მარტს ნანუზოლლებში ბე-ტყის ქარხანა „ფუხარას“ ვესტუმრეთ. აქ მეტი ნაწილი მუშებია. სხვებიც ბლომად გვესწრებიან, გლეხებიც მოვიდნენ მახლობელი სოფლებიდან. წავიკითხეთ ლექსები, ჩვენი ბრიგადის წევრის დავით მგელაძის „ლოტბარობით“ სიმღერებიც შევასრულეთ.

ღამე ქარხანაში გავათიეთ.

14 მარტს ღამით ამოვარდნილი დიდი ქარიშხლისა და უამინდობის გამო ძლივს მივაღწიეთ სოფელ დიდაჭარამდე. კიდევ კარგი, თემსაბჭოს თავმჯდომარე შავაძე საბჭოში დაგვხვდა. მაშინვე დაგვითმო ერთი მოზრდილი ოთახი, კარგად გაათბობინა და საშუალება მოგვცა სველი ტანსაცმლის გაშრობისა. სახელდახელოდ მცირე ვახშამიც მოამზადებინა.

მეორე დღეს „სეირობა“ დღისით გავმართეთ სკოლის აივანზე. ხალხი ბევრი დაგვესწრო. განსაკუთრებით მოეწონათ მ. ბუხნიკაშვილის (გუგული) პიესა „ალმასკომის თავმჯდომარე კიტრაძე“. კიტრაძე ისე არავის არაფერს გაუკეთებდა, თუ საამისო კამპანია არ ჰქონდა დაგეგმილი. „ახლა მე თესვის კამპანიას ვატარებ და არა სკოლის მშენებლობისაო“, ეტყოდა ხოლმე მთხოვნელს. „გამქურდეს, გამძარცვეს, ბატონო თავმჯდომარევ, მიშველე რამეო“ — მიმართავდა მეორე. „ქურდობისა და მძარცველობის წინააღმდეგ კამპანია ორი თვის შემდეგ უნდა ჩავატარო გეგმის მიხედვითო“. — იყო მისი პასუხი.

მოსწონდათ აგრეთვე პიესა „მესამე ცოლი“, „გეგმისათვის“ და სხვ. (ხუთი-

ექვსი ერთმოქმედებიანი პიესა გვქონდა თან).* სკოლის მოსწავლეებმა რამაზ მიქელაძემ, ლიმზი გობაძემ, ასმედ, აბდულ, ნური და ნუსხრედი შავაძეებმა მშვენივრად ჩააჭიკჭიკეს კარგად გაზეპირებული ლექსები.

„სეირობას“ შუადღემდე მოვრჩით და გზას გავუდექით.

და აი, ახლა გზა და გზა ვიგონებ ამ სოფელს, სადაც შვიდი წლის წინათ საპირველმაისოდ ამოვედი და აქაურობა გავიცანი.

ეტყობა, მალე უნდა მოხდეს დიდი ძვრები. „სეირობას“, რომელიც სკოლის შენობაში გავმართეთ, სალხი ბლომად დაესწრო. ჩვენი მეორე გამოსვლის შემდეგ მოსწავლეებმა რამიზ, ასმედ, ნური და ჯემალ ირემაძეებმა, რემზი ქათამაძემ და სხვებმა ლექსები წაიკითხეს.

* * *

18 მარტია. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავი. სულოს რაიონულ კლუბში საზეიმო საღამოა. გვთხოვეს მხატვრული მომსახურება გავუწიოთ ზეიმზე შეკრებილთ. სიამოვნებით შევასრულეთ მათი თხოვნა.

თოვლისა და ცუდი ამინდების გამო ხუთი დღის განმავლობაში ვერაფრით ვერ შევძელით სოფლებში წასვლა, მაგრამ 23 მარტს გამოიდარა და სხალთისაკენ გავემართეთ. პირველად სოფელ ფურტიოს ვესტუმრეთ. ადგილობრივ სკოლის შენობაში მოვაწყვეთ სცენა და საღამოს ჭრაქების შუქით განათებულ „დარბაზში“ გავმართეთ „სეირობა“.

— ამფრად არასოდეს გვისეირიაო. — კმაყოფილებით ამბობდნენ გლეხები, რომლებსაც მართლაც არასოდეს უნახავთ ამგვარი რამ. აქ განსაკუთრებით კარგად მომზადებულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეები — ხუსეინ ბოლქვაძე, ფადიმე სურმანიძე, ნური ცეცხლაძე, ფადიმე შაინიძე და სხვ.

წარმოდგენა გავმართეთ სოფელ სხალთაშიც და აქედან პირდაპირ სოფელ უჩამბისაკენ ავიღეთ გეზი.

უჩამბა შედარებით უკეთ გამოიყურება. სოფსაბჭოსთან მოზრდილი კლუბიც აუგიათ. წარმოდგენები და „სეირობა“ აქაურებისათვის უცხო ალარ არის. ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები ხშირად მართავენ თურმე წარმოდგენებს. ამიტომ იყო, რომ ჩვენს მიერ გამართულ სანახაობას მალალი შეფასება მისცეს.

ქალებიც გვესწრებოდნენ.

წარმოდგენის შემდეგ ლექსებით გამოვიდნენ მოსწავლეები ხუსეინ ვარშანიძე, ასიე ბაბილაძე, ალი ბერიძე, ნური თურმანიძე, ნუსრედინ აბუსერიძე, ასიე ბერიძე და სხვ. ოჯახებში გაგვანაწილეს და კარგადაც გაგვიმასპინძლდნენ.

მეორე დღეს — 26 მარტს დილით ადრე შევიკრიბენით და ჭვანისაკენ დავიძარით.

ჭვანა განთქმული სოფელია. განთქმული — გაბედული ვაჟკაცებით, ძველი დროის ფირალებით. ახალთაობის მომხრე, მთავრობის მიერ დევნილი გურული ჭაბუკები ამ კუთხისაკენ გარბოდნენ და ჭვანელ ვაჟკაცებთან ერთად მოქმედებდნენ.

---

* წწერალი ამ პიესების ავტორებს არ ასახელებს. ცნობილია, რომ აგიტბრიგადას წაღებული ჰქონდა მუშათა კლუბის სცენისათვის მომზადებული პიესები, რომლებიც სპეციალურად იწერებოდა თვითმოქმედი კოლექტივებისათვის. ბევრი ასეთი პიესა დაწერა და დადგა პ. ლორიამ. სავარაუდოა, რომ ეს პიესები მას ეკუთვნოდა. ზოგი მათგანი სრულად თუ ნაწყვეტ-ფრაგმენტულად დაცულია მის პირად არქივში.

სანამ ამ სოფელში წარმოდგენას დავიწყებდით, სოფსაბჭოსთან თავშეყრილ გლეხებს გავესაუბრეთ. იქვე იყო აქაური ხოჯაც, რომელმაც ჩვენი ამ სოფელში მისვლა და „სეირობის“ გამართვა სასარგებლო ღონისძიებად მიიჩნია. თავადაც დაესწრო წარმოდგენას. მოსწავლეებმა დურსუნ დუმბაძემ, ქადიმ ამაღლობელმა, რეჯებ ტაკიძემ და დურსუნ ქათამაძემ კარგად დაზეპირებული ლექსების კითხვით გაგვახარეს.

ასე დავამთავრეთ ხულოს რაიონის სოფლების შემოვლა და ქედის რაიონში გადავინაცვლეთ.

...ქედაში ამ რაიონის სკოლის პედაგოგთა სარაიონო კონფერენცია მიმდინარეობდა, და რომ გაიგეს ჩვენი მოსვლა, ძალიან ესიამოვნათ.

საღამო ძალიან კარგად ჩატარდა.

28 მარტს მახლობელ სოფსაბჭოსაკენ გავემგზავრეთ, სადაც ერთი წარმოდგენა კიდევ უნდა გაგვემართა და ამით დაგვემთავრებინა ჩვენი მოგზაურობა.

ეს იყო ზვარეს სოფსაბჭო. მისი შენობა მოთავსებული იყო შარაგზის პირას, ვიწრო ნაგებობაში, რომელიც ჩვენი წარმოდგენისათვის არ გამოდგებოდა. ჩვენი მისვლა ძალიან გაეხარდათ. სწორედ იმ დღეს ახალდაარსებული კოლმეურნეობის წევრთა კრება ჰქონდათ მოწვეული და ხალხი ბლომად შეგროვილიყო.

— სად მოვაწყოთ „სეირობა“?

— სად მოვაწყოთ სცენა? — ვეკითხებით ერთმანეთს და იქაურობას ვათვალიერებთ, მაგრამ ახლომახლო ერთი ღელის წისქვილის გარდა შენობა არ არის.

— სცენა მოვაწყოთ წისქვილის წინ. — გვთავაზობს დურუშა. — მაყურებლები ღელის პირას ლოდებზე ჩამოსხდებიან. ჩვენ კი წისქვილის კარებს გამოვიყენებთ გასასვლელ-გამოსასვლელად.

დავუჯერეთ. წისქვილის წინ ფარდა ჩამოვკიდეთ, კედლებზე პლაკატები გავაკარით და...

დავდგით პიესა „ჩვენ ვიმარჯვებთ“, „მესამე ცოლი“, „ყუჩი მეგობარი“, „ალმასკომის თავმჯდომარე კიტრაძე“. ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. გზად მიმავალი მეურმეები და ხურჯინიანი მგზავრებიც ჩერდებოდნენ ჩვენი „თეატრის“ წინ და მათთვის უჩვეულო სანახავს შესცქეროდნენ გაოცებულნი.

„სეირობა“ საღამომდე გაგრძელდა.

და აი, ამ წისქვილ-თეატრში გამართულ წარმოდგენებით დამთავრდა ჩვენი პირველი „გასტროლები“ აჭარის მაღალმთიან რაიონების სოფლებში და 30 მარტს ბათუმისაკენ გამოვემგზავრეთ.

განაცლებულ სოფლებში

...1932 წელს მე კლუბში აღარ ვმუშაობდი. ახალდაარსებულ საბჭოთა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში ტექნიკური მდივნის მოვალეობას ვასრულებდი.

ახლა ჩვენთან სცენისმოყვარენი და თვითმოქმედი ახალგაზრდები აღარ იკრიბებოდნენ, მაგრამ დამწყები მწერლები და ლიტერატურის მოყვარული ყმაწვილები საკმაოდ იყვნენ.

— მოდი, ერთი, აგიტბრიგადა კიდევ მოვამზადოთ და წავიყვანოთ აჭარის მაღალმთიან რაიონების სოფლებში! — ვუთხარი ერთხელ ჩვენი განყოფილების წევრს, ახალგაზრდა პოეტს მუჰამედ მეგრელიძეს.

— თუ კი შევქმნით და მოვამზადებთ ბრიგადას, ამას რა აჯობებს. — მეუბნება მუჰამედი და დახმარებას მპირდება.

შევუდექით მზადებას, და 1933 წლის 20 აპრილს ჩვენი აგიტბრიგადა ხულოსაკენ გაემგზავრა. მართალია, იგი რიცხობრივად მცირეა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი და კარგად მომზადებული. მისი წევრები — ძმები გიორგი და ალექსანდრე ჯინჭარაძეები აქედანვე ემზადებიან თეატრალურ ინსტიტუტში მოსაწყობად. გიორგი ცნობილაძეს, აბა, რა დახასიათება უნდა, სამი წელია ჩვენთან მუშაობდა კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში. ქალთაგან მხოლოდ ბაბი იოსელიანი გვახლავს თან და, რაც მართალია, მართალია, უიმისოდ ჩვენი მუშაობა არაფერი იქნებოდა. იგი იყო ჩვენი საველე გაზეთების შემდგენელი და გადამწერი, პლაკატებისა და ლოზუნგების ვამკვრელი, მოკარნახე, მსახიობი.

20 აპრილს ხულოს რაიკომში გამოვცხადდით და იქაურ ხელმძღვანელებთან ერთად დავგეგმეთ ჩვენი სამუშაო. მეორე დღეს რაიონის კლუბში გავმართეთ საღამო, ხოლო 22 აპრილს დიოკნისისაკენ გავსწიეთ.

პირველად შარშანწინ შემოვდგით ფეხი ამ სოფელში, მაგრამ მაშინდელსა და დღევანდელს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ თუ რაღაც იჭვის თვალით გვიყურებდნენ, დღეს გზაზე შემოგვეგებნენ, სკოლის აივანზე მოგვაწყობინეს სცენა, იმ პიესების ჩვენება მოგვთხოვეს, პირველად რომ წარმოვადგინეთ: „კულაკი სულეიმანის ამბავი“, „თავმჯდომარე კიტრაძე“, „მესამე ცოლი“, „ყუჩი მეგობარი“, „მყულრი ოჯახში“. დამახსოვრებიათ ამ პიესების მოქმედი პირები. ჩვენც სწორედ ძირითადად იგივე რეპერტუარი გვაქვს.

„სეირობა“ დიდხანს გაგრძელდა. მოსწავლეები ახლა უკვე შეუპატიჟებლად ჭამდნენ. კარგი ლექსები წაგვიკითხეს იუსუფ, იზიტ, მემედ და რეჯებ ძირკვაძეებმა, ბეჟან, ისაკ, დურსუნ კახიძეებმა და სხვ. ეტყობა, ამ სოფლის სკოლას დიდი გავლენა მოუხდენია მოსახლეობაზე.

მეორე დღეს ნანუზოღლებში არსებულ ხე-ტყის ქარხნის მუშებს ვესტუმრეთ. დილით კი ღორჯომისაკენ გავუდექით გზას. დიოკნისში სოფელ რიყეთის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი დაგვხვდა და გვისაყვედურა: თუ ყველასთან მართავთ სეირობას, რატომ ერთხელ ჩვენი სოფლის მცხოვრებლებიც არ უნდა ასეიროთო, და ჩვენც დაგვიყოლიეს.

რიყეთელები გულთბილად შეგვხვდნენ. აქაურმა კომკავშირელებმა თავისი ხელით მოაწყვეს სცენა სკოლის ვიწრო აივანზე, მოგვესალმნენ, წამოსვლისას მადლობა გადაგვიხადეს. აქ თორმეტამდე მოსწავლე გამოვიდა ლექსების კითხვით: ნარგიზ, მენჯე, ვისმან, მევლუდ კოჩალიძეები, ნური და დევრიშ ხოზრევანიძეები, შადიე შანთაძე, რეჯებ ანთიძე, იუსუფ გიორგაძე და სხვ. საგულისხმო ის არის, რომ შედარებით მივარდნილ სოფელში უფრო მეტი დაინტერესება გამოავლინეს, ვიდრე სხვაგან.

...ღორჯომელები არ შეგვხვდნენ გულთბილად. ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები არ მოგვეშველენ სცენის მოწყობასა და მოსახლეობის მოზიდვაში. მოსწავლეებიც ვერ ჰყავდათ სათანადოდ მომზადებული.

...ვაგრძელებთ გზას. ღორჯომიდან სოფელ ვაშაყმაძეებში გადავედით. შუადამემდე არ დაგვამთავრებინეს „სეირობა“. გაგვამეორებინეს სცენები პიესებიდან, ხელახლა გვათქმევინეს ლექსები. მოსწავლეებმა ომერ, რეჯებ, ფედირ ადაძეებმა, ისმაილ ვანიძემ და ილიას ვაშაყმაძემ მეტად საინტერესო ლექსები და სახუმარო სცენები წარმოგვიდგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲝ „ᲡᲔᲘᲠᲝᲑᲐ“

საკმაოდ მოქანცულები ვართ. წუხელის გვიანამდე არ დაგვამთავრებინეს „სეირობა“ და ალბათ დღეს სადამოს მაინც დავისვენებთ. ბინა კარგი გვაქვს, განიერი, მორთული. ეტყობა, შეძლებული ოჯახის სტუმრები ვართ. ვაჟები აქ, ამ ოთახში, ვართ მოთავსებული, ჩვენი ბაბი კი ჭრა-კერვის მასწავლებელმა ქალმა წაიყვანა თავის ბინაში.

ჩვენს ძილში ამინდი შეცვლილა, ქარს ნალექი ამოუტანია და საკმაოდ დიდი თოვლით არის დაფარული მთელი სოფელი.

ბიჭებს სძინავთ. მხოლოდ მუჰამედი მისულდომია მაგიდას და შემოქმედებით მუშაობაშია გართული. ერთი ლექსი უნდა დაწეროს აქაურებზეო, მითხრა და რვეული გაშალა.

მუჰამედი კითხულობს.

— ყოჩაღ, მუჰამედ, ყოჩაღ! — მომეწონა ლექსის დასაწყისი. — განაგრძე. ჩვენი გაზეთი უთუოდ დაგიბეჭდავს ამ ლექსს.

ამ დროს ჩვენი ბაბი შემოვიდა თავის მასპინძელ ქალთან ერთად.

— ძალიან ბოდიშს ვიხდი ასე უდროო დროს შემოსვლისათვის, მაგრამ... — ფერი ეცვალა ჭრა-კერვის მასწავლებელ ქალს, ლოგინიდან ამდგარი რომ არ დავუხვდით. — ბაბის ბრალია. ამდგარი იქნებიანო. — ხელი მოკიდა ბაბის და ოთახიდან გაიყვანა.

ჩვენ სწრაფად წამოვხტით, ტანზე ჩავიცვით, ხელ-პირი დავიბანეთ და კარი გავალეთ.

— ჩვენს მასპინძელს სათხოვარი აქვს ჩვენთან. — მეუბნება ბაბი.

— ჩვენთან?

— ერთი „სეირობა“ ჩვენი სოფლის ქალებისთვისაც უნდა გაგვიმართოთო, — მეუბნება ჭრა-კერვის მასწავლებელი ქალი, — რამდენი ხანია მთხოვენ, სულ კაცებს რომ ასეირებენ, ერთხელ ჩვენც გვასეირონო.

— კი, მაგრამ მამაკაცები რას იტყვიან?

— მამაკაცები? არ გაწყრებიან. თუმცა ჩვენ ყველაფერს საიდუმლოდ მოვაწყობთ. აქ, ამ ოთახში, ორმოცამდე ქალი კი ჩაჯდება იატაკზე და ნახავს თქვენს სანახაობას.

— ძალიან კარგი, მაგრამ... რაიმე უსიამოვნებას რომ გადავეყაროთ?

მასპინძელი მარწმუნებს, რომ ყველაფერი საიდუმლოდ და წესიერად ჩატარდება და ჩვენც თანახმა ვართ ახლავე შევუდგეთ მზადებას.

ჩვენი სცენა იატაკია, ფარდა — ორი ზეწარი. დეკორაცია — რაც გვეშოვება საოჯახო მოწყობილობიდან. პარიკები და გრიმები წამოღებული გვაქვს თან ჩვენი სცენებისათვის შესაფერისი.

და, აი, მზად ვართ. მაყურებლები (ორმოცამდე ქალი იქნება) იატაკზე სხედან სახედაფარულნი და გველოდებიან.

ვიწყებთ წარმოდგენას.

სცენაზე მე და მუჰამედი ვართ. ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლებად გავიხედოთ ქალებისაკენ, რომ უხერხულობა არ იგრძნონ მათ.

ის-ის იყო დავიწყეთ დიალოგი, რომ უეცრად ჩვენი მაყურებლები უსიტყვოდ წამოიშალნენ და სწრაფად გაუჩინარდნენ განის კარიდან.

დაცარიელდა ჩვენი „დარბაზი“. მე და მუჰამედს ენაზე შეგვრჩა სალაპარაკო. რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? მივატოვოთ სცენა თუ...

— დაბრუნდებიან! — მოისმის ამ დროს ხმა და იქითკენ ვიხედებით.

განის კართან ერთი ჭაღარა მოხუცი კაცი ზის ფეხმორთხმული და გვიცქერის. — მოვლიან, მოვლიან! — გვამშვიდებს იგი.

და მართლაც ორი წუთი და ყველანი დაბრუნდნენ.

განვაგრძეთ უდროოდ შეწყვეტილი წარმოდგენა.

როგორც იქნა, მოვალრჩეთ ის ერთი პიესა, და ქალებს მივუბრუნდი:

— დასრულდა, ქალბატონებო, ჩვენი სეირობა!

— დასრულდა?

— ასე ჩქარა?

— ასე მალე?

— ჩვენი კაცები იმდენი ასეირეთ და ჩვენ ასე ცოტა უნდა გვაკმაროთ? — ყველი მხრიდან გაისმა საყვედურები.

— კი, მაგრამ გსურთ გავაგრძელოთ სეირობა? — ვკითხულობ მე.

— თუ ჩვენი კაცები იმდენხანს ასეირეთ?

რა მოხდა? რაშია საქმე? ასე ერთბაშად რამ შეცვალა მდგომარეობა?

ვაგრძელებთ წარმოდგენას. ერთი კომედია, მეორე, მესამე, მეოთხე და...

ამოვწურეთ ჩვენი რეპერტუარი. ამოვწურეთ, მაგრამ განა სჯერათ?

რომ არ ველოდით, ისე გაგვიგრძელდა პროგრამა. დასასრულ მადლობა გადავუხადეთ ქალებს. სამადლობელი სიტყვები იმათაც გვითხრეს, მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდნენ, ჩვენთვის ფრიად სასარგებლო და საჭირო ძღვენიც მოგვართვეს — შემწვარ-მოხარშული ქათმები, ღვეზელები, ტკბილეულობა და ხილეულობა.

ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ...

— წარმოდგენის დროს რომ ისე მოულოდნელად წამოცვივდნენ და გაიპარნენ, ვითომ რას ნიშნავდა იგი? — შევეკითხე იმ მოხუცს, მაშინ რომ კარებთან იყო ფეხმორთხმული და გვითვალთვალებდა.

— ეზოში შემოსულ ხოჯას მოჰკრეს თვალი და შეეშინდათ, აქ რომ დაგვინახოს, დაგვწყევლის და შეგვაჩვენებსო. — გვიპასუხა მოხუცმა და გაიღიმა.

...აპრილი მიიწურა. ამ თვის უკანასკნელი დღეა და ჩვენ სოფელ ყინჩაურში ვართ. გუშინ სოფელ ფურტიოში გავმართეთ საღამო და იქაურები მეტად კმაყოფილები დავტოვეთ. წინა დღეებში სოფელ ვაშაყმაძეებში, დიდაჭარაში და სულოს რაიონულ კლუბში მოვაწყვეთ წარმოდგენები და სწორედ იქედან გამოვსწიეთ აქეთ. განზრახული გვაქვს ხიხაძირშიც შევიაროთ. იქ მისვლამდე კი გზა და გზა სხვა სოფლებსაც ვესტუმრებით. ახლა ყინჩაურში ვართ, მაგრამ...

ვერ მოიწონებენ თავს აქაურები... სკოლის შენობა უვარგისია, კარ-ფანჯრები ჩალეწილი, არც მერხები უვარგათ, არც მაგიდები. ამის შესახებ ჩვენ იქვე დავწერეთ კედლის გაზეთში, რომელიც თვალსაჩინო ადგილას გამოვაკარით. მასწავლებლები კატო სურგულაძე და ივანე გოგიჩაიშვილი მეტისმეტად შეწუხდნენ იმის გამო, რომ ასეთი ვითარება იყო, მაგრამ ამით რას გააწყობდნენ. ამ სკოლის არც ერთი მოსწავლე არ გამოსულა საღამოზე, არავის არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება.

...პირველ მაისს ყინჩაურიდან წაბლანაში ავედით. სოფელი მაღლობზეა გაშენებული. სკოლის აგება დაუწყიათ — კედლები ამოყვანილია, იატაკი დაგებული, მაგრამ კარ-ფანჯრები ჯერ კიდევ ჩაუსმელია, თუმც სწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს.

იმ დღეს მოსახლეობა შაბათობაზე იყო გასული და თავგამოდებით მუშაობდა. ჩვენი მოსვლა რომ გაიგეს, ძალიან ესიამოვნათ. საღამოს საზეიმო განწყობილებით მოვიდნენ სკოლის შენობასთან და „სეირობის“ დაწყებამდე სიმღერებით შეიქციეს თავი. ამ სკოლის მოსწავლეთაგან ლექსების კითხვით თავი ისახელეს ახმედ და

ოსმან შაინიძეებმა, ისმაილ და იუნუს აბაშიძეებმა, შაბან და ვართულ მახარაძეებმა, მოედინ დავითაძემ და სხვებმა.

ის ღამე დაუმთავრებელ სკოლის შენობაში გავათიეთ.

მეორე დღეს მივდივართ ფეხით ნელ-ნელა სიხაძირისაკენ.

— შორს არის აქედან? — თითქმის ყველა შემხვდურს ვეკითხებით.

ვინ ამბობს, ერთი დღის სავალიაო, ვინ კიდევ უმატებს, კარგი ცხენით უფრო ადრე შეიძლება მისვლაო.

დავიქანცეთ ყველანი. მხოლოდ ჩვენი სვანის ქალი — ბაბი იოსელიანი გამოიყურება ძხნედ. ყველას გვჯობნის.

შიგა და შიგ ძნელად გასავლელი ბილიკები გვხვდება ფერდობზე გამოკიდებული. ხშირად გვიცურდება ფეხი.

ერთ ადგილას მოზრდილი ქვა აგვისხლტა და ხევში დაგორდა.

— ვინ არის? რომელი ხარ? — მოისმა ქვემოდან ხმა და მალე ბუჩქებიდან ერთი ახალგაზრდა გამოჩნდა. — არა გრცხვენიათ, აქ რომ ქვებს აგორებთ? ქვემოთ ჭწყემსი ბალვებია, რომ მოხვდეს? — და დაურიდებლად მოგვიახლოვდა.

— კი, მაგრამ ერთი კარგი გზა გაგეყვანათ, უკეთესი არ იქნებოდა? — შევეკითხე მე.

— კარგი გზა!... ვის უნდა კარგი გზა? კარგი გზით მთავრობა ხშირ-ხშირად დაიწყებს სიარულს და რაც გაგვაჩნია, იმასაც წაგვართმევს. — მიპასუხა მან და შეგვათვალიერა.

— ვინ გითხრათ ასეთი რამე თქვენ? — დაინტერესდა მუჰამედი.

— ვინ მითხრა! ვინ მითხრა და... თავმჯდომარე ამბობდა ასე... ხოჯაც ამბობს, იუნუს აღამც ასე იცის თქმა.

— შენ როგორ ფიქრობ, შენ? — შევეკითხე მე.

— მე? — ბეჯითად შემათვალიერა ახალგაზრდამ. — მე ვინ მკითხავს. დელი სარო, ამბობენ... აბა, დელის აზრი ვის აინტერესებს?

— რატომ გეძახიან დელს? — საუბარში ჩაება გიორგი ჯინჭარაძე, რომელსაც დაუგორდა სწორედ ის ქვა.

— იმიტომ, რომ დელი ვარ. გიჟი. გადარეული. — სერიოზული კილოთი გვითხრა მან. — ასე დამარქვა ხოჯამ.

— მაინც, რატომ შეგარქვა ასეთი სახელი იმ ღვთის მსახურმა? — დაინტერესდნენ სხვებიც.

— რატომ?.. იმიტომ, რომ მედრესეში სიარულს თავი დავანებე, ლოცვების სწავლაც არ ვინდომე, არც ვმარხულობ, არც ხოჯიებს არ ვუჯერი... სელიმ-აღას კეტით გამოვენთე, ძველ თავმჯდომარეს ვაწყენინე... რატომ ვაწყენინე? რატომ და... წინაზე მინარე ჩამოინგრა და მისი შესაკეთებელი ფული ხალხს შეაწერა. მე უარი ვუთხარი. სად მქონდა იმდენი ფული? ან რად მჭირია ჯამე და მინარე?..

ოჰო!.. თითქოს რაღაცამ გამისხივოსნა გონება.

— შენ რა გქვია, ყმაწვილო?— ფანქარი და ბლოკნოტი მოვიმარჯვე.

— საჩივარი უნდა დაწერო? — გაიღიმა მან. — დაწერე, რამდენიც გინდა, იმდენი დაწერე!.. დელს ციხეში არ ჩასვამენ... მე არ მეშინია... მურადაი მქვია... დელი მურადაი... ასე ჩაწერე!

მე მართლაც ჩავწერე ეს ყოველივე, და რამდენიმე წლის შემდეგ თვით იმ მურად ბლ-ძეს მივუძღვენი სქელ წიგნად ქცეული. „დელი მურადი“ — ასე ეწოდებოდა ადრე რომანს „განთიადი ხევში“.

...ხიხაძირი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია მოჩხრიალე მდინარის პირას. ჩვენი წარმოდგენა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი ჩამორჩენილნი უნდა ყოფილიყვნენ,

როგორც ცენტრიდან ასე დაშორებულნი, არ გამართლდა. მშვენიერი სკოლა აუგიათ, კარგი ქოხ-სამკითხველო, თემსაბჭოსაც კარგი შენობა აქვს დათმობილი, და, რაც მთავარია, მოსახლეობა შესანიშნავი, დახვეწილი ქართულით მეტყველებს. წმინდა ქართული შემოუნახავთ ჩადრქვეშ მომწყვდეულ აქაურ ქართველ დედებს.

მადლობა იმათ!

ჩვენი მისვლა ძალიან ესიამოვნა თემსაბჭოს თავმჯდომარეს. დღეს ჩვენი სკოლის მასწავლებლები აპირებდნენ წარმოდგენის გამართვას, მაგრამ რახან თქვენ მოდით, უკეთესია თქვენ დაგითმოთ ასპარეზიო. განკარგულება გასცა, სათანადოდ შეგვგებებოდნენ მასპინძლები.

წარმოდგენები და „სეირობა“ უცხო ხილი არ ყოფილა აქაურებისათვის. ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები ხშირად აწყობენ თურმე მხატვრულ და ლიტერატურულ საღამოებს.

სკოლის შენობა დიდი და განიერია. მაგიდების ერთმანეთზე მიდგმით ერთ მხარეს სცენა გავმართეთ. ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ და შესავალი სიტყვის შემდეგ წარმოდგენა დავიწყეთ.

დარბაზი სავსეა ხალხით. დიდები, პატარები, მოხუცები, ჭაბუკები... მაგრამ...

რიცა ხიხაძირში შემოვედით შუადღისას, მამაკაცების მოზრდილი ჯგუფი იქვე თემსაბჭოს წინ ჩამომსხდარიყო და საუბრით ირთობდა თავს. მახლობელ გორაკებიდან კი თეთრკაბიანი ქალები მოჩანდნენ. თოხით ხელში გულდაგულ მუშაობდნენ — მოხნულ მიწაზე მობნეულ სიმინდის თესლს ნიადაგის ფხვიერ თხელ ფენას აყრიდნენ ზედ.

— ისინი ვინ არიან? — შევეკითხე ერთ გლეხს, რომელიც ჩვენი ვინაობით დაინტერესდა და გამოგვეცნაურა.

— ჩვენი ქალებია. — დაასწრო მას მეორემ.

— ეს როგორია? მამაკაცები აქ ზიხართ და ქალებს აშუშავებთ?

— აბა, ქალი რაში უნდა გამეიყენოს კაცმა.

— ჩვენ მოვხანით და ჩვენი საქმე მოვათავეთ. აწი ქალებმა მოუარონ.

— აბა, სხვაფრა როგორ უნდა? — უმატებს მესამე.

ვითომ ხუმრობენ, მაგრამ მათი ნათქვამი ნაკლებად ჰგავს ხუმრობას! ადგილობრივმა მასწავლებლებმაც გვითხრეს, ქალები ფიზიკურად ძალიან ბევრს მუშაობენო.

— მაგათაც ავამუშავებ! — კაცებზე იშვერს ხელს თემსაბჭოს თავმჯდომარე. ახოვანი და შესანიშნავი შეხედულების ვაჟკაცი.

საღამო კარგად ჩატარდა. რაც შეეხება ლექსებს, ადგილობრივი სკოლის მასწავლებელ ჩხაიძეს იმდენი მოსწავლე მოემზადებინა, რომ გაოცებულნი დავრჩით.

ყველაფერი კარგად ჩატარდა, ყველა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ... ქალები? დედები? ბებიები? მეუღლეები? დები? ისინი არ ყოფილან ჩვენთან ამ საერთო მხიარულების ჟამს.

რატომ? რა დააშავეს მათ?

აგიტბრიგადის წევრები ღამის გასათევად მოსახლეობაში გაგვანაწილეს. მე სადაც მოვხვდი, იმ ოჯახის უფროსი ახალგაზრდა, ვაჟკაცი კაცია. თავად შემომიტანა მეუღლის მიერ გამზადებული ვახშამი, ჩემთან ერთად ივახშმა, შემდეგ ლოგინი გამიშალა და გავიდა.

მეორე ოთახიდან პატარა ბავშვის ტირილი და ქალის ხმა შემომესმა. როგორც ჩანს, ბავშვი ჭირვეულობს და დედა ამშვიდებს.

დილით ადრე ავდექი. მასპინძლები რომ არ შემეწუხებია, სწრაფად ჩავიცვი და ის იყო გარეთ გამოვედი, .უცებ მხარზე კოკაშედგმული ახალგაზრდა ქალი შემო-

მეფეთა. ეტყობოდა, წყაროდან წყალი მოჰქონდა, ჩემს შეხვედრას არ მოელოდა და სახეზე ჩაშოუფარებელი მოდიოდა.

დამინახა — შეკრთა. აღარ იცოდა, რა ექნა. უკან გაბრუნება შეუძლებელი იყო. ისე დაიბნა, ველარც წინ მიდიოდა, ველარც უკან, კოკის ჩამოდგმაც ვერ მოეფიქრებია.

— რა იყო, ჩემო დაო, რამ შეგაშინა? მე თქვენი ოჯახის სტუმარი ვარ. წუხელის თქვენი გამზადებული ვახშამი გეახელით. მადლობა მინდა მოგახსენოთ...

ქალმა თავი კიდევ უფრო დახარა.

— წუხელის რომ ბავშვი ტიროდა, რა არის თქვენი? — მინდა როგორმე ჩავაბა საუბარში.

— ჩემი გოგოა. ავად მყავს. — გაბედა პასუხის გაცემა.

— ავად? მაშ ექიმობაა საჭირო. ანახეთ ექიმს?

— ვანახეთ, მაგრამ ბათუმ-ქალაქში უნდა წაიყვანოთო. ბათუმ-ქალაქში კი...

— წამოიყვანეთ. — მასპინძლად ჩემი ოჯახი დაგიხვდებათ.

ქალმა კოკა ჩამოდგა და შემდეგ რამდენიმე წუთს გამესაუბრა. გამოჰკითხა, როგორ შეიძლება ბათუმში ბავშვის ჩაყვანა და ექიმების ნახვა. პასუხი რომ მოისმინა, მთხოვა, ისევ შევსულიყავი ჩემს ოთახში, ცოტა დამეცადა, რამდენიმე წუთში მეუღლე მოვა და საუზმეს შემოგიგზავნი იმის ხელითო.

მე მადლობა მოვახსენე და გამოვეთხოვე.

იმ დღეს წამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ ადგილობრივი სკოლისა და ჭრა-კერვის მასწავლებელმა ქალებმა გვთხოვეს დავრჩენილიყავით და ერთი „სეირობა“ ადგილობრივი ქალებისთვისაც გაგვემართა.

— მაგრამ მამაკაცებმა რომ... — ქალების თხოვნა და ჩემი ერთგვარი შიში თემაბჭოს თავმჯდომარეს გავაცანი.

— ძალიან კარგს იზამთ, თუ ჩვენს ქალებსაც ასეირებთ. მადლობელი დაგირჩებიან.— ესიამოვნა თავმჯდომარეს. — კაცებმა კი ერთი გაბედონ რამე! — მაუზერზე მოივლო ხელი. — თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! ეს საქმე გამიკეთეთ და მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

გადაწყდა. იმართება წარმოდგენა სკოლის დიდ დარბაზში. მოდიან და მოდიან ქალები, მაგრამ თამამად და გაბედულად.

აივსო დარბაზი. ჩვენ სცენაზე ვართ. ფარდა ჩამოშვებულია. მე ფარდის უკნიდან ვიწყებ საუბარს, მაგრამ...

— გამოჩნდი და ისე გველაპარაკე!

— ვითომ რა იქნება, რომ დაგვენახო? — მოისმის დარბაზიდან და მეც გამოვდივარ ფარდის წინ.

ვიწყებ საუბარს მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, ჩვენი კანონით მინიჭებულ უფლებებზე, საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალების აქტიურად ჩაბმაზე, სწავლა-განათლების მიღებაზე და...

— მასეთი ლაპარაკი ჩვენ რად გვინდა? — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა ქალმა დარბაზიდან.

— მაგი ჩვენს კაცებს უთხარით! — მიეშველა მას მეორე.

— გუშინ რომ იმათ ასეირებდით და ჩვენ ფაცხაში ბალვებთან ვეგდეთ, იმაზე რად არ უთხარით არაფერი?..

ოჰო!.. ესენი არ ხუმრობენ! უნდა შევწყვიტო ჩემი აგიტაცია.

პირდაპირ ვხსნი ფარდას და ვიწყებთ „სეირობას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი მართლაც გაეერანებულ მიდამოზე გაშენებულს ჰგავს. ერთი სასიკეთო შენობა არ უდგათ, სალამო რომ გავბართოთ. საბძელი შემოგვთავაზეს აძ ღონისძიებისათვის.

ბეტი რა გზაა. თივა, საბძელში რომ იყო გაშლილი, ერთ კუთხეში მოვაქუჩეთ, სცენის ადგილი გავწმინდეთ, ფარდა ჩაძოვუშვით...

ისეთი აღტაცება, ისეთი გაკვირვება და მხიარულება ჩვენს მიერ გამართულ „სეირობას“ არსად არ გაძოუწვევია, როგორც ამ სოფელში.

იმ ღამეს საბძელში გავიძალეთ ლოგინი და გათეხებამდე კარგად მოვისვენეთ, დილით კი ადრიანად წამოვდექით და სალამომდე სხალთაში ჩაძოვედით, საიდანაც მეორე დღეს უჩამბისაკენ გავსწიეთ.

...უჩაძბაში მეორედ ვარ. მაშინდელთან შედარებით აქაურობა ბევრად უკეთესი მეჩვენება. მოსახლეობა ძაშინაც დიდი კმაყოფილებით შეგვხვდა. ახლაც. ძაძინ თუ დამსწრეთა შორის ქალები მცირე რაოდენობით იყვნენ, წელს გაორძაგებულია მათი რიცხვი. მაშინდელი მოსწავლე გოგო-ბიჭებიც დაჩიტულან. ახლა ჩვენ კი არ ვეხვეწებით სცენაზე გამოსვლას და ლექსების წაკითხვას, თვითონ გვეძალებიან, ძარდად ამორბიან სცენაზე; განსაკუთრებით გოგონები აქტიურობენ: ხურიფე და სალიფე თურმანიძეები, ფატმა ბეჟანიძე, ფატმა საძნიძე, ფადიმე გამრეკელიძე... (საძწუსაროდ ყველას გვარი და სახელი არაა შემორჩენილი ჩემს დღიურძი).

ხიხაძირის შემდეგ ამ სოფელმა გაგვახარა ცხოვრების ახალ ყაიდაზე გარდაქმნით.

...უჩამბიდან პირდაპირ შუახევში ჩამოვედით. შარასთან, გზის პირას, არის რალაც პატარა შენობა და გვთხოვეს ერთი „სეირობა“ აქაც გაგვემართა და დავთანხმდით. აქ ძალიან ბევრი მოსწავლე დაგვესწრო. ძალიან გაიხარეს ჩვენი გაძოსვლებით. იქვე, ჩვენივე თანდასწრებით, გაითამაშეს ის სცენა, რომელიც ორიოდე წუთის წინ ნახეს ჩვენი შესრულებით.

...რვა მაისს დავტოვეთ ხულოს რაიონი და ქედის რაიონში გადავედით. გადაწყვეტილი გვქონდა ერთი სალამო ცხმორისში გაგვემართა, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელობის რჩევით დანდალოსაკენ წავედით.

აქედან ორი-სამი კილომეტრი იქნებაო, — გვითხრეს, მაგრამ... კილომეტრიცაა და კილომეტრიც. მთაზე, აღმართზე, დაკლაკნილ-დაგრეხილი ბილიკი, ტვირთი ზურგზე. თანაც მშივრები.

ღმერთმა უშველოს ჩვენს ბაბის — ჩვენი ბრიგადის ყველაზე საყვარელსა და აქტიურ წევრს, ყველას გამამხიარულებელ „მსახიობს“. — გამოგვეყო, დაწინაურდა, ავიდა სოფელში, მოელაპარაკა ადგილობრივ დიასახლისებს, გაამზადებინა საუხელდახელო სადილი და კალათით მოგვაგება გზაზე.

ამის მერე აღარ გაგვჭირვებია სოფლამდე მისვლა. სამი კილომეტრიო, მაგრამ რატომ ხუთი და მეტი არ იქნებოდა და ისიც ისეთ აღმართში!

დანდალო, ეტყობა, შეძლებული, მსუყე და მოსავლიანი სოფელია, ხილისა და კაკლის ხეებით დაფარული. სკოლის მშენებლობა ახლა დაუწყიათ, კედლები აყვანილია, იატაკიც დაგებული. ჭერი არა გვაქვს, მაგრამ ეს შენობა თავისუფლად გამოდგება სალამოს გასამართავად. ხალხი ბლომად დაგვესწრო, მაგრამ... ქალები მხოლოდ კარგი ვახშმით გაგვიმასპინძლდნენ. ეტყობა, ჯერ კიდევ რელიგიური ჩვევების მიხედვით იქცევიან.

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი. მე კი ჩემი დაკვირვებით ვამჩნევ, რომ აჭარელი ქალები გაცილებით მეტად მიიღტვიან სწავლა-განათლებისაკენ, საზო-

გადებრივ სარბიელზე გამოსასვლელად, გოგონები უფრო მონდომებითაც სწავლიბენ.

დანდალოელებმა დიდი პატივისცემითა და მადლიერებით გამოგვისტუმრეს, თანაც გვთხოვეს, მომავალში კვლავ გვეწვიეთ თქვენი ბრიგადით და ასეთნაირი „სეირობა“ მოგვიწყვეთო.

მეორე დღეს ქედაში ჩავედით. აქ მშვენიერი კლუბი აქვთ, ყოველგვარი მოწყობილობა, ღამის გასათევი, სასადილო და მოსასვენებელი. ერთი წარმოდგენა იმ სალამოს იქაც გავმართეთ და მეორე დღეს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს ვეწვიეთ, სადაც ახალგაზრდულ კლუბში საღამო გავმართეთ და აქაური მშენებლებიც მოვიმადლიერეთ.

ამ მოგზაურობის დროს ჩვენმა აგიტბრიგადამ მაღალმთიან რაიონების სოფლებში დაჰყო ოცი დღე, გაიმართა 19 საღამო-წარმოდგენა, გამოუშვა 6 საველე გაზეთი, სცენაზე ლექსები წააკითხა 119 მოსწავლეს, ქოხსამკითხველოებს გადასცა მხატვრული ლიტერატურა, გააკრა პლაკატები და ლოზუნგები, ჩაატარა მრავალი საუბარი. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პოეტმა მუჰამედ მეგრელიძემ, რომელმაც ამ მოგზაურობის დროს შექმნილი ნაწარმოებები გამოაქვეყნა როგორც საველე გაზეთებში ჩვენი მოგზაურობის დროს, ისე მის შემდეგაც გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე ჩვენი ბრიგადის ერთადერთი წევრი ქალი ბაბი იოსელიანი. დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს წარმატებას გიორგი და ალექსანდრე ჯინჭარაძეებმა, რომლებიც აგიტბრიგადის ბარგს მთელი გზა ზურგით ეზიდებოდნენ.

ამით დამთავრდა ჩვენი აგიტბრიგადის მეორე მოგზაურობა აჭარის მაღალმთიან სოფლებში.

* * *

1934 წელია. მოახლოვდა გაზაფხული. თესვისათვის მზადება. დაგვავალეს, რომ მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას კვლავ შეექმნა აგიტმხატვრული ბრიგადა და გაეგზავნა მაღალმთიანი რაიონების სოფლებში.

დავალების შესრულება კვლავ მე ვიკისრე. ახლა კლუბებთან ისევ ისეთ მჭიდრო კავშირში ვიყავი, როგორც წინა წლებში. კარგად ვიცნობდი თვითმოქმედ წრეებში მომუშავე ახალგაზრდებს და მათთან მოლაპარაკების შედეგად ადვილად შევადგინე აგიტმხატვრული ბრიგადა და შევუდექით რეპეტიციებს. ნაწილობრივ შევცვალეთ და გავაუმჯობესეთ ჩვენი რეპერტუარი. მეტი ყურადღება მივაქციეთ ქალთა შრომისა და ოჯახის საკითხს.

ამჯერად ბევრად უკეთეს პირობებში გვიხდება გამგზავრება. ქალაქში არსებული საშეფო საზოგადოებები გვეხმარებიან და ხელს გვიწყობენ. მართალია, ახლა ისეთი გამოცდილი და დახელოვნებული „მსახიობები“ არ გვყავს, როგორც წინა წლებში, მაგრამ საკმაოდ კარგი აქტივისტთა ჯგუფი შევქმენით — კომანდო დობორჯგინიძე (შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი), გიორგი ცნობილაძე, ბარნაბ ბერიძე, ქსენია ზედანია, დავით ცქიტიშვილი, სერგო მენაბდე, პელო ბერიძე... ერთი სიტყვით, რვა წევრისაგან შემდგარი მხატვრული აგიტბრიგადა შვიდ აპრილს გავიდა ბათუმიდან და იმავე დღეს სოფელ ურეხის „გლეხის გამარჯვების“ საბჭოს კოლმეურნეობას ესტუმრა. აქაურებს ჩვენ ვერ გავაკვირვებდით ჩვენი შემოქმედებით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სალამოზე შეკრებილნი, ჩვენდა მოულოდნელად, ძალიან დიდად ნასიამოვნები და გაოცებულნი დარჩნენ. მოეწონათ

ჩვენი პიესები, რომლებშიაც ასახული იყო იმდროინდელი ყოველდღიური ცხოვრების სურათები.

რამდენიმე დღის შემდეგ, მოვბრუნდით რა ბათუმში, სოფელ გელაურში ავედით. გავეცანით კოლმეურნეობა „კინტრიშის“ წევრთა მუშაობას, მათ ყოფა-ცხოვრებას, გავძართეთ სალამო, გამოვუშვით კედლის გაზეთი, დავარიგეთ ახალი ლიტერატურა — წიგნები და ჟურნალ-გაზეთები და კმაყოფილი დავბრუნდით.

პირველი მაისისათვის ჩვენი ბრიგადა ხულოში იმყოფებოდა. წინა წლებში აქ ამოსვლას თუ შვიდი-რვა საათი სჭირდებოდა, ახლა სამ საათში ამოვედით.

პირველად ვესტუმრეთ დანისპარაულს. „ვასეირეთ“ აქაური კოლმეურნეები და მერე რიყეთში დავეშვით. გამოვიარეთ დიოკნისში, ავედით დიდაჭარაში, ღორჯომში. მოვინახულეთ ნაცნობი ადგილები. გამომეცნაურენ წინა წლებში გაცნობილი ახალგაზრდები, მოიგონეს მაშინდელი მათი გამოსვლები, ლექსები. სწავლა-განათლების მიღებაზე ლაპარაკობენ. მე მძღოლი უნდა გამოვიდე, მე მასწავლებელი, მე ტრაქტორისტიო. ერთმა ისიც კი გაბედა და თქვა, ჰაერში ფრენა მინდა-ვისწავლო ახალი საფრენი მაშინით და დედამიწას ზემოდან გადმოვხედოო.

ვაშა, აჭარელო გოგონებო და ბიჭუნებო!..

მიხარია, უზომოდ მიხარია, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ ჩახატულ სურათს მე ახლა სინამდვილეში ვხედავ და ასეთ ახლო ურთიერთობაში ვარ მასთან.

შუახევში წელს უკეთ მოვემსახურეთ ჩვენს მაყურებელს. აქაურ ქობ-სამკითხველოს გამგეს ზაბით დავითაძეს ბათუმის მასწავლებელთა სახლის ხელმძღვანელობის მიერ გაგზავნილი ლიტერატურა გადავეცით და გავაცანით, რომ ამ სახლის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს შეფობა იკისროს ამ ქობ-სამკითხველოზე და წიგნებით მოამარაგოს იგი.

დავითაძემ მადლობა გადაგვიხადა და შეგვპირდა უფრო დაუახლოვდებოდა ბათუმის მასწავლებელთა სახლს.

9 მაისს უჩამბაში გავიარეთ. მე სამჯერ ვარ ნამყოფი აქ და ასე მგონია, ყველა მიცნობს და ყველას ვიცნობ. აქ ახლა თითქმის აღარ შეიმჩნევა რელიგიური მავნე გავლენა. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩადრის ტარების უკუღმართ წეს-ჩვეულებაზე. მართალია, ქალები უცხო მამაკაცთან შეხვედრას ერიდებიან, მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვს, გაცნობასა და გასაუბრებას არ ეკრძალებიან.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აქაური სკოლის მოსწავლე გოგონების — ფატუმე სამოლიძის, ხენიფე თურმანიძის, ფადიმე და აიშე გამრეკელიძეების წაკითხულმა ლექსებმა და გათამაშებულმა სახუმარო სცენებმა.

სოფელი ჭვანაც არ არის უცხო ჩვენთვის. აქაურებსაც ძალიან აინტერესებთ ჩვენს მიერ გამართული წარმოდგენები. ერთხელ წერილიც კი მოიწერეს, ვეწვიოთ თქვენს ჩამოსვლასო.

ჰოდა, დღეს, 11 მაისს, უჩამბიდან აქ ამოვედით. კარგი ხალხია, გონიერი, დაკვირვებული. მაგრამ აქაური ქალები ჯერ კიდევ მამაკაცთა საზოგადოებას ეკრძალებიან. ამიტომაც ჩვენს სალამოს ქალთაგან არავინ დასწრებია.

ჩვენი დაჟინებული თხოვნით ოთხი მოსწავლე ძლივს გამოვიდა სცენაზე. ესენი იყვნენ ალი ჯინჭარაძე, ახმედ ქარცივაძე, მევლუდ ჭაღალიძე და ხუსეინ ჯაყელი.

— აწი რომ ამობრძანდებით, უკეთესად მომზადებულნი დაგიხვდებით. — გულს გვიკეთებს პატარა ხუსეინი და ხელს მართმევს.

ვნახოთ, დღითი-დღე იცვლება ქვეყანაცა და ხალხიც.

...თერთმეტ მაისს რომ ქედის კლუბში სალამო გავმართეთ, რაიკომის ხელმძღ-

ვანელობას ძალიან მოეწონა და გვთხოვა, ერთი ასეთი საღამო სოფელ მერისშიც ჩაგვეტარებო.

ძალიან მოქანცულები ვართ, მაგრამ უარი ვერ ვთქვით და მეორე დილას მერისისაკენ გავუდექით გზას. ამ სოფელში ჯერ არ ვყოფილვართ და ამიტომ უფრო დამაინტერესა აქაურობის გაცნობამ.

გზა და გზა ჩვენთვის ბევრ საინტერესო სანახაობას ვაწყდებოდით. ლამაზი, ტყით შემოსილი გორაკები, ხევში მოჩხრიალე ნაკადულები, ჩანჩქერები.

ხიხაძირი მომაგონა აქაურობამ, ხიხაძირი, რომლის მახლობლადაც შევხვდი მურადს, დელი ვარო, რომ გამაცნო თავი.

ეს შარშან იყო. დღეს მოვდივარ აქ და ვფიქრობ, თუ ოდესმე კალამმა გამიმჟრთლა, ნიჭმა მიშველა, ამ მურადის ცხოვრების შესახებ ერთი მოთხრობა რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა დავწერო.

მოთხრობის წერა მგონი მეხერხება. ხანდახან ლექსებსაც ვწერ, მაგრამ... არა, არ გამომდის. ჩვენს პოეტურ ქვეყანაში ძნელია ვინმეს ლექსი მოაწონო. პოეზიის ნიჭი არა მაქვს. მოთხრობები, ვფიქრობ კარგი გამომდის, პატარა პიესებსაც ბლომად ვწერ. განსაკუთრებით შემიწყო ხელი მუშათა კლუბში მუშაობამ. გამოქვეყნდებოდა რომელიმე ღონისძიების ჩატარების შესახებ განკარგულება და ჩვენი კლუბიც შეიმართებოდა. ვწერდი და ვდგამდი ახალ-ახალ პიესებს, — კომედიებს, სააგიტაციო ვოდევილებს. „მსახიობი“ ბლომად მყავდა. მხატვარი, დეკორატორი, მოკარნახე... და აბა, „რეჟისორობას“ რა უნდოდა? ტექსტს ჩვენებურად ვკითხულობთ, ხან გავბრაზდებით, ხან გავიღიმებთ, ისე, როგორც პიესა მოითხოვს და.. დადგმაც მზად იყო. მოწონებაც დიდი გვქონდა მთავარი განმსჯელის — მაყურებლის მიერ.

ავტორიცა ვარ, რეჟისორიც, დირექტორიც... სასაცილოა, რა თქმა უნდა, მაგრამ ხანდახან ესეც საჭირო და გამოსადეგია.

მერისში ადგილობრივი სკოლის დირექტორი ივანე ლლონტი და მისი მეუღლე დაგვიხვდნენ მასპინძლად. მალე ქედიდან სასულე ორკესტრიც მოგვაშველა ქედის კლუბის ხელმძღვანელობამ და ჩვენი აგიტბრიგადის ავტორიტეტი ერთი ორად ამაღლდა.

საღამო სკოლის მოზრდილ დარბაზში გავმართეთ. წარმოვადგინეთ პიესები, წავიკითხეთ ლექსები, „ვასეირეთ“ მოსახლეობა. ღამის გასათევად ოჯახებში გაგვანაწილეს. მე და კომანდო დობორჯგინიძე ერთმა კეთილმა გლეხმა მიგვიწვია ოჯახში. კარგად გაგვიმასპინძლდა. საწოლ ოთახში ლოგინი გაგვიშალა, მოგვასვენა და თვითონ იქვე ჩამოჯდა ფარნით ხელში და ბაასი გაგვიბა.

ბევრი რამით იყო დაინტერესებული ჩვენი მასპინძელი და ჩვენც ბევრი რამით დაგვაინტერესა.

— რით გარდაიცვალა ისე უეცრად ის ახალგაზრდა კომუნისტი კაცი, ქედაში რომ ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა? — შეეკითხა მას კომანდო (იგი მაშინ გაზეთის რედაქციაში მუშაობდა).

— ეჰ, — ამოოხვრას ამოატანა იმან. — იგი ჩემი ძმა იყო. მტკიცე კომუნისტი. ხოჯა-მოლები გიაურს უწოდებდნენ, წყევლიდნენ, რედს უკეთებდნენ. საშინლად ეჯავრებოდათ.

...და მოგვიყვა მეტად შემაძრწუნებელ ამბავს იმ ადამიანის გაუბედურებისა. ეს მონაყოლი მერე მე თავისებურად გამოვიყენე „დელი მურადის“ წერისას.

— შეაშინეს ახალგაზრდა კაცი. ეშმაკებისა და ქაჯების სახით მოევლინენ, იარალის გამოყენების საშუალება არ მისცეს.... შუაღამისას კედელს რომ რალაცა მოასკდა და გამოვცვივდით, უგონოდ დაგდებული ვნახეთ იქვე. შემდეგ გონს მოვი-

ყვანეთ, საავადმყოფოშიც მოვათავსეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ. — დაამთავრა ჩვენმა მასპინძელმა (ვინაობას განზრახ არ ვასახელებ. იგი ახლაც ცოცხალია და ბათუმის მახლობლად ცხოვრობს). ღამენებისა გვისურვა და დაგვტოვა.

— მეშინია. მარტო ვერ დავიძინებ. — თქვა კომანდომ, მარტოდ რომ დავრჩით. არც მე მეძინებოდა. „დელი მურადი... გადელებული... გაგიჟებული მურადი“... — ამეკვიატა ფიქრები და იმ ღამიდან თავს ვეღარ ვაღწევდი მას.

ხუთი წლის მერე „დელი მურადმა“ საქართველო შემოიარა და რუსეთისკენაც გაიკაფა გზა.

ამით დავასრულეთ მესამე მოგზაურობა აჭარის მაღალმთიან სოფლებში და ბათუმში დაბრუნებისთანავე შევუდექით მომავალი წლისათვის მზადებას.

* * *

1935 წლის გაზაფხულია. აპრილის თბილი დღე. ჩვენი მსატვრული ბრიგადა წელს უფრო კარგადაა მომზადებული. ათი წევრისაგან შედგება იგი. მასში მხოლოდ კომანდო დობორჯგინიძე და მე ვართ წინა წლის მონაწილენი. ნინა და ვასილ ნინუები ერთი ოჯახის წევრები არიან — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ძალზე წესიერი და თავაზიანი ადამიანები. მონდომებული და ენერგიული ქალიშვილები არიან ტატიანა ცაავა და მარია კაჭარავა. ისინი ბათუმის მუშათა ერთ-ერთი კლუბის თვითმოქმედ წრეში მუშაობდნენ და ჩვენი თხოვნით ჩვენთან ერთად წამოსვლა ივალდებულეს. ასეთივე ხალისით დაგვთანხმდნენ დიმიტრი, ალექსანდრე და ბესარიონ კუტუბიძეები და ტიტიკო ლომაძე.

ერთი სიტყვით, წელს ჩვენი აგიტმსატვრული ბრიგადა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და მომძლავრებულია.

როგორც ყოველთვის, ხულოს რაიონით ვიწყებთ ხოლმე — რიყეთის სოფსაბჭოდან ან დიოკნისიდან თუ დანისპარაულიდან.

ამ სოფლებში უკვე გვიცნობენ. ზოგიერთ პიესასაც იცნობენ, მაგრამ მათთვის ახლებიც გვაქვს წამოღებული. ჩვენი დადგმები — „მყუდრო ოჯახში“, „მესამე ცოლი“, „ქალის საქმე“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“ და სხვანი, რომლებიც უფრო მოსწონთ ხოლმე, განმეორებით ვაჩვენებთ.

ახლა მოსწავლეებს სცენაზე გამოსვლა და ლექსის წაკითხვა არ უჭირთ. პირიქით — ხალისითაც გამოდიან. ერთმანეთს ცვლიან ლისა და ხალიე ძირკვაძეები, ემინე კახიძე და აბდულ საგინაძე. სიამოვნებით მონაწილეობენ ჩვენს სალამოებში ლორჯომელი გოგონები და ბიჭებიც. ამ ოთხ წელიწადში ისეთი ცვლილებაა მომხდარი ამ სოფლებში, რომ ძალიან მიკვირს. „სეირობა“ გავმართეთ აგრეთვე სოფელ მეკეიძეებში, აგარაში, დიდაჭარაში...

საერთოდ, დიდაჭარაში მუდამ დიდი წარმატება გვქონდა, მუდამ ბევრითად, ინტერესითა და გულისყურით გვისმენდნენ, ყოველთვის მადლიერები იყვნენ და ხელსაც გვიწყობდნენ, მაგრამ იმ დღეს, 26 აპრილს გამართულ საღამოზე უსიამოვნებას ვერ ავცდით.

ვილაცები ცდილობენ ჩაგვიშალონ საღამო. ისვრიან უადგილო რეპლიკებს, იცინიან უმიზეზოდ, ხმაურობენ... საკმაოდ მოზრდილი ჭაბუკები ჩანან.

— ასე თუ გაგრძელდება, „სეირობას“ შევწყვეტთ და გაგეცლებით აქედან. — ცოტა არ იყოს წყენით მივმართე დარბაზს.

თითქმის ყველამ დამიჭირა მხარი და ჩვენი გულისწყრომა სამართლიანად მიიჩნია. ჭაბუკები გაჩუმდნენ და მიიმალნენ, მაგრამ ჩვენს გულში წყენა მაინც დარჩა მოუშუშებელ ტკივილად.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სკოლაშივე იატაკზე გავიშალეთ ლოგინები და დავწექით, მაგრამ გულში ჩაყოლილი წყენა არ გვასვენებს.

— რატომ მოგვექცნენ ასე?

— რატომ მოიწადინეს სალამოს ჩაშლა?

— რაიმე ცუდი განზრახვა ხომ არ ამოქმედებს ვინმეს? — ვვარაუდობთ ჩვენ. ქალები მაინც არ გვახლდნენ...

ცივი ღამეა.

მოულოდნელად კარზე დააკაკუნეს.

— დაკეტილია? — ვეკითხები ჩუმად კომანდოს.

— არა, შენ მეტისმეტი მოგივიდა. — მისაყვედურებს კომანდო. იმდენი გულის-წყრომა არ იყო საჭირო. აწყენინე ახალგაზრდებს საჯაროდ.

— როგორ, ბიჭო, ხელს გვიშლიდნენ, რას არ იძახდნენ, ხმაურობდნენ. ველარ მოვითმინე!

— გაგვიღეთ კარი! — მოისმა ამ დროს გარედან და კარზე კაკუნიც მოჰყვა განმეორებით.

— რა გნებავთ? — შევეხმიანე მე.

— უნდა წამობრძანდეთ, ვახშამი მიირთვათ. — მოისმის გარედან.

— მადლობელი ვართ, არ გვინდა ვახშამი.

— ძალიან გთხოვთ, ნუ გაგვაწბილებთ. — ახლა მუდარის ტონით გამოგველაპარაკეს გარედან. — ცოტა დაგვაგვიანდა და...

დავიჯერო ბოროტი განზრახვით გვეპატიჟებიან?

კარს ფრთხილად ვაღებ.

— გვაპატიეთ, დროულად რომ ვერ გაგაფრთხილეთ! — და ორი კაცი შემოვიდა ჩვენთან. ერთი საკმაოდ მოხუცი, მეორე კი შუა ხნის იქნება.

— მადლობელი ვართ, ბიძაჩემო, — ვეუბნები მოხუცს. — ეს-ესაა ვივახშმეთ და დავწექით. — ვიცრუე მე.

— ყელამდე მაძღარი რომ იყოთ, უარს ნუ გვეტყვით. — სუფრა აქვე ახლო სახლში გვაქვს გაშლილი, ჭრა-კერვის სკოლაში.

— რა ვქნათ, ბიჭებო? — ვეკითხები ამხანაგებს.

— თქვენ როგორც იტყვით.

— მაშ, წავიდეთ! — გადავწყვიტე მე. — წავყვეთ ჩვენს მასპინძლებს მეგობრებო! — და ტანზე ჩავიცვით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფართოდ გაშლილ სუფრასთან ვსხედვართ. რა გინდა სულო და გულო — შემწვარი, მოხარშული... და წარმოიდგინეთ, ბოთლებით არაყი და შავი ღვინო!

ღვინო?!

არაყი?!

სად?!

მალალმთიან აჭარის სოფელში?!... აქ?!.. დიდაჭარაში?! დიდაჭარაში, სადაც ამ ხუთიოდე წლის წინათ ვენახის გაშენებაზე ლაპარაკიც არ უნდოდათ. ვენახი ხომ ყურძნის მშობელია, ყურძენი კი ღვინის დედაა, ღვინო კი...

სამასი წლის წინათ?

რამდენი კაცი შეეწირა ვენახის დაცვას. მდინარე ჭოროხი ქართველების სისხლით იყო შელებილიო, ამბობს ისტორია.

და გადაშენდა აჭარაში ვენახი. ბუნებისაგან კურთხეული ვაზი აიჩეხა შავშეთ-ერუშეთის უძველეს მიწაზე... აიკრძალა ღვინის სმა და მისი ხსენებაც კი.

ჰოდა, დღეს აქ, აჭარის შუაგულში, სოფელ დიდაჭარაში, გაშლილ სუფრაზე ბოთლებითაა ჩამორიგებული შავი ღვინო.

— გვაპატიეთ, ამხანაგებო! — ფეხზე დგება თემსაბჭოს ხელმძღვანელი. — ჩვენს სოფელში თქვენ მეოთხედ ხართ ასეთი მშვენიერი საქმისათვის ჩამოსული. ამდენი სამსახური გაგვიწიეთ, რამდენი დრო დახარჯეთ ჩვენთვის... ჩვენ კი ერთი სადილიც ვერ მოგართვით, ერთი ქართული სუფრა ვერ გაგიშალეთ... დღეს, გადავწყვიტეთ, გამოვისყიდოთ დანაშაული. მართალია, ჩვენმა ბიჭებმა ამ საღამოს ძალიან გაგანაწყენეს, ხელი შეგიშალენ, მაგრამ...

— უნდა გვაპატიოთ! — სამი ახალგაზრდა ერთად წამოდგა სუფრის ბოლოში.

— გასაჯოხავი იყავით! — წყრომით გადახედა მათ სუფრის ხელმძღვანელმა.

— ვიყავით გასალახი, მარა...

— რა ჩვენი ბრალია... აგი შავმა ღვინომ... — დაუმატა მეორემ.

— ზარხოშად გაგვხადა, ბიძიავ...

— მერე კი დავფიშმანდით, მარა...

— ჩვენს პარმენ ბიძიას და მის ამხანაგებს კი ვაწყენინეთ და...

— ღვინო კაი სასმელი ყოფილა... მარა, ზომაზე მეტი არ უნდა შესვა თურმე. — დაამთავრეს ჭაბუკებმა სათქმელი და საბოდიშო.

სოფსაბჭოს თავმჯდომარემ დაწვრილებით გაგვაცნო საქმე.

ჩვენთვის კარგი სუფრის გაშლა წინა დღით გადაუწყვეტიათ. იმ დღეს ყველაფერი გაუმზადებიათ, სოფლის სამი ჭაბუკი ხულოში გაუგზავნიათ ღვინის ამოსატანად. ახალგაზრდებს ჯერ წამოღებისას აუღიათ ჭაშნიკი, შემდეგ ცოტა-ცოტა გზაზე უხვრეპიათ და...

— გვაპატიეთ. ისეთ მდგომარეობაში სეირობაზე არ უნდა მოვსულიყავით.

— იმ დალოცვილს კაცის გადელებაც სცოდნია. — დაუმატა მეორემ.

— ბევრი ყაიმალი რომ ჭამო, იგიც გაგადელებს. — ღიმილით გადახედა ახალგაზრდას ჩვენი სუფრის ყველაზე უხნესმა მონაწილემ. ღვინით სავსე ჭიქა ასწია, ცოტა მოსვა და იქვე დადგა. — სხვაფრა არ იფიქროთ, ჭაჭების ავადმყოფობა მაქვს და ვერიდებიო, — დაუმატა.

ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდა. ისიც გამოირკვა, რომ აქამდე სარწმუნოებით აკრძალული სასმელი თურმე არც ისე უცხო ხილი ყოფილა ბევრისათვის. რელიგიით დაკანონებულ ამ წესს ისევე „ასრულებდნენ“ უმეტეს შემთხვევაში აქაურები, როგორც ქრისტიანები წირვა-ლოცვას.

...დიდაჭარიდან წამოსულებმა კვლავ ჩამოვუარეთ ხულოს, იქედან ავედით უჩამბაში, ჭვანაში. გავმართეთ საღამო-წარმოდგენები, გამოვუშვით საველე გაზეთები, გავაკარით ლოზუნგები და პლაკატები, ჩავატარეთ საუბრები. შემდეგ უკვე ქედის რაიონს ვესტუმრეთ.

საპირველმაისო „სეირობა“ ცხმორისში გავმართეთ. ოთხ მაისს ქედაში ვიყავით, ხუთ მაისს — მერისში, ექვსში — ალიქოლლებში, შვიდში — ვაიოში, და ამით დავასრულეთ აჭარის მთიანი რაიონების სოფლების აგიტმხატვრულ-კულტურული მომსახურება. 22 აპრილს გასულები, რვა მაისს დავბრუნდით ბათუმში.

„ახლა ჩვენ გასეირნებთ“

...მეექვსედჯერ ამოვდივარ ამ კუთხეში — 1924, 1931, 1933, 1934, 1935 და... დღეს 1936 წლის ივლისია. ცხელი ზაფხულის დღე. აქამდე აგიტმხატვრული ბრიგადა ამომყავდა აქ, წარმოდგენებს ვმართავდით... ახლა კი, უკვე მეექვსედჯერ, არა ამ საქმისათვის ამოვსულვარ, არამედ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენი „ბრიგადა“ სულ სამი კაცისაგან შედგება: ახალგაზრდა პოეტი შალვა იოსელიანი, ჟურნალისტი კომანდო დობორჯგინიძე და მე. ჩვენ არც ვინმეს დავალებით წამოვსულვართ, არც ვისმეს დაკვეთით... არა ვართ აქ გამოგზავნილები, ასე ვთქვათ, სამივლინებო სარჯებით... უბრალოდ, მოვისურვეთ ამ ულამაზესი კუთხის დათვალიერება, მისი მიღწევებისა და აღორძინების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა საგაზეთო წერილებისა და ნარკვევების სახით.

— დღეს ჩვენი სკოლის დარბაზში სეირობა გვაქვს, მობრძანდით! — მოგვმართავს ღორჯომის თემსაბჭოსთან არსებული ქოხსამკითხველოს ხელმძღვანელი.

— კომანდო, ჩაიწერე, თუ ძმა ხარ! — ვეუბნები დობორჯგინიძეს. — გესმის?.. „სეირობაზე“ გვიწვევენ... გაბსოვს?..

— თქვენს გამართულ სეირობაზე რომ გვიჭირდა მოსვლა? — იღიმება სამკითხველოს მუშაკი. — მაშინ ამდაგვარი რამეები ცოდვად მიგვაჩნდა... მაგრამ... — იგი წამით ჩაფიქრდა და განაგრძო, — მალე ამ ჯამეს კლუბად გადავაკეთებთ. ასე ვაპირებთ.

ღორჯომელების მიერ გამართულ საღამოს სიამოვნებით დავესწარით. კარგი დრო გავატარეთ, უბის წიგნაკები ჩანაწერებით ავავსეთ და სხვა სოფლებისკენ გავსწიეთ.

შემოვიარეთ რიყეთის, დიდაჭარის, უჩამბის, აგარისა და სხვა თემსაბჭოებში გაერთიანებული სოფლები. დავარიგეთ წაღებული ლიტერატურა. წავიკითხეთ ბევრი ქართული ლექსი ჩვენი კლასიკოსებისა, აგრეთვე ჩვენი საკუთარი ლექსები. ქედაში ჩამოსულებმა რაიონის კლუბში მოვაწყვეთ ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საღამო. მეორე დღეს კი ვესტუმრეთ სოფელ ვაიოსა და გულებს, სადაც ცნობილ ყაჩაღ მევლუდ დიასამიძის მოკეთეებს, ნაცნობებსა და მეგობრებს გაჯეცანი. ძალიან მდიდარი მასალით დატვირთული დავბრუნდი ბათუმში.

* * *

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მართალია, ყოველ წელს ველარ მოვინახულებდი ხოლმე ჩემს საყვარელ ადგილებს, ველარ ვხვდებოდი იმ გოგონებსა და ბიჭუნებს, „სეირობის“ დროს ლექსებს რომ ვაკითხებდი სცენიდან, ვერ ვნახულობდი იმ ქალიშვილებს, დედებს, უბრალო და სათნო გლეხებს, რომლებიც ჩვენს მიერ გამართულ საღამოებზე კრძალვით გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მაგრამ გული ყოველთვის მიწევდა მათკენ. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოვუვლიდი ყოველთვის ჩემი რომანის „ჩაის“ გმირების ფერიდესა და მოედინ ბარაძის სოფელს, „დელი მურადისა“ და „მევლუდის“ გმი-

რებს, ვეცნობოდი ძველსა და ახალ ამბებს, რომლებიც მუდამ მასაზრდოებდნენ როგორც შემოქმედს.

აჭარაში ჩემი მოგზაურობიდან ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ „სადიპლომო შრომა“ ჩაბარებული მქონდა. ჩემს რომანებს სიყვარულით კითხულობდნენ ის პირები, რომლებიც ერთ დროს ჩვენს გამართულ „სეირობას“ ესწრებოდნენ გაოცებულნი და რომლებმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ.

ბევრი დრო გავიდა მას მერე... დღეს მე მწერალი ვარ. აქამდე შეუბღალავად ვატარებ ამ სახელს. განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ჩვენი მკითხველების მოსაზრებები ჩემს შემოქმედებაზე, მათი პირუთვნელი აზრი. მათი სიყვარული ძალასა და ენერგიას მმატებს. და თუ მე იმ სიმაღლემდე ავიწიე, რომ ვიხსენიები ქართველ მწერალთა შორის, ამას, უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა ვუმადლოდე, ამას უნდა ვუმადლოდე იმ ყამირ ნიადაგს, რომელიც აქ, ამ კუთხეში დამხვდა და ჩემს შემოქმედებას შნო და ლაზათი შემატა.

დიდება ჩვენს ქვეყანას! ჩვენს ლამაზსა და უხვ სამშობლოს!
მის ხალხს დიდება!
ქება შენ, „დედა ენაში“ ჩასატყლო აჭარელო ბიჭო!

ბათუმი, მაისი, 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ზ ე ი მ ო

დედასამშობლოვ, საქართველოვ, ოქროვენახო,
აბონთებულო მარადიულ მზედ და ვარდებად,
დიდის დიდების ორბიტაზე ბევრჯერ გენახოს
მზიურ აჭარის სასახელო განავარდება.
ხალხო ძლიერო, სიყვარულის დროშად გაშლილი
მოგაქვს სიცოცხლე და მშვიდობა დაუძლეველი.
ჩვენი დროის და თაობების დიდი კავშირი
გუგუნებს, როგორც უკვდავების საკურთხეველი.
ძმაო, მშრომელო, მიწისა და დაზგის მინდიავ,
დაო, კეთილო, უკვდავების თეთრო გადიავ,
დროშა მაღალი და ვარსკვლავი, რაც აგინთია,
ყველა სიმდიდრე და სიკეთე, რაც გვაბადია,
ახალ დიდების და მადლობის ძეგლად მაღლდება
და გული შენი მასში ფეთქავს, მასში ხმიერობს.
რაც ააშენე, რაც შენდება და განახლდება,
სულ მშვიდობაში მოგეხმაროს, გიბედნიეროს!
დიდი მადლობა, მისი იყოს მრავალჟამიერ,
ვინც ასე ხედავს და აფასებს ამ შემართებას!
მე მჯერა, ძმებო, — ზეიმები აწ და ამიერ
სულ გამარჯვების გვირგვინებით გაიმართება.
დედასამშობლოვ, საქართველოვ, ოქროვენახო,
ამონთებულო მარადიულ მზედ და ვარდებად,
დიდის დიდების ორბიტაზე ბევრჯერ გენახოს
შენი შვილების სასახელო განავარდება!



ოთარ ფუტკარაძე

მამია აბაშიძის ოქროს ვარსკვლავი

ნარკვევი

„ჩვენ თამამად შეგვიძლია გმირად მოვიხსენიოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც თითქმის ოცი წელია სათავეში უდგას მამია აბაშიძე. მან მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და დააწინაურა იგი. კოლმეურნეობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ჩაის, ციტრუსებისა და ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, დააჩქარა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. მარტო ის რად ღირს, რომ ბოლო წლებში საკუთარი სახსრებით აქ აიგო ექვსი სასკოლო შენობა, სამი მათგანი — მეათე ხუთწლედში. მამია აბაშიძე, როგორც სოფლის თავკაცი და მოამაგე, სახალხო დეპუტატი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ჰყავს ხუთი შვილი და ათი შვილიშვილი, გამოირჩევა გამრჯე კაცისათვის ნიშანდობლივი შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით, პარტიისა და ხალხის ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებით. ჯილდოს მასთან ერთად ინაწილებს ასობით ჩვენი მოწინავე თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეაქვთ წარმოების აღმავლობასა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნაში“.

ასეთი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ ჩაისუბნელთა თავკაცის მამია აბაშიძის დამსახურებას, როდესაც მას სამშობლოს მაღალ ჯილდოს გადასცემდა. მ. აბაშიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად, სკკპ XXVI ყრილობის დღეებში მიენიჭა.

* * *

...სამი წლისა იყო მამია აბაშიძე, როდესაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ემთხვევა სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრების წლებს, ფეხს იდგამდა საკოლმეურნეო წყობილება, იქმნებოდა მიწათმოქმედების ამხანაგობები.

სწავლობდა და თან დღენიადაგ ველ-მინდვრებში ტრიალებდა. ცხადია, ამ წლებმა დიდი გამოცდილება შესძინა.

17 წლის ჭაბუკმა შრომითი საქმიანობა ბრიგადირობით დაიწყო. ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, მაგრამ...

სოფლის ცენტრში მარადიულ ცეცხლად ანთია 138 ჩაისუბნელი ვაჟკაცის სახე. ეს მემორიალი გამარჯვების 35-ე წლისთავზე თავმჯდომარის თაოსნობით აუგეს ღიმილის ბიჭებს თანასოფლელებმა. ასე გაიხსენა ვეტერანმა შინმოუსვლელები, მასთან ერთად ხუთი წლის მანძილზე რომ მუსრავდნენ პირსისხლიან ფაშისტებს.

ომგადახდილი მშობლიურ კერას რომ დაუბრუნდა, ერთხანს ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში იმუშავა მუშად. მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

— ძალზე გაჩანაგებული იყო მაშინ ციტრუსოვანთა ბაღები და ჩაის პლანტაციები. ალდგენითი სამუშაოები იყო აქ საჭირო. — იგონებს საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი ლომან თურმანიძე, რომელიც მამია აბაშიძესთან ერთად დაბრუნდა ომიდან, — მამია ავირჩიეთ თავმჯდომარედ და არც შევმცდარვართ — ჩამორჩენილი კოლმეურნეობა მალე ჩააყენა მოწინავეთა რიგებში... პირველსავე წელს შრომადღეზე 30 მანეთი გავანაწილეთ.

ახლადარჩეულმა თავკაცმა შემოიკრიბა სოფლის აქტივი. გულდასმით გაეცნო გამოუყენებელ რეზერვებს, მოსავლიანობის გადიდების მოწინავე მეთოდებს, შემდეგ კი ერთობლივად შეიმუშავეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და საქმესაც შეუდგნენ. უპირველეს ყოვლისა, ზუსტად აღრიცხეს მუშახელი, თითოეულს მოწოდებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიუჩინეს სამუშაო, განამტკიცეს დისციპლინა ,კონტროლი დააწესეს მინდვრებისა და პლანტაციების მოვლა-დამუშავებასა და მოსავლის აღება-დაბინავებაზე. საჯარო, ქმედითი და მასობრივი გახდა სოციალისტური შეჯიბრებაც.

ყოველივე ამან აამაღლა კოლმეურნეთა დაინტერესება და აქტიურობა. ვინც კარგად იმუშავა და კოლმეურნეობას მეტი დოვლათი შესძინა, წაახალისეს მატერიალურად და მორალურად. როგორც ლომან თურმანიძემ თქვა, პირველსავე წელს მოიპოვეს პირველი დიდი გამარჯვება ჩაისუბნელებმა.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

კარგა ხანია ამ ერთ-ერთ და მძლავრ საზოადოებრივ მეურნეობას სათავეში უდგას მამია აბაშიძე.

დიდ ილიას უთქვამს:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა დღეს მე ვის რა ვარგე“.

სწორედ ეს წესი შეადგენს მამია აბაშიძის ცხოვრების მიზანს. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ჩაისუბანი დღეს ასე ღონიერია. ეს ამ დიდი სოფლის გზებზე ერთი ჩავლითაც ნათლად იგრძნობა. კოლმეურნეობის კანტორის ფართო ინტერიერში გამოკრული მასალებიც ამაზე მეტყველებენ.

გადაჭარბებით შესრულდა მეათე ხუთწლედის დავალებები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. შარშანდელი, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შედეგები კი ასეთია:

სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის დავალება 104 პროცენტითაა გა-

ნაღდებული. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ხილის, ბოსტნეულის, ტუნგისა და ციტრუსოვანთა დამზადების დავალებანი.

გეგმის გადამეტებით მიღებული პროდუქციის შედეგად კოლმეურნეობის მთლიანმა შემოსავალმა დაგეგმილს ნახევარ მილიონამდე მანეთით გადაამეტა და სულ 3.370.000 მანეთი შეადგინა. აქედან ნახევარზე მეტი შრომის საზღაურად გაიცა — თითოეულ კაცდღეზე საშუალოდ რვა მანეთი და 56 კაპიკი.

ეს წარმატებები იმითაა განპირობებული, რომ კოლმეურნეობის გამგეობა გულდაჯერებით და თანმიმდევრულად წარმართავს კოლექტივის ღონისძიებებს, ფართოდ იყენებს მართვის დემოკრატიულ ფორმებს, აქტიურად აბამს ყველა მშრომელს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში.

ამ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად სოფლის წარმატებები განაპირობა კოლმეურნეობათა გამსხვილებამ. ცხადი გახდა, რომ გაერთიანებულ კოლმეურნეობაში უკეთ გამოიყენება ტექნიკა, სასუქები, სწორედ ერთიანმა, შეხმატკბილებულმა შრომამ მოიტანა დიადი გამარჯვება — გარდამავალი წითელი დროშები, აგერ უკვე მერამდენედაა, რომ დაჯილდოვდნენ ჩაისუბნელები. ამაში კი დიდია წვლილი მამია აბაშიძისა, პირადი მაგალითით რომ ალაფრთოვანებს ყველას.

შარშან, როცა უსაშველო გვალვები იყო, ბევრმა ხელი ჩაიქნია, ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა წელს არ შესრულდებაო. მაგრამ თავმჯდომარე სხვაგვარად ფიქრობდა. დღე-ღამ პლანტაციებში ტრიალებდა და მეჩაიეებს ამხნევებდა. ახლა იხსენებენ: გული არ უთმენდა და ზოგჯერ თავადაც კრეფდა ჩაის ფოთოლსო.

ჩაისუბნელთა თავკაცს სხვა მრავალი შესაშური თვისებაც აქვს.

რაც მთავარია, აქვს იმის ძალა და ვაჟკაცობა, რომ კრიტიკულად შეაფასოს თავისი მოქმედება, აღიაროს შეცდომა. ვერ იტანს მლიქვნელსა და მატყუარას, უგერგილოსა და უინიციატივოს.

მერვე ბრიგადის ხელმძღვანელმა, რაიონული საბჭოს დეპუტატმა ავთანდილ ბალაძემ გვითხრა:

— მამია ყოველთვის, ჭირში თუ ლხინში მხარში გვიდგას. საქმის დროს საქმეს ითხოვს მკაცრად. ვერ იტანს უქნარას. მისი საზრუნავია, სოფელში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი და მუქთახორა.

თავად აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე მდგომი, სხვებშიც ამ თვისებას აფასებს ყველაზე მეტად. ფრონტზე მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში და სრულიად კანონზომიერად ამაყობს ამით.

ხუთი წლის წინათ პარტიულ კომიტეტში ერთ ახალგაზრდა კაცს განცხადება შეუტანია, პარტიის წევრად მიმიღეთო. იმ დროს თავმჯდომარე იქ ყოფილა და უთქვამს:

— საკოლმეურნეო შრომაში წელი არ გწყდება, არც მამაშენს არგიხარ მაინცდამაინც. ერთი ეს მითხარი, პარტიაში რად შედიხარ, რა მიზანი გამოძრავებსო?

იმასაც უტიფრად უპასუხნია, უმაღლესში მინდა მოვხვდე და პარტიის წევრობა დამეხმარებაო.

ამის თქმაზე აფეთქებულა თავმჯდომარე. განცხადება თავზე კინალამ დაახია იმ ბიჭს. პარტიის წევრს ის უპირატესობა აქვს, თუ ამას უპირატესობა ჰქვია, რომ ქვეყანას უკეთესად უნდა ემსახუროსო.

ამ შემთხვევის შემდეგ ის ახალგაზრდა უცნაურად შეიცვალა თურმე. შრომას შეეძალა, მოწინავე გახდა, თავმჯდომარესთან შეხვედრას კი მაინც ეკრძალებოდა.

შარშან თავად თავმჯდომარეს მიუცია რეკომენდაცია...

— პარტიულ ორგანიზაციაში მაგალითის მიმცემი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. აქტიურად ჰონაწილეობს პარტიულ ცხოვრებაში. კრებებზე მისი გამოსვლა ყოველთვის პრინციპული, საქმიანი და კონკრეტულია. შვიდი წელია, ერთად ვმუშაობთ და მისგან ბევრი კარგი ვისწავლე. — თავის აზრს გვიზიარებს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ნოდარ ბერიძე.

მამია აბაშიძესთან ერთად იზრდებოდა და მშვენდებოდა სოფელი. დღეს ჩაისუბნელთა განკარგულებაშია 800-ადგილიანი კლუბ-კანტორა, 4 სასოფლო კლუბი, სამი საშუალო, ხუთი რვაწლიანი და სამი დაწყებითი სკოლა, საექიმო ამბულატორია, აფთიაქი, საფერშლო პუნქტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ყოველ მესამე ოჯახს აქვს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა, ყველა ოჯახშია ტელევიზორი, მაცივარი, გაზი, სოფლის ტერიტორიაზე არსებული საწარმო-დაწესებულებები მთლიანად ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. 60-მდე ახალგაზრდა სწავლობს ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ირგვლივ ყველაფერს კარგი მეურნის ხელი ატყვია — საზოგადოებრივ თუ საკარმიდამო ნაკვეთებს, კოხტა ოდა-სახლებს, გზებსა თუ ხიდებს.

განსაკუთრებით ლამაზია აქაურობა შემოდგომაზე, როცა ბარაქიანი რთველი დადგება ჩაისუბანში. ჭირნახულს რომ დააბინავებს მშრომელი, ძაშინ მოიცლის სალაღობოდ. გაჩაღდება ქორწილები და ძეობები, ლხინი და სიმღერა.

ბარაქიან შემოდგომაზე გადაუხადეს მადლიერმა თანასოფლელებმა ღვაწლმოსილ თავკაცს სამოცი წლის იუბილეც.

ეს იყო სამიოდე წლის წინათ.

სწორედ ეს დრო გაიხსენა, როცა ვკითხეთ, თქვენი ცხოვრების ყველაზე ღირსსახსოვარი დღე რომელიაო.

— იმ დღეს გავიგეო პირველად, თუ რარიგ ვყვარებივარ თანასოფლელებს, ცრემლი მომერიაო თვალებზე. — გამოგვიტყდა თავმჯდომარე.

ჩაისუბნელთა ზეიმს თავიანთი ხმა შეუერთეს ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნისა და მეზობელი ახალშენის მშრომელებმაც, დიდი ხნის მეგობრობა რომ აკავშირებთ ერთმანეთთან.

ბევრი ისწავლეს ჩაისუბნელებმა თავიანთი „მეტოქეებისაგან“, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი თავად ასწავლეს. ეს იუბილეზეც თქვეს ხმაწაღლა ოქროპირ შარაშენიძემ და კუკური დუმბაძემ.

„ჭეშმარიტი გმირები ყოველდღიურ ვითარებაში, ჩვეულებრივ მოკრძალებულნი, თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ისინი უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს“. — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები დიახაც ესადაგება ჩაისუბნელთა თავკაცის ბუნებას. მას არ უყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა, მაგრამ სხვის ღვაწლს არასოდეს ივიწყებს. იგი საოცრად თბილი და ყურადღებიანია ყველას მიმართ, ამასთან შესანიშნავი მეუღლე, ხუთი შვილის მამა და ათი შვილიშვილის მოსიყვარულე ბაბუაა. შვილები ისე აღზარდა, დააფრთიანა და ცხოვრების გზაზე დააყენა, რომ მთელი სოფელი შენატრის.

— მოუცლელობა რა ბედენაა, კარგ ადამიანებად უნდა აღზარდო შვილები, არ უნდა დაგაბრმავოს შვილის სიყვარულმა, პირველის მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ უმცროსები. — იტყვის ხოლმე მამია აბაშიძე და ამასვე ურჩევს ახალგაზრდა მშობლებს.

უფროსი — ციური კაპრეშუმის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელია. უყვართ და ჰფასებენ საქმის მცოდნე, დაუზარელ პედაგოგს თანასოფლელები. მის მაგალითზე აღიზარდნენ ეთერი — ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს მედდა, ზურაბი — ახალშენის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ნათელა — ჩაის-

უბნის ჩაის ფაბრიკის თანამშრომელი, და ნაბოლარა ნაზი — თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს მედდა.

ყველას თავისი ბუდე მიუჩინა მამია აბაშიძემ და ახლა ხარობს თავისი შვილებისა და შვილიშვილების სიკეთით.

ახლა საზოგადოებრივ საქმიანობას არ იკითხავთ? ყველაფრისათვის იცლის, ყველაფერს ასწრებს, სულაც არ ეტყობა, რომ ექვს ათეულ წელს გადააბიჯა უკვე.

მამია აბაშიძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის, აჭარის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე, მერვე და მეცხრე მოწვევის დეპუტატად. დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, რვა მედლით, პატივიცემა „საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ წოდება.

მაგრამ ყველაფრის გვირგვინი, ცხადია, გახლავთ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის მუშაობის დღეებში რომ მიენიჭა.

— დიდად მადლობელი ვარ, რომ პარტიამ და მთავრობამ ასე დააფასეს ჩემი შრომა. დიდი ხანია კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ და არ მახსოვს, რომ ჩვენი გარჯა არ დაფასებულიყოს: ყოველთვის ვიღებდით ჯილდოებს, გარდამავალ წითელ დროშებს, ფულად პრემიებს... და ბოლოს ასეთი დიდი აღიარება — სოციალისტური შრომის გმირის წოდება. — ამბობს ღვაწლმოსილი თავმჯდომარე და პარტიასა და მთავრობას აღუთქვამს, რომ კვლავაც ენერგიის დაუზოგავად იშრომებს მეთერთმეტე ხუთწლედში, თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ დაზოგავს ამ ამოცანების ხორცშესხმისათვის ბრძოლაში, რაც პარტიის XXVI ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე.

ჩაისუბნელებსაც გულით უხარიათ თავიანთი თავკაცის აღიარება, თავისად აღიქვამენ მაღალ ჯილდოს და თავდადებით შრომობენ, რათა კიდევ უფრო ამრავლონ წარმატებები და ახალი გამარჯვებით ასახელონ სამშობლო.

შალვა შუბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს

შენ მეძახოდი,
არ შევმდგარვარ წამით
მეც არა, —
დასასვენებლად,
სანებივროდ
როდა მეცალა...
გჯეროდა ჩემი,
არ ვყოფილვარ კაცი უგულო.
ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით
ვცოცხლობთ,
ვსულდგმულობთ.
შენ დიდი გზა გაქვს,
ამ გზის იქით
კიდევ გზებია.
მე, შენს თანატოლს,
დახე, წვერიც გამთეთრებია.
დავბერებულვარ,
მომწევია ჟამი მიმწუხრის.
შენ კი ჯაბუკმა
ახლა უფრო გაშალე მუხლი.
როგორ მინდოდა,
კვლავ გყოლოდი
მეკვლედ,
მეგზურად.
ვითარცა დღემდე,
მომავალშიც შენზე მეზრუნა,
შემოგაბერდი —
შენი მეკვლე მუხლმოუდეგელი.
წიქარასავით
უწევია ვისაც უღელი.
გამოგეცლები,
მაგრამ ნუკი შემიშინდები.
ჩემს მაგივრობას
გაგიწევენ ჩემი შვილები.
გჯეროდეს მათი,
ჩემზე უკეთ გასწევენ უღელს,
მტრედებით ზეცას მოქარგავენ,
ვითარცა ნუგეშს,
და გასწევ წინ-წინ,
როგორც დღემდე გაგიწევია,
შენს მძლე ნაბიჯებს
შეჩერება არ უწერია!

მიხეილ მშვიდობაძე

რევკომის თავმჯდომარე

ღამეა, მაგრამ ქალაქს არ სძინავს. ქუჩებში კანტიკუნტი სროლის ხმა ისმის. მოსახლეობა ვერ გარკვეულა, რაც გარშემო ხდება. მთავრობამ, რომელსაც მანამდე საქართველოს ბატონ-პატრონად მიაჩნდა თავი, სამშობლო დატოვა და უცხოეთს მიაშურა... თურქებმა ქალაქის ქუჩებში ჯარის ნაწილები განალაგეს. „გოროდოკის“ ყაზარმებთან, სადაც ქართული ჯარის ნაწილები არიან დაბინავებული, მათ სანგრები გათხარეს და ჩასაფრდნენ.

ქართულ ჯარში ზემდეგად მსახურობდა მწერალი პარმენ ლორია. იგი იგონებს, რომ შუაღამისას მასთან მივიდა უცნობი პირი, რომელმაც ლაქდასმული კონვერტი გადასცა.

„კონვერტზე,—წერს პ. ლორია, — ჩემი თანამდებობა, სახელი და გვარი ეწერა. საიდან? როგორ? ვინ მიცნობს ამ უბრალო პიროვნებას? — გავიფიქრე და წერილი გადავიკითხე. „რევოლუციური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ, ხვალ, დილის 10 საათზე, გუნდის მთელი შეიარაღებითა და შემადგენლობით გამოცხადდეთ რევკომში“. წერილს ხელს აწერდა რევკომის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე.

სასიხარულო ამბავი იყო: გაგვიჩნდა მზრუნველი და ხელმძღვანელი. ს. ქავთარაძეს პირადად არ ვიცნობდი, არასდროს არ შემხვედროდა, მაგრამ მასზე ბევრი კარგი მსმენოდა. თვით სხვა პარტიების ბელადებიც კი არ იხსენიებდნენ აუგად. პატიოსან, კეთილშობილ და მტკიცე იდეურ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ“.

რევკომს გადაეწყვიტა გამოეყენებინა ქალაქში დარჩენილი ქართული ჯარის ნაწილები და თურქეთის ჯარი ბათუმიდან გაერეკა.

„მთავარი დარტყმა მტერზე ჩვენს გუნდს უნდა მიეტანა, — წერს პ. ლორია. — ჩვენ ხომ ყველაზე „მრისხანე“ იარაღი — ტყვიამფრქვევი გვქონდა.

ახლა თავს აღარ ვგრძნობდით უპატრონოდ, აღარ გვეშინოდა ბრძოლისა, თუნდაც ათჯერ უძლიერეს მტერს შევერკინებოდით.

გამთენიისას დავიწყეთ შეტევა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველების იერიშს და ქალაქი დატოვა. საღამოს ქუჩებში ქართული ლაშქრული სიმღერები გაისმა“.

სერგო ქავთარაძემ პროფესიული რევოლუციონერის შესანიშნავი გზა განვლო. იგი დაიბადა 1885 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ზოვრეთში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

რევოლუციურ მოძრაობაში სერგო 17 წლისა, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ჩაება. ჯერ კიდევ გიმნაზიელი, ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო ქუ-

ჯიხის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციისა, რომელიც 1904 წელს გაიმართა. იმავე წლის აგვისტოში იგი რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრად აირჩიეს.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში ს. ქავთარაძე დაუახლოვდა გამოჩენილ პროფესიულ რევოლუციონერებს, მათთან ერთად ეწეოდა პარტიულ-რევოლუციურ მუშაობას: წერდა პროკლამაციებს, გამოდიოდა რევოლუციური სიტყვებით კრებებსა და მიტინგებზე, მონაწილეობდა დისკუსიებში მენშევიკების წინააღმდეგ, თანამშრომლობდა ლენინურ გაზეთ „პროლეტარში“, მიმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან.

ბათუმის გაზეთ „უწყებების“ 1921 წლის ნომრები. რამდენ საინტერესო ამბავს, რამდენ საიდუმლოს ინახავს ეს გაყვითლებული ფურცლები! აი, თუნდაც 8 სექტემბრის ნომერი. მასში დაბეჭდილია „კატორღელის“ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ალექსანდრე წულუკიძის წიგნის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ მეორე გამოცემის გამო.

„ძველი მარქსისტები და ამხანაგები, რომლებიც ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის მოწამენი და მონაწილენი იყვნენ, — წერს „კატორღელი“, — კარგად იცნობენ როგორც ამ წიგნაკს, ისე მის ავტორს...

საერთოდ რევოლუციონური მოძრაობის ისტორია საქართველოში მდიდარი და შინაარსიანია. მისი ეპიზოდების თვით ოდნავი გაცოცხლება-წარმოდგენა ჩვენ სიამესა გვგვრის და ასეთი ეპიზოდების გახსენება-შენახვა ისტორიისათვის ძვირფასი საგანძურია. მომავალ რევოლუციონურ ისტორიის ფურცლებში ჩვენ ამოვიკითხავთ სახელს ბევრი ჩვენი ამხანაგისას და გავეცნობით მათს მოღვაწეობას; აქ იქნებიან საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ეგნატე ინგოროყვა და სხვა მრავალი მუშა და ინტელიგენტი.

მდაბიო ენით დალაგებული აზრებით საშას „ნაწყვეტები“ ერთი პირველი მოამაგონებელი და აღნიშვნაა 1905 წლის რევოლუციისა“.

ამ ბიბლიოგრაფიული შენიშვნიდან ჩანს, რომ „კატორღელი“ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ვეტერანია. ასეთ პიროვნებად მაშინდელ ბათუმში მხოლოდ სერგო ქავთარაძე — სკკპ წევრი 1903 წლიდან, ბათუმის საოლქო რევკომის პირველი თავმჯდომარე გვესახება. ეს ფსევდონიმი 1917 წელს ციმბირში გადასახლების მისჯისა და მჩქეფარე რევოლუციური ცხოვრების გამო აურჩევია. სერგოს კარგად ახსოვდა 1905 წლის ქარიშხლიანი ამბები, რომელთა უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი თვითონ იყო.

1905 წლის ნოემბერში ს. ქავთარაძემ მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციის მუშაობაში. იგი დიდ საბრძოლო-ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისას. ამ პერიოდში საქართველოს გლეხობამ თავი ისახელა ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლებით და ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მატიანეში. ეს წარმატებები უთუოდ იყო დაკავშირებული ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების, მათ შორის ს. ქავთარაძის სახელთან.

1906 წლის დასაწყისში ს. ქავთარაძე პარტიამ საზღვარგარეთ გაგზავნა იარალის შესაძენად. ჰელსინგფორსში იგი პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. სერგო იმავე წლის ბოლოს დაბრუნდა და არალეგალური პარტიული მუშაობა განაგრძო ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, ბაქოში და სხვაგან.

1912-1914 წლებში ს. ქავთარაძე ლენინური გაზეთის „პრავდის“ თანამშრომელი იყო. არალეგალური პარტიული მუშაობისათვის რამდენჯერმე დააპატიმრეს.

1917 წლის დამდეგს ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მოუსწრო და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ციხიდან გამოსვლისთანავე დიდი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა ბოლშევიკური პარტიის გარშემო რევოლუციური მასების დასარაზმავად. 1917 წლის მარტიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“. 1917 წლის ივლის-აგვისტოში ს. ქავთარაძე მონაწილეობდა რსდმპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში როგორც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატი. იმავე წლის ოქტომბერში იგი პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1918 წლის 10 თებერვალს სერგო ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ მიტინგს, რომელიც თბილისში ალექსანდრეს ბაღში გაიმართა. 1918 წლის მაისის ბოლოს იგი სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის, ქალაქ ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს. 1920 წლის მაისში ს. ქავთარაძე საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის მრჩევლად დაინიშნა.

1921 წლის დასაწყისში მენშევიკურმა მთავრობამ იგი კვლავ დააპატიმრა. საპყრობილედან განთავისუფლდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს. იმავე დღეს სერგო ბათუმისა და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თურქი ასკერებისაგან ბათუმის ოლქის განთავისუფლება 1921 წლის მარტში.

თავის მოგონებებში „1921 წელი, თებერვალი“ სერგო ქავთარაძე წერს, თუ როგორ გადაიყვანა პანიკით შეპყრობილმა მენშევიკურმა მთავრობამ პოლიტიკური პატიმრები ქუთაისის ციხიდან ბათუმის ციხეში: „ბათუმის ციხე პატარა აღმოჩნდა, ჩვენ ყველანი ვერ დავეტიეთ და ნაწილი გაგზავნეს ფორტებზე, საიდანაც იმ ღამესვე დაიწყეს პატიმრებმა გაქცევა. ქალაქი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ იყო სინათლე, სათბობი, სანოვაგე, ქუჩები აქოთებული იყო სიბინძურისაგან. ლტოლვილთა ტალღა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოედინებოდა შეუწყვეტლივ ბათუმისაკენ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი უნდა ყოფილიყო ცხოვრების პირობები ციხეში. ჩვენ გვკვებავდნენ ტკბილ-მწარე სოიოს კვერებით და რაღაც გაუგებარი ბალანდით. ფორტებიდან გაქცეულმა ამხანაგების ჯგუფმა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის დახმარებით სცადა მოეწესრიგებინა ჩვენთვის კვება, მოეწყო გადაცემები, მაგრამ მათი შესაძლებლობა შეზღუდული იყო და ეს ძლივს შეგროვებული ნამცეცები, აბა, რას გააძლებდა სამასიოდე ცარიელ კუჭს...

ციხიდან რომ გამოვედით, ქალაქში ნამდვილი ქაოსი სუფევდა. თურქების შეიარაღებული ძალების მთავარი ნაწილი უკვე ქალაქში იყო და იწყებდა პარპაშს. ქუჩებში გაკრული იყო თურქეთის სარდლობის ბრძანებულება, რომლის ერთი მუხლი ამბობდა, რომ გამოსაძიებელი და სხვა საქმეები გადადიან თურქეთის სასამართლოს იურისდიქციაში. ცენტრში დასეირნობდა პიკეტი ასკერებისა, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. ქალაქში შემოდიოდა ასკერთა ახალი ჯგუფები, გადმოსროლილი ხოფიდან და რიზედან... საქართველოს კომუნისტების წი-

ნაშე, რომლებსაც აბალი დატოვებული ჰქონდათ ციხე, იდგა ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს შექმნა, თურქების განდევნა ქალაქიდან, ცხოვრების ელემენტარული პირობების მოგვარება, ქალაქის განტვირთვა, თბილისთან კავშირის დამყარება (ფოსტა და ტელეგრაფი თურქების მიერ იყო დაკავებული).

ჩვენ უმალვე დავიკავეთ მენშევიკების გენერალ-გუბერნატორის ცარიელი სახლი და ფართო პარტიულ კრებაზე ჩამოვაყალიბეთ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე. რევკომის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ აჭარის მოსახლეობის წარმომადგენლები მემედბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე...

ქალაქში ისმოდა სროლა. ჩემთან მოვიდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ ოფიცერთა ჯგუფი, რათა გავეცილებინე რევკომამდე.

ეს ოფიცრები ერთბაშად გამოცხადდნენ რევკომში და შეგვთავაზეს სამსახური თურქების ქალაქიდან გასადევნად. მათვე გვაცნობეს, რომ მენშევიკების ჯარის ნაწილები გაფანტულია ფორტებში, ყაზარმებში — ქალაქში და ქალაქგარეთ და მათ შორის დაიწყო დეზერტირობა. რევკომმა იმ ღამესვე გაგზავნა იმ ნაწილებში აგიტატორები კარპ მ-ს მეთაურობით, რათა შეეჩერებინათ ჯარისკაცები, აეხსნათ მათთვის, რომ საფრთხე მოელოდა ბათუმს, რომ საჭიროა გადამწყვეტი შეტევა თურქების წინააღმდეგ, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბათუმი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ახლა პარტიების საკითხი არ დგას, არამედ ჩვენი ქართული ქალაქის ხსნაშია საქმე. ჯარისკაცთა შორის დიდი უმრავლესობა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან იყო. აგიტაციამ მოახდინა მათზე გავლენა, აამაღლა მათი ბრძოლისუნარიანობა. კომუნისტების რაზმი, რიცხვით 200 კაცამდე, სახელდახელოდ შეიარაღებული, გენერალ ვ. ც-ძის მეთაურობით გაგზავნილი იყო სადგურის რაიონში, რათა დაეცვა 1.500 ვაგონი და პლატფორმა ბათუმში მენშევიკების მიერ მორეკილი და ათასნაირი ქონებით დატვირთული“.

სერგო ქავთარაძე მართლაც რომ მუდამ ფხიზლობდა, ყველგან იყო. თავისუფლება უმსხვერპლოდ არ მოდის, და ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლასაც 43 ქართველი მეომარი შეეწირა. 1921 წლის 23 მარტს პროლეტარული ბათუმი გამოეთხოვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემულ ამხანაგებს. გაზეთი „უწყებები“ ასე აგვიწერდა ამ მოვლენას:

„დილის 11 საათიდან უკვე აუარებელი ხალხი და პროფესიული კავშირები იწყებს თავის მოყრას მუშათა სასახლის წინ წითელი დროშებით, რომლებზეც მოყოლებულია შავი სამგლოვიარო არშიები...

დასაფლავებაში მონაწილერბას იღებენ ქართული ჯარის და XI არმიის ნაწილები; სამხედრო ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

აზიზიეს მოედანზე აღმართულია ტრიბუნა, სასაფლაოზე კი აღმართულია აქეთ-აქეთ ბოძებზე გაკრული წითელი არშია წარწერით: „დიდება და პატივი ბრძოლაში გმირულად დაცემულ ამხანაგებს!“.

ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს ბათუმის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ქავთარაძე. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე XI არმიის და სხვადასხვა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა.

შემდეგ ამხანაგების პატივსაცემად ჯარის ნაწილებმა თოფები გაისროლეს, რის შემდეგაც დახოცილი ამხანაგების გვამები მიწას მიაბარეს და პროცესია იშლება“.

როგორც თვითონ სერგო ქავთარაძე წერდა, ამ სამხედრო „ინციდენტის“ მსხვერპლთა ძმური საფლავი აზიზიეს (ამჟამად ლენინის) მოედანზე მუდამ იქნება ქართველი მეომრების თავდადებული გმირობის მოწმე, მეომრებისა, რომელთაც მსხვერპლად გაიღეს თავიანთი სიცოცხლე ბათუმის და აჭარის განთავისუფლებლად, სამშობლოს სასახელოდ.

მენშევიკების ბატონობის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა, უბინაობასა და წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა, ცხოვრების ნორმალური კალაპოტით წარმართვა, ახალი ყოფის დამკვიდრება და გამარჯვება იყო ბათუმის საოლქო რევკომის მთავარი საზრუნავი, რომლის სათავეშიც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში გამობრძმედილი რევოლუციონერი-ლენინელი სერგო ივანეს ძე ქავთარაძე იდგა.

მურად ჩავლეიშვილი
იოსებ ბექირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯაურელი პირველი კომუნისტები

1920 წელს გაზეთი „ბათუმის ფურცელი“ იძულებული იყო ელიარებინა, რომ აჭარის გლეხობა ბოლშევიკებს დახუჭული თვალებითაც მიჰყვებაო.

ძველი პარტიული მუშაკის კ. ბერძენიშვილის ცნობით, 1920 წელს აჭარის სოფლებში 28 ბოლშევიკი ყოფილა, რომელთა საიმედო დასაყრდენს ღარიბ-ღატაკნი და პროგრესულად განწყობილნი წარმოადგენდნენ.

1920 წლიდან პარტიის წევრი მ. ანასტასიადი იგონებდა: „პარტიული უჯრედი არსებობდა მახინჯაურში, ამასთან კარგადაც მუშაობდა. მასში შედიოდნენ ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ენერგიული ორგანიზატორი ბასან ჩიჯავაძე და სოფლის სხვა აქტივისტები. ჩიჯავაძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის იატაკქვეშეთის კომიტეტთან, ასრულებდა მის დავალებებს საჭიროებისას შალავდა კომუნისტებს.

ბათუმის კომიტეტის წრეში მეცადინეობას ატარებდა ხ. ჩიჯავაძე. შიბაევის ქარხნის ტერიტორიაზე ნავთობის რეზერვუარებთან და ბინებში ვიკრიბებოდით. საუბრის თემა იყო პარტიის მესამე ყრილობის მასალები, პარტიის პროგრამა, იმდროინდელი პოლიტიკური და სხვა საკითხები“.

აქვე ნათქვამია, რომ მენშევიკებმა 1920 წლის მაისში გადაწყვიტეს ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელების, კერძოდ, ივანე პევცოვისა და ანა ჰირუმოვას დაპატიმრება. ისინი სწორედ ხასან ჩიჯავაძემ, სალიხ ახვლედიანმა და სხვებმა მახინჯაურ-ორთაბათუმში გადამალეს და განსაცდელისაგან იხსნეს. ამასთან მათივე ხელშეწყობით ისინი იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდნენ ამხანაგების რევოლუციურ საქმიანობას.

ასე რომ, მახინჯაურში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა პარტიული უჯრედი და იგი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. უჯრედს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბათუმის კომიტეტთან და მას თეორიულად მომზადებული და რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი ხ. ჩიჯავაძე ედგა სათავეში. შემდეგ პარტიულმა კომიტეტმა მას სოფლად აგიტაციის გაშლა, ბოლშევიკების თანამგრძნობთა მომრავლება, მათი შემჭიდროვება და მახინჯაურში პარტუჯრედის შექმნა დაავალა, რაც კიდევაც შეასრულა.

არალეგალური პარტიული უჯრედები მახინჯაურში, ბარცხანაში, ჩაქვსა და ქობულეთში 1918–1919 წლებში ჩამოყალიბდა. მათი პირველი და აქტიური წევრები იყვნენ მახინჯაურელები ხასან ჩიჯავაძე, სულეიმან ბარამიძე, სალიხ ახვლედიანი, ალი მიქელაძე და სხვები.

მახინჯაურელ ბოლშევიკებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ მეზობელი ორთაბათუმის, ჩაქვისა და სხვა სოფლების პატრიოტებთან, ბათუმელ მუშებთან. აქ მათ გვერდში ედგნენ და ეხმარებოდნენ მუსტაფ ჩახვაძე, ჯემალ ქიქავა, ოსმან გურგენიძე, ოსმან ცენტერაძე, ხუსეინ ცეცხლაძე, მემედ ბეჟანიძე, რეჯებ თხილაიშვი-

ლი, სულეიმან მანელიშვილი და სხვები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში. აჭარის ბოლშევიკები ყოველთვის ძოვლეხათა კურსში იყვნენ, თანასოფლელებს უკითხავდნენ ბოლშევიკურ გაზეთებსა და მოწოდებებს, აცნობდნენ პარტიის ბათუმის კომიტეტის საქმიანობას, მათ პლატფორმას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ინტერვენტთა და მენშევიკების განდევნის, მიწისა და სხვა საკითხებში. მოუთხრობდნენ აგრეთვე დიდ ლენინზე, მის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის პროგრაძაზე, საბჭოთა რუსეთის დახმარებაზე ქართველი მშრომელებისადმი.

ხ. ჩიჯავაძემ, ა. მიქელაძემ, ს. ბარამიძემ, ს. ახვლედიანმა და სხვებმა სააგიტაციო საქმიანობა განსაკუთრებით გააძლიერეს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაში მონაწილეობის შემდეგ. როგორც ცნობილია, ეს ფორუმი 1920 წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინის ინიციატივით გაიმართა საბჭოთა ბაქოში.

ამ აგიტაციის, ერთობლივი საქმიანობის შედეგად სოფლის მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა ინგლისელებსა და მენშევიკებს, რეაქციულ დაჯგუფებებს. ყოველივე ეს აშკარად გამოვლინდა გამოსვლებში, რომლებიც 1920 წელს ორთაბათუმში, ხუცუბანში, წყავროკაში, ლელვაში, კოხსა და ქედაში მოეწყო. 1919 წელს მახინჯაურლებიც მონაწილეობდნენ ქვედა ახალშენის ტყვია-წამლის საწყობების აფეთქებაში. ხ. ჩიჯავაძის, ს. ახვლედიანის, ს. ბარამიძისა და სხვათა დამსახურებაა ისიც, რომ მახინჯაურში, ბარცხანაში, ჩაქვსა და სხვაგან შეიქმნა პირველი სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციები. მათ ეხმარებოდნენ პირველი კომკავშირელები ახმედ ჩიჯავაძე, რომელიც შემდეგ ორთაბათუმის თემსაბჭოს აღმასკომის მდივანი იყო, აგრეთვე მემედ აბუსერიძე, მემედ ბეჟანიძე და სხვები.

1920 წლის ზაფხულში მახინჯაურისა და ჩაქვის კომკავშირულ ორგანიზაციებს გაეცნო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბორის ძნელაძე და რჩევა-დარიგებანი მისცა მათ. სხვათა შორის, მაშინ ამ უჯრედის წარმომადგენლების მონაწილეობით ციხისძირში მოუწვევიათ კრება, რომელმაც აირჩია კომკავშირის ბათუმის საოლქო კომიტეტი.

მახინჯაურელი მშრომელები თავკაცებთან ერთად 1921 წლის მარტში ზეიმით შეხვდნენ ქუთაისიდან მომავალ ნიკოლოზ კუიბიშევის, ივანე ზოლოტოვისა და ბადილ გაგიევის წითელარმიელთა რაზმებს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აჭარაში იმავე წლის 18 მარტს. სხვათა შორის, განმათავისუფლებელთა რიგებში იყო მათი თანასოფლელი ს. ბარამიძე, რომელიც მანამდე აზერბაიჯანში იმალებოდა.

უკვე 31 მარტს რევკომები შეიქმნა მახინჯაურში ხ. ჩიჯავაძის, ჩაქვში ს. ბარამიძისა და ქობულეთში ხ. ცეცხლაძის თავმჯდომარეობით. რეკომენდაცია მისცეს საოლქო რევკომის წევრებმა ივანე პევცოვმა, სერგო გუბელ-მეძმარიაშვილმა, კირილე ბერძენიშვილმა და სხვებმა, რომლებიც მათ კარგად იცნობდნენ. ჩიჯავაძის მოადგილეებად ს. ახვლედიანი და ა. მიქელაძე აირჩიეს.

1921 წლის 4 მაისს ბათუმის პარტიული კომიტეტის დადგენილებით, შეიქმნა კინტრიშის რაიკომი, რომლის ცენტრი იყო ჩაქვი. მასში მახინჯაურიც შედიოდა, ამიტომაც რაიკომში ს. ბარამიძეც აირჩიეს.

1921 წლის 6 აგვისტოს, ს. ჩიჯავაძე და ა. მიქელაძე ახლად შექმნილ აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში განყოფილებათა გამგეებად გადაიყვანეს, რის გამო მახინჯაურის რევკომს ს. ახვლედიანი ჩაუყენეს სათავეში. ამავე წლის ნოემბერში ხ. ჩიჯავაძე და ს. ახვლედიანი ოლქის წითელი მეჯლისის წევრებად აირჩიეს.

1921 წლის 23 ნოემბერს აჭარის წითელი მეჯლისის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სასოფლო თემების, მაზრებისა და საოლქო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ, რომლის საფუძველზე ფართოდ გაიშალა მუშაობა. ამ საკითხს გაზეთმა „უწყებებმა“ მოწინავე სტატია უძღვნა, ამასთან გამოაქვეყნა მისალმება მშრომელებისადმი. დეკემბერში პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმაც თავის სხდომაზე განიხილა საბჭოების არჩევნების მიმდინარეობა, შემდეგ გამოქვეყნდა შესაბამისი ინსტრუქციები ალმასკომებისა და ყრილობების, აგრეთვე საარჩევნო კომისიების არჩევნების წესები. ამ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა ხ. ჩიჯავაძე. იგი აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის მდივნად აირჩიეს, ხოლო თავმჯდომარედ — თენგიზ ჟღენტი. ეს ფორუმი 1922 წლის იანვარში გაიმართა.

ხ. ჩიჯავაძე იყო ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატი, რომელიც 1922 წლის დეკემბერში შედგა ბაქოში და მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე ჯემალ ფალავა, ხუსეინ ჩახვაძე, მემედ რეიზოღლი, ოსმან ლორთქიფანიძე, სულეიმან სარჯველაძე, ისაკ თედორაძე. ეს უკანასკნელი შემდეგ კახაბრის თემსაბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე იყო.

1923 წლის იანვარში ხ. ჩიჯავაძე აჭარის საბჭოების მესამე ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოში აირჩიეს. გარდაცვალებამდე მას პასუხსაგები თანამდებობები ეკავა ოლქისა თუ რაიონის სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში.

...ძველის მსხვრევა და ახლის შენება-დამკვიდრება იოლად არ ხერხდებოდა. საჭირო იყო მონაპოვრების არამარტო დაცვა, არამედ განმტკიცება, წესრიგის დამყარება ყველგან და ყველაფერში, სპეკულანტების, კონტრაბანდისტების, მძარცველების, უსაქმურებისა და სხვათა ალაგმვა, ღარიბ-ღატაკების დასაქმება, კანონების დაღგენა და განხორციელება, საზღვრების დაცვა, საბჭოთა ორგანოების შექმნა და სხვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია 300 მოხალისე აჭარელისაგან შემდგარი რაზმის შექმნა, რომელიც აჭარის რევკომსა და ბათუმის სამხედრო ნაწილის სარდლობას დაემორჩილებოდა.

საამისო დადგენილება 1921 წლის 15 ნოემბრის პლენუმზე მიიღეს. ამასთან დაკავშირებით პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა საგანგებო დანიშნულების კომუნისტური შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა, რომელშიც ს. ბარამიძე შეიყვანეს. რაზმის ცალკეული ბრიგადები აწყობდნენ რეიდებს, მორიგეობდნენ, ჰქონდათ საგუშაგოები, აპატიმრებდნენ დამნაშავეებს, ყოველმხრივ ხელს უმართავდნენ ხელისუფლების ორგანოებს. მახინჯაურიდან, ბარცხანა-სალიბაურიდან და ახლო სოფლებიდან რაზმში შედიოდნენ ხასან და ახმედ ბერიძეები, ოსმან კონცელიძე, შერიფ აბდიბა, მამუდ გვარიშვილი, რეჯებ თხილაიშვილი, სერდალ დიასამიძე, ოსმან გურგენიძე, ხასან ჩავლეიშვილი, ახმედ ლეზგიოღლი (ციცბა), ისმაილ საფარიძე, სულეიმან მიქელაძე, ჯემალ ნოღაიდელი, ახმედ მხეიძე, აბდულ ფატლაძე, ქაზიმ ლაზბა, ხასან გორაძე, სერათ ბაკურიძე, ხუსეინ და დურსუნ გოგიტიძეები, ხუსეინ დიასამიძე, მამუდ დავითაძე, ასლან ქარცივაძე, ხასან შარაშიძე, ბოლშევიკური პარტიის წევრი 1920 წლიდან ანასტას ქსანტინიდი და სხვები, რომლებიც, აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული ანკეტების მიხედვით, 1921 წელს საბჭოთა ორგანიზაციებში მიიღეს სამუშაოდ.

იმ ბრიგადას, რომელიც მახინჯაურ-ბარცხანის სანაპირო-ზე, ბათუმ-ქობულეთის და ახალშენ-ერგესაკენ მიმავალ გზებსა და ზოგჯერ ნავსადგურშიც მორიგეობდა, ს. ახვლედიანიც ედგა სათავეში. მოგვიანებით იგი ფუხარა ხალხის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

რაც შეეხება ს. ბარამიძეს, ჩვენს ხელთაა მანდატი № 145, რომელიც გვაუ-

წყებს, რომ იგი აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატი იყო ქობულეთის მაზრიდან. შემდეგ გადაიყვანეს ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც იყო განყოფილების გამგე. აქედან, თავმჯდომარის მოადგილე, ერთ ხანს თავმჯდომარე. ცხადია, ცაკის პრეზიდიუმის, აგრეთვე პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი. 1923 წელს ბარამიძე მიუვლინებიათ ჩაქვში სამაზრო ყრილობის ჩასატარებლად, ნოემბერში კი, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა საქართველოს საბჭოების ყრილობის მუშაობაში. 1925 წელს აირჩიეს საქართველოს ცაკის წევრად, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკის წევრობის კანდიდატად. ამ წელს გაცემული მოწმობით, რომელსაც საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი აბელ ენუქიძე აწერს ხელს, ს. ბარამიძეს უფლება ეძლეოდა უფასოდ ემგზავრა ქვეყნის რკინიგზისა და საწყლო ტრანსპორტით.

აჭარის საოლქო კომიტეტმა 1925 წლის 19 იანვრის სხდომაზე სოფლად მუშაობის კომისია აირჩია. მასში შეიყვანეს ს. ახვლედიანი, რიზა სოზრევანიძე, ხასან ბერიძე, მოედან სურმანიძე, ეუბ ნაკაშიძე, სულეიმან ზაქარაძე, რეჯებ სვანიძე და სხვები. ს. ბარამიძე კომისიის პრეზიდიუმში აირჩიეს.

1925 წლს თებერვალში ბათუმის სამხედრო ნაწილის სარდლობამ მას, როგორც აჭარის ცაკის თავმჯდომარეს, სთხოვა მონაწილეობა მიეღო წითელი არმიის შექმნის მეშვიდე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეოთხე წლისთავებისადმი მიძღვნილ ზეიმში და აჭარის ცაკის სახელობის ნაწილისათვის გადაეცა წითელი დროშა, ხოლო წარჩინებული მეომრებისათვის — ჯილდოები. მოძღვნო წელს ს. ბარამიძე სულოში მიავლინეს წინასაარჩევნო მუშაობის გასაშლელად, 1930 წლის ივნისში იგი, როგორც აჭარის სახკომსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი, რიყეთის თემმა და ქედის მაზრამ აჭარის საბჭოების ყრილობაზე გაგზავნა დელეგატად. ასე რომ, ს. ბარამიძეს თავისი წვლილი მიუძღვის ჩვენი კუთხის სახელმწიფო თუ სამეურნეო ორგანოების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

ასევე ს. ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო მშობლიურ კუთხეს, მახინჯაურს.

1925 წლის მარტში ბარცხანის თემის მეხუთე ყრილობაძ ს. ახვლედიანი, ს. ბარამიძე, ა. მიქელაძე, ო. ცენტერაძე, ხ. ბერიძე და ო. გურგენიძე ჭოროხის მაზრის ყრილობის დელეგატად აირჩია.

ს. ახვლედიანმა მონაწილეობა მიიღო საბჭოების საოლქო ყრილობის მუშაობაში, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ბათუმში გადაიყვანეს სამუშაოდ. 1926 წელს იგი აჭარის ცენტრალური კოოპერაციული კავშირის (აჭარკოოპკავშირის) თავმჯდომარის მოადგილეა. აჭარის თითქმის ყველა თემი მოინახულა, რათა შეუფერხებლად გაეხსნათ მაღაზიები, აეგოთ პურის საცხობები, ჭარბი პროდუქტებისა და ნედლეულის შესასყიდი პუნქტები. შემდეგ ერთხანს აჭარსარეწაო საბჭოსა და სხვა სამმართველოებში მუშაობდა. სერგო ორჯონიკიძეს ძასთან ვულითადი საუბარი ჰქონია 1925 წლის შემოდგომაზე. ს. ახვლედიანს მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა აგრეთვე აფხაზი ხალხის სახელოვან შვილ ნესტორ ლაკობასთან.

1918 წლის დასაწყისში ს. ახვლედიანი და სხვები ბათუმელ აფხაზებთან ერთად ნ. ლაკობას დაეხმარნენ აფხაზეთში ზღვით იარაღის გადატანაში, ხოლო დევნისას მახინჯაურში მალავდნენ. გასაბჭოების შემდეგ ნ. ლაკობა არაერთხელ სწვევია მახინჯაურს და სწორედ ს. ახვლედიანის ოჯახში ისვენებდა.

როცა ის დღეებს ვიგონებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის თებერვლისა და მარტის დღეები მართლაც რომ დაუვიწყარია იმათთვის, ვინც უშუალოდ იხილა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

მე მაშინ ქობულეთის შვიდწლიან ქართულ სკოლაში ვსწავლობდი, რომლის პირველი დირექტორი მიხეილ შარაშიძე განათლებული და ავტორიტეტიანი პედაგოგი იყო. შემდეგ სკოლას სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ჩიმაკაძე. მან შემაყვარა ქართული ენა და ლიტერატურა. სხვა მასწავლებლებიდან ასევე კარგად მახსოვს კონსტანტინე ჭუბაბრია, მოშა და ვალოდია ჭყონიები, ჟორა და ბენიამინ ღლონტები და სხვები. ბენიამინ ღლონტს განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა ხალხში, როგორც კარგ მცოდნეს, მრჩეველს და დამრიგებელს, მას დიდ პატივს სცემდნენ.

ჩემი თანაკლასელები და სიყრმის მეგობრები იყვნენ ვ. კიტია, ბ. მგელაძე, თ. ტრაპაიძე, ე. ღლონტი, მ. ჩიჯავაძე, რ. მახარაძე და სხვები. ჯგუფში სულ 10-12 მოსწავლე ვიყავით. ყველას გვარი და სახელი, სამწუხაროდ, არ მახსენდება. მოსწავლეები ოჯახშიც ვსაქმიანობდით, ხან ყანაში ვეხმარებოდით უფროსებს, საქონელს ვმწყემსავდით. მამის გარდაცვალების შემდეგ მე საოჯახო საქმეები დამაწვა. რადგან უფროსი ძმა მაშინ ბათუმში სწავლობდა, უმცროსები კი ძალიან პატარები იყვნენ. ამის გამო ერთხელ მოხუცმა გულო კაიკაციშვილმა მითხრა, იცოდე, არ შემარცხვინო, ასწავლე დაბეჯითებით, კაცს სწავლა აშშვენებსო. მისი სიტყვები თითქოს ახლაც მესმის. ეს მხცოვანი ადამიანი მეტად გულისხმიერი იყო.

1921 წლის მარტში ქობულეთში შემოვიდა მე-11 წითელი არმიის ერთ-ერთი ცხენოსანი ნაწილი დ. ჟლობას მეთაურობით. მოსახლეობა აღფრთოვანებით გამოვიდა მათ შესახვედრად. წითელარმიელების დანახვა მოსწავლეებსაც დიდად გვიხაროდა. დ. ჟლობა ყველას მიესალმა, ზოგს ხელი ჩამოართვა, წითელარმიელებიც დაბინავდნენ ზღვისპირა პარკთან (ბაღთან), ზოგი იქვე შენობაშიც მოეწყო. როგორც მახსოვს, დ. ჟლობას შესვდნენ სოსო წულუკიძე (საშა წულუკიძის ძმა), ქობულეთელი ძველი ბოლშევიკები რკინიგზის მუშები — ძმები თავბერიძეები, ვ. თოდრია, ხუსეინ შარაშიძე, რეჯებ თბილაიშვილი, ზია ხარაზი და სხვები. მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, ამ მიტინგზე ბევრი სოფლიდანაც ჩამოვიდა, სიტყვები წარმოთქვეს ძველმა ბოლშევიკებმა, მათ მიულოცეს ქმშრომელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დ. ჟლობამ. ის კარგად მახსოვს, წარმოსადეგი კაცი იყო. რუსული ენა გვარიანად ვიცოდი და მის გამოსვლას დიდი ყურადღებით ვუსმენდი. მან თქვა: რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ დაამხო კაპიტალიზმი და რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურ-

მა რევოლუციამ, საბჭოთა წყობილება საქართველოში და კერძოდ აჭარაშიც დამყარდა... წითელ არმიაზე მტრები საზიზღარ ჭორებს ავრცელებდნენ, თითქოს ისინი ძარცვავენ და კლავენ მშვიდობიან ხალხსო, მაგრამ რევოლუციის მტრები ვერ მოატყუებენ მშრომელ ხალხს. თქვენ თვითონ ხედავთ საკუთარი თვალით, თუ ვინ არის წითელი არმიაო. იგი მშრომელი ხალხის შვილია, რევოლუციასა და სამოქალაქო ომში გამოწრთობილი არმია, რკინის დისციპლინის მქონე, რომელიც იცავს და კვლავაც დაიცავს რევოლუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს...

სიტყვის დამთავრების შემდეგ ტაშმა იგრიალა, ისმოდა შეძახილები: გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს წითელ არმიას!

ერთი წლის შემდეგ კომკავშირის რიგებში მიმიღეს, რა დამავიწყებს პირველ ალისფერყდიან კომკავშირულ ბილეთს. ამ მოვლენამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ფრთები შემასხა, კომუნისტური საზოგადოებისათვის აქტიური მებრძოლი გამხადა. მალე შევქმენით პირველი კომკავშირული უჯრედი ქობულეთში, მის პირველ მდივნად მ. აბზიანიძე ავირჩიეთ, ტექნიკურ მდივნად კი ვ. კიტია. უჯრედში შედიოდნენ ბ. მგელაძე, მ. ქვარცხავა, პ. თოდრია, ს. ებრალიძე, ი. ბეჟანიძე და სხვები.

იუსუფ სარაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის თანატოლი

ს. შენგელიას ფოტოეტიუდი.

ნასაჭირალი... ნასაჭირალი...

1905 წლის აპრილში რსდმპ მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას, მას „ყველაზე მოწინავე გლეხური მოძრაობა“ უწოდა.

ეს მაღალი შეფასება შემთხვევითი როდი იყო.

საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ ბირთვს წარმოადგენდა ბათუმისა და გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

...იდგა 1905 წლის ქარიშხლიანი დღეები. მუშათა და გლეხთა მოძრაობა მასიურად ძოელო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. რევოლუციის ცეცხლის ალში გაეხვია მთელი მხარე, რომლის ამბებსაც სისტემატურად აშუქებდა ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი“. გურიის გლეხთა მოძრაობა, წერდა გაზეთი (იშვიათი ბოელებაა მსოფლიო ისტორიაში. ეს გლეხთა ჩვეულებრივი აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას.

გურიაში ბალაუფლება ფაქტიურად მშრომელი ხალხის ხელში გადავიდა, გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა განსაკუთრებით მტკიცე ორგანიზებული ხასიათი მიიღო. ამ გარემოებამ სერიოზულად დააფიქრა მეფის მთავრობა, ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები მოამზადა რევოლუციის ჩასახშობად. ოზურგეთის მაზრის უფროსი წერილობით მოხსენებაში იუწყებოდა, მაზრაში ამჟამად ბალაუფლება ფაქტიურად გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელშიაო.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლებით დაშინებულმა მეფის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები გაატარა. 1905 წლის 18 თებერვალს ოზურგეთის მაზრა გამოეყო ქუთაისის გუბერნიას, ხოლო კინტრიშის ნაწილი ბათუმის ოლქს და ისინი უშუალოდ დაუქვემდებარეს კავკასიის სამხედრო ოლქს. შეიქმნა სპეციალური სამხედრო ნაწილი, ე. წ. „დამსჯელი ექსპედიცია“ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელსაც გუბერნატორის უფლებები მიენიჭა და დაეკისრა გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მკაცრი საომარი მოქმედების წარმოება, მაგრამ მანამდე მთავრობამ გადაწყვიტა: გაერკვია რა ხასიათის იყო გლეხთა მოძრაობა, მოლაპარაკებით, რჩევა-დარიგებით სურდა ჩაეხშო გლეხთა რევოლუციური გამოსვლები. ამ მიზნით გურიაში გაგზავნეს მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი.

მთავრობის მოხელემ შემოიარა ოზურგეთის მაზრის 12 საზოგადოება, იგი ხალხს მეფის ერთგულებაზე მოუწოდებდა, გლეხები კი ყველგან მტკიცედ და გაბედულად ძთავრობის საწინააღმდეგო მოთხოვნებით ხვდებოდნენ.

23 თებერვალს კრიმ-გირეი ეწვია სოფელ ბახვს. ბახვის საზოგადოების წარმომადგენლებმა თავიანთი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს სპეციალურ დოკუმენტში, რომელიც „ბახვის მანიფესტის“ სახელით შევიდა საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

„ბახვის მანიფესტს“ მხურვალედ გამოეხმაურა ვ. ი. ლენინი. გაზეთ „ვპერიოდსა“ და „ისკრაში“ ხშირად იბეჭდებოდა ამ საკითხზე მასალები და ეს მითხვნები საყოველთაოდ იქნა ცნობილი.

კრიმ-გირეის მისიამ გურიაში ვერ გაამართლა მთავრობის იმედი, ვერ დაამშვიდა მებრძოლი ხალხი. ამის შესახებ გაზ. „ვპერიოდი“ წერდა; „კომედია, რომელიც გაითამაშეს კავკასიის ხელისუფლებმა სულთან კრიმ-გირეის გურიაში გავზავნით, დამთავრდა. სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებულმა ხალხმა მეფის მოხელეს ყველგან ერთი და იგივე მოთხოვნები წაუყენეს... სულთან კრიმ-გირეი თბილისში გაიწვიეს, დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია“.

ვინაიდან ცრუ დაპირებებით ვერ მოხერხდა გურიის დაშოშმინება, მთავრობამ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ურჩები. 10 მარტს კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინის განკარგულებით გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი დაუყოვნებლივ დაიძრა ოზურგეთისაკენ, დაიწყო რევოლუციური გლეხობის ოჯახების დარბევა, სასტიკი რეპრესიები, დაპატიმრება. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის სიმკაცრის და გაუგონარი რბევის საწინააღმდეგოდ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა საპროტესტო მიტინგები, რის გამოც 1905 წლის მეორე ნახევარში ჯალათი გენერალი თავისი რაზმით გურიიდან გაიწვიეს.

ამის შემდეგ გლეხთა მოძრაობა უფრო ფართო ხასიათს იღებს. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ნასაკირალის ცნობილი შეტაკება. ამის შესახებ პროფესიონალი რევოლუციონერი თენგიზ ჟღენტი წერს: „ოზურგეთის მაზრის უფროს ლაზარენკოს ცნობა მოუვიდა, რომ ჩოხატაურში ხალხმა გაანიარაღა პრისტავ-სტრაჟნიკები და ისინი ტყვედ წაიყვანაო. მაზრის უფროსმა ლაზარენკომ სასწრაფოდ შეჰყარა 120 კაზაკი და ჩოხატაურისაკენ გაეშურა, ხალხში ხმა გავრცელდა: აღმოსავლეთ გურიას პლასტუნები შეესივნენ და დახმარებას მოითხოვსო, გურია ფეხზე დადგა, ხალხი გადაჭრით მოითხოვდა შეიარაღებას. გადაწყდა: კაზაკებზე თავდასხმა ოზურგეთ-ჩოხატაურის გზაზე, ნასაკირალის ულელტეხილთან. მაზრის უფროსი ლაზარენკო ჩოხატაურში უშედეგოდ ცდილობდა ტყვედ წაყვანილი პრისტავ-სტრაჟნიკების აღმოჩენას. ისინი ხალხს დამწყვდეული ჰყავდა სურებსა და ნაბელლავში“.

ნასაკირალის შეტაკების მთავარ ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ. დათიკო შევარდნაძე, კიკია მამულაიშვილი, ნესტორ ერქომაიშვილი.

მეორე დღეს ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, ლაზარენკოს რაზმის დასახმარებლად ოზურგეთიდან ორი სპეციალური ბატალიონი გამოეშურა, გზებზე შოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ.

ნასაკირალის ცნობილმა შეტაკებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ამ თავდასხმის შესახებ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა გამოსცა სპეციალური ბიულეტენი.

მეფის მთავრობა ძლიერ აღაშფოთა ნასაკირალთან თავდასხმამ, გადაწყვიტა ახლა არავითარ დათმობაზე არ წასულიყო და სასტიკად დაესაჯა აჯანყებულები.

ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით კვლავ დაიძრა გურიის „დასაშოშმინებლად“, და აი, სწორედ ამ განსაცდელის ჟამს ამიერკავკასიის მშრომელებმა ძმური სოლიდარობა გამოუცხადეს და დახმარების ხელი გაუწოდეს გურიის გლეხობას.

1905 წლის 30 ოქტომბერს რსდმპ თბილისის კომიტეტმა ნაძალადევში მოაწყო ხალხთა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი გურიის მშრომელების დასაცავად, ასეთივე საპროტესტო მიტინგი გაიმართა ბაქოში. ხოლო თბილისის საზოგადო მოღვაწეთა კრებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ილია ჭავჭავაძემ.

2 ნოემბერს მეფის ნაცვალს ეახლა კახეთის რაიონების მშრომელთა დელეგაცია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის მეთაურობით... მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო რევოლუციური მასების მოთხოვნისათვის. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი უკან გაიწვია და მთელ ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესებიც გაუქმებული იქნა. მაგრამ რეპრესიები რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მაინც არ შეწყვეტილა. ნასაკირალთან გმირულ ბრძოლაში და ოზურგეთის მაზრის უფროსზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის ბევრი შებრძოლი შორეული ციმბირის გზას გაუყენეს.

ამჯერად ბათუმიდან გამოიწვიეს პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი რაზმი, გადაწვეს ნატანები, ოზურგეთი, ნაგომარი, აკეთი, ძიმითი და სხვა სოფლები. მოსახლეობა ტყეებში გაიხიზნა. ზუსტი მონაცემებით კაზაკებმა გაანადგურეს 400-ზე შეტი გლეხის ოჯახი...

ნასაკირალის ბრძოლებიდან საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის გმირობა დავიწყებით არასოდეს დაიბინდება.

ზოთა ზაქარიაძე.

მემედ გოგიბერიძის რაზმიც იბრძოდა

1905 წლის ოქტომბერი... ნასაკირალი...

— მემედი დაიჭრა... მემედი დაიჭრა!.. — ეს უსიამოვნო ცნობა სწრაფად მოედო ნასაკირალის გორებზე შემოფენილ მებრძოლთა რიგებს.

— ეიმიხედეთ მამიდაშვილს! — გასძახა დათიკო შევარდნაძემ კიკია მამულაიშვილს, რომლის რაზმის მხარდამხარ იბრძოდა მემედ გოგიბერიძის რაზმი.

ეს მოხდა 1905 წლის 21 ოქტომბერს (ახ. სტ. 2 ნოემბერს).

მემედის რაზმიდან ნასაკირალზე თავი ისახელეს: ოსმან დევრიშიშვილმა, დურსუნ ვეკიშვილმა, მურად და რეზმან მეგრელიძეებმა და სულეიმან რომანაძემ.

მხოლოდ 23 წლისა იყო ამ დროს მემედი, მაგრამ უკვე სერიოზული რევოლუციური წრთობაგამოვლილი. ასე რომ არ ყოფილიყო, არც რაზმის მეთაურობას მიანდობდნენ და ვერც ლეგენდარული ნესტორ კალანდარიშვილის თანამებრძოლი გახდებოდა.

მ. გოგიბერიძემ ადრევე გამოიჩინა თავი რევოლუციურ საქმიანობაში და ამგვარად მიიპყრო ნესტორის ყურადღება. ამანვე განსაზღვრა მისი ჩაბმა ნასაკირალის ეპოპეის მომზადებაში, კერძოდ, მის რაზმს დაევალა ბათუმიდან იარაღის გადაზიდვა. მემედმა და მისმა თანამებრძოლებმა უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში გაიარეს გრძელი და სახიფათო გზა ქაქუთამდე (ხ. კომახიძე, მემედ გოგიბერიძე, „ფუხარას სიტყვა“, 1925).

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, ყოველივე იღონა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისა და, კერძოდ, ნასაკირალის ოპერაციის მაღალ დონეზე განსახორციელებლად. მართლაც, მთელ იმპერიაში რევოლუციური ბრძოლის გაქანებით მოწინავე კავკასიას ბათუმის 1902 წლის დემონსტრაციის შემდეგ ნასაკი-

რალამდე არ უხილავს სხვა უკეთ ორგანიზებული და უფრო ეფექტური ღონისძიება.

ძნელი მისახვედრი როდია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა მთავრობის ძალების ალყაში მომწყვდევა სწორედ ნასაკირალის უღელტეხილზე. ასეთ ვითარებაში მთავარი ამოცანა ოზურგეთიდან მაზრის უფროსის ჩოხატაურში გამოტყუება იყო, რაც ბრწყინვალედ განხორციელდა.

16 ოქტომბერს, ღრმად მოფიქრებული სამხედრო გეგმის შესაბამისად, წითელრაზმელებმა ისეთი ამბები დაატრიალეს, რომ მისი მოთმენა სამაზრო ხელისუფლებას არ შეეძლო და ლაზარენკოც თავისი კაზაკებითა და პლასტუნებით ჩოხატაურისაკენ დაიძრა.

19 ოქტომბერს დილით დამსჯელი რაზმი უკვე ჩოხატაურში იყო, მაგრამ მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ამით გაოცებულმა რაზმის უფროსმა სიმშვიდის დარღვევა მიზანშეწონილად არ ჩათვალა და მეორე დღეს უკან გაბრუნდა.

რას იფიქრებდა მეფის სამაზრო მოხელე, რომ ეს იყო სიწყნარე ქარიშხლის წინ... და აი დაიწყო ნასაკირალის უღელტეხილი და ქარბორბალაც დატრიალდა...

ნასაკირალი რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ბრწყინვალე დასაწყისი იყო...

პირველმა რევოლუციამ, რომლის ერთ-ერთი ნათელი ფურცელი ნასაკირალის ბრძოლა იყო, დიდი როლი ითამაშა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წარმატებით განხორციელებაში.

მემედ გოგიბერიძემ ამ დროსაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა წინა რიგებში იდგა. დიდი ტანჯვა გამოიარა მან ჯერ როსტოვის, შემდეგ ხარკოვის, ბოლოს ხერსონის საპყრობილეებში, მაგრამ სულიერად მაინც არ გატეხილა და, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ჩვეული სიმამაცით იბრძოდა ხალხის თავისუფლებისათვის. ამ ბრიძოლამ ნაყოფი გამოიღო და მემედიც მთელი არსებით ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში. იგი ჯერ კიდევ წითელ მეჯლისში ასრულებდა თვალსაჩინო როლს, ხოლო შემდეგ სახალხო კომისარი გახდა. იქაც ისე გამოიჩინა თავი, რომ აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დააწინაურეს...

იური სისარულიძე,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძე

ინტერვიუ

ბრძანება თქვენი —
წინაპრები აქვე სახლობდნენ,
აქვე ხარობდნენ
სილამაზით შეუცნობელით,
იყო ვაჟკაცი, იყო ომში,
თუმცა მოხუცდა,
ბუზს არ აიფრენს ჩემი მშობელი.
ბრძანება თქვენი —
გვაქვს საყოფი პური და ღვინო,
არ ვართ ღარიბი.
ბაბუა გვყავდა გულმოყვასი,
კარგად გაიგო —
ქვეყნის მსურვალე მაჯისცემა,
რაკი გაიგო —
საკუთარ ხელით მიიყვანა
თემში სარები.
ბრძანება თქვენი —
გამდელარი არ ვართ ოქროსი,
ციწა გვიყვარს და მომხვეჭელი
ღმერთმა გვაშოროს,
აწმყოს ვეკუთვნით —
განთიადის შუქით მოქსოვილს
და ჩვენი ფიქრი დასტრიალებს
ჭედასამშობლოს.

მზის მოსვლა იყო
თუ კოცონის დანთება ხერხე —
მესამე დღეა, სამოთხეში დავანდა ფიქრი,
ვგრძნობ, უკვდავი ვარ,
რადგან შენი შეგრძნება შევძელ,
მიიღე ჩემგან სამახსოვროდ
ვარსკვლავი ცისკრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო ვ ლ ი

ვხედავ, სიმონეთის მთები
იფარება თოვლით,
შაბათია,
შინ დავრჩები,
გაიხარებს ცოლი.
თოვლი,
თოვლი,
თოვლი!
ვეფერები ჩემს ბაიებს,
პედით ტრფობის ტოლი,
კვლავ ლამაზი დღე მაღირსე,
თოვლი,
თოვლი,
თოვლი!
მზეა შინ და მფლობელი ვარ
ტკბილო ბუდევ, ყოვლის,
ბაიები, ცოლი, თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
თოვლი!

თ ი ნ ა თ ი ნ

ჩამოღამებულ სულში ინათა
და როგორც ზღვაში
ჩაძირულ ხომალდს,
შენს სუნთქვას ვეძებ ახლა, თინათინ,
ვეძებ და მაშვრალს სიცოცხლე მომაქვს,
არ მიყვარს,
როცა დუმილი მეფობს,
არ მიყვარს,
როცა დუმან ზარები,
ჩვენც გადავივლით ჟამთასვლის ბექობს
საყვირებით და სხვა საკრავებით.
როგორც უნაზეს ფრესკას გელათის
გეცმევა ჩემი სულის პერანგი.
როგორც ღიმილი ანგელოზების,
სავსე იქნები მზით და ოცნებით.
ჩამოღამებულ სულში ინათა,
წაიღე გული...
გქონდეს, თინათინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მინდა სული —
თუ არ ბუგავს ვნების ხანძარი,
უსათნოესო, დღეს მეოცე საუკუნეში,
მიიღე ჩემგან სამახსოვროდ
გრძნობა — ლამპარი,
შამყოფე აღთქმულ მარადიულ სიჭაბუკეში.

მზე ამოდის და ბროწეული
მზეზე შლის ყვავილს.
ჩიტი ალუბლის ტოტზე ზის და
მიფრინავს ყვავი.
გალმა ტყე არის,
ტყეში უფრო მოჩანს იელი,
ჩანჩქერიც მოჩანს —
დედოფალი პირმშვენიერი.

მინდოდა ლექსი

ცა იყო თეთრი,
უსაზღვროდ თეთრი,
ქალაქიც თეთრად იყო ნაფერი.
მომწონდი, მაგრამ მიყვარდა ერთი,
მინდოდა ლექსი — სხვა არაფერი.
მოვიდა ლექსი
და ამ თოკაში
ოქროს გვირგვინად მედგა ნათელი,
ვცოცხლობდი შენთვის, ვკვდებოდი შენთვის,
ლექსი ვიყავი — სხვა არაფერი.



ნესტორ მალაზონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპარეზში

მოგონებათა წიგნიდან

ორ-სამ დღეში გიგილო შედარებით ადრე მოვიდა. მაქსიმელს სანგრძლივი საუბარი ჰქონდა. ვატყობდი, ჩემზეც ლაპარაკობდნენ. გიგილომ სახელოსნო დაათვალიერა, უკანა ოთახში გავიდა, კარადებში შეიხედა, საცერი და გობი ჩამოიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ისევ დაჰკიდა, მაგიდას თითი მოუსვა და სისუფთავე შეამოწმა, ბოლოს ჩაიცინა და მაქსიმელთან მივიდა.

— დამიძახე, ერთი, იმ ბიჭს, ასაკვირველია!

გიგილოს ჩვეულებად ჰქონდა: წინადადებას ისე არ იტყოდა, რომ ორჯერ მაინც „ასაკვირველია“ არ გამოერია.

მაქსიმელმა თითის დაქნევით მიხმო. მეც მივედი. ვიგრძენი, რომ მთელი სხეული ოფლმა დაცვარა: მიჩივლეს ალბათ...

— შენ, ასაკვირველია, მამა გყავს?

— კი, ბატონო.

ჩვენი შუაკაცი, ასაკვირველია, რა ქვია იმას? ჰო, თაყაიე, ასაკვირველია, რეიზა არ მოვიდა ამდენხანს?

— რა მოგახსენოთ, ბატონო.

ვუპასუხე მე და შიშმა ამიტანა: ვაითუ ჩემი თხოვნა პირობის დარღვევად ჩამოშართვა-მეთქი და თავში „პირობის ძალამ“ გამიელვა.

— შენ, ასაკვირველია, კერვა გინდა, არა?

— ძალიან გთხოვთ, ბატონო.

— ჯერ, ასაკვირველია, ადრეა, ასაკვირველია... მერე ისწავლი, ასაკვირველია.

— კი ვისწავლი, ბატონო... შრეშსაც ვჭამ, რამდენსაც დამავალებთ...

მაქსიმელის მკაცრმა გამოხედვამ სიტყვა გამაწყვეტინა, მაგრამ გიგილოს შეკავებულ ღიმილზე შევატყვე, რომ მიმიხვდა ძველი ხარაზი, რა დღეშიც ვიყავი. ეს „ხუმრობა“ გავრცელებული ყოფილა ხარაზებში. ალბათ, თვით გიგილოსაც ასე „ეხუმრებოდნენ“ თავის დროზე...

— კაი, ასაკვირველია, — თქვა გიგილომ. — დეიწყოს და ვნახოთ, ბიჭები გაათფრთხილე, ასაკვირველია, ნაკლები ილაყბონ და მეტი იმუშაონ.

მე სიხარულით ცას ვეწიე, თავს ვერ ვუყრიდი ამბებს: იქით შრეშის ჭამა ხუმრობა ყოფილა, აქეთ კერვას ვიწყებ... ერთი სიტყვით, სიხარულმა აღმიტაცა.

მაქსიმელმა ფეშტემალი მომცა და გავიკეთე, ლანჩა და საპირე შემირჩია. მეც ძაფი ავარჩიე, ლანჩა და პირი ერთმანეთს მივუსადაგე, კერვა დავიწყე. მაქსიმე-

---

დასასრული. იხ. „ჭოროხი“ № 2.

ლის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი, იგი სულ მითვალთვალებდა, ხშირად ნამუშევარს მიმოწმებდა.

— მაქსიმელის განკარგულებით, სამხარეულო მეორე დღესვე ისევ დარჩიას გადავეცი. ასე მოვიცილე ეს უსიამოვნო შეთავსება.

* * *

დედა ხშირად მოდიოდა ოზურგეთში. ბაზრობა იცოდნენ პარასკევობით და კვირაობით. ჩამოიტანდა ყველს, ხილს, მწვანილს... როგორც მერე და ძერე მივხვდი, უფრო ჩემ სანახავად მოდიოდა, თორემ სხვა დროს ასე ხშირად არ დადიოდა. აბა, იმდენი გასაყიდი ან საყიდელი რა ჰქონდა? უფრო სწორად ბაზარს იმიზეზებდა.

სხვათა შორის, ზედმეტი ალერსი, და ისიც დასანახავად, დედამ არ იცოდა. წავსწრებივარ, ჩემს უმცროს ძმას დაძინებულს კოცნიდა. მიხაროდა, ალბათ, მეც ასე მკოცნის-შეთქი.

სანახავად მოსული დედა, ერთხელაც არ შემოსულა სახელოსნოში. ხელს დაძიქნევდა ყაფანთან, ამბავს მკითხავდა, ორ-სამ კაპიკს, ხან შაურსაც მომცემდა და ყოველთვის ძაფრთხილებდა: ნენა, გამოსაცდელად იციან ფულის დაგდება, თუ ძიითვისოსო. ღმერთი არ გაგიწყრეს: თუ ნახო, მაშინვე ხაზეინს მიურბენიეო... კაძფეტი ან სილი თუ მოგენატროს, ჩემი დატოვებული ფულით იყიდეო.

მერე დარიგებას სწრაფად შეწყვეტდა და უკანმოუხედავად გაქრებოდა.

* * *

ერთ დღეს დედაჩემის მოცემული ფული დავთვალე და შვიდი შაური აღმოჩნდა!

შვიდი შაური! რაზე უნდა დავხარჯო ამდენი ფული, სად წავიღო? დედას გავატანო ისევ შინ? ვაითუ, მერე აღარ მომცეს, მაინც ვერ ვყენებო.. მთელი ის ღამე ამ ფიქრებში გავათენე.

დილით დუქნების წინ ჩავიარე, იქნებ საინტერესო რამეს შევხვდე-მეთქი, მერე ისევ ბაზარში შევედი.

ფეხზე მოვაჭრე ებრაელს ყაფანის ახლოს მოგრძო მაგიდაზე შეკერილები, ფართლეული და ყაბალახები ეწყო. ამ უკანასკნელმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. თეთრი, ბამბაზიის მომცრო ყაბალახი იყო. ავიღე და ფრთხილად გავშალე. ებრაელი თვითონ დამეხმარა, გამომართვა, დაბერტყა, შემოვლებულ სირმას განსაკუთრებით გაუსვა ხელი, რომ ჩემი ყურადღება უფრო მიექცია და თავზე დამახურა.

მე გამახსენდა სახელოსნოში დატოვებული ძველი შინწაქსოვი ჭილის ქუდი, რომელსაც უკვე აღარც ვატარებდი. იმასთან შედარებით ეს სამკაული იყო. წარმოვიდგინე ჩემი შინ მისვლა ამ გაპენტილი მოსირმული ყაბალახით და შემეხარბა.

ებრაელმა ეს კარგად შემატყო.

— მოგყიდი, თუ გინდა! ეს ერთი დამრჩა შენთვის. — მითხრა გამყიდველმა.

— რა ღირს, ბატონო?

— შენ თუ გულით გინდა და სხვებივით ჯანჯალი არ ხარ, ათ შაურად მოგცემ.

— უი, ათი შაური სადაა: ძვირია... შვიდი მაინც გეთქვა... — თითქმის ჩემთვის დავუმატე მე.

— ასეთ ჭკუიან ბალანას რავა გეკადრება მაგი!... მოპარული ხომ არაა!

— ძვირია! — გავიმეორე მე და წასვლა დავაპირე.

— გულით გინდა? არა, მითხარი, გულით გინდა? — და ხელით მომაბრუნა.

— აბა, არ მინდა და გემასხრები? — ვიწყინე მე.

— შვილი შაურის მეტიც რომ არ მომცე, მაინც გაგატან... მარა, რჯულის მადლმა, ცოდვა ვარ. ნაყიდზე ერთი შაური მაინც დამიმატე.

— მე მეტი არ მაქვს და...

— სამი კაპიკი?.. ორი კაპიკი?.

რა გზა იყო. მეტი მე არც მქონდა და გამოვბრუნდი.

— რავარი ჭკვიანი ბაღანა ყოფილხარ!.. მოკვდეს, ვინც ცარიელი გაგიშვას. ძოიტა ის შვილი შაური. მაგის მოსაგებს სხვისგან ავიღებ!

და ყაბალახი მხარზე გადამადო.

მე მუჭი გავშალე და შვილი შაური მაგიდაზე დავაჩხრიალე.

დიდხანს თვალა ვაჭარმა ორი და სამკაპიკიანები, სამი შაურიც დაუმატა, ათ შაურად შეასრულა და მეორე ჯიბეში ჩაიყარა.

ყაბალახი მაქვს, მაგრამ შენახვა ხომ უნდა! აქ დუქანში მტვერი დააცვივა, გაჭუჭყიანდება. დიდი ფიქრისა და ჭოჭმანის შემდეგ გადავწყვიტე „ხაზეინის“ სახლში შემენახა.

რჩევისათვის მივმართე იმ შეგირდს, დარჩიას, რომელიც უფრო დამიახლოვდა კერვის დაწყების შემდეგ.

მან მომიწონა ეს აზრი: — იმხელა ორსართულიანი სახლია და ყაბალახის შესანახ ადგილს რავა ვერ იშოვნისო!

კვირადღეს დუქანი გავაღეთ და გავასუფთავეთ თუ არა, არსენას ვთხოვე ნახევარი საათით ქალაქში გავეშვით მე და დარჩია. გაგიშვებთ მაგრამ არ დაიგვიანოთო.

გიგილო გედევანიძე დვაბზუსაკენ მიმავალ გზაზე იდგა. მისი კოხტა ორსართულიანი სახლისთანა ლამაზი არაფერი იყო ახლო-მახლოს. რკინის შელებილ ჭიშკართან ორივე მხარეს დარგული ორი ძეწნა ამშვენებდა მწვანემოლიან ეზოს.

დიდხანს ვიწრიალეთ ჭიშკართან, მაგრამ ვერც გაღება გავბედეთ და ვერც დაძახება. გარეთ კი კაცის ჭაჭანება არ იყო.

ბოლოს გამოჩნდა კაბაჩამოკეკილი გოგო. მან ქვედა სართულის კარი გამოაღო (ალბათ, ფანჯრიდან შეგვნიშნა) და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა.

პატარები რომ დაგვინახა, წარბები მოხარა და აგდებულად გვკითხა.

— რა გინდებიენ, ბაღნებო, ამ ძაღლის იალონში?

ჩვენ ენა დაგვება. უფრო ადრე დარჩიამ ამოიდგა ენა (ის ცოტა ენაბლუ იყო).

— ამ ბიჭს, აი ჩვენი ბიჭია, საზეიკის ნახვა უნდა.

— რა დროს საზეიკაა! ერთ საათში მოით. — და გაბრუნდა.

მეტი რა გზა იყო, სახელოსნოში წამოვედით.

დაახლოებით ერთ საათში მაქსიმელს ვთხოვე, ბაზარში გავალ ნახევარი საათით-მეთქი. გამიშვა. უკანა კარებიდან გავაპარე ძველ გაზეთში გახვეული ყაბალახი და გიგილოსაკენ სირბილით წავედი.

ჭიშკარზე იგივე მოსამსახურე გოგო მოვიდა. ხელში შეხვეული რომ დამინახა. მობრძანდითო, მითხრა და დამაკვირდა. ალბათ, ძვირფასი რამე, ფეშქაში თუ ეგონა, ისე ფრთხილად რომ მიმქონდა.

ქვედა სართულის ოთახში შევედით, იქედან უკანა ისევე სუფთა ოთახში, მერე კიბით მეორე სართულზე ამასწავლა და მარტო გამიშვა. ძალიან უნდოდა დაენახა, რა მიმქონდა, მაგრამ ვერ შემბედა ეკითხა.

გიგილოს მეუღლე, უკვე ოდნავ ჭალარაშეპარებული, შვიდი-რვა წლის ბიჭუნას უჯდა დაბალ საბავშვო მაგიდასთან.

— კი, დედიკო გენაცვალოს, შუაზე დაიყვანე და ორშაურიანს მოგცემ.

— ნენა, რომ მომატყუო?

— არა გრცხვენია, შვილო? დედიკომ ტყუილი ხომ არ იცის!

ჩემმა ასვლამ ბიჭი გამოაცოცხლა, მღვრიე სასმელით ნაკლული ჭიქა ძირს დადგა და მე მომვარდა:

— რა გქვია, ბიჭო?

ჩემს პასუხამდე დედა წამოხტა, ბიჭს ხელი მოხვია და ისევ თავის ადგილზე დასვა.

— ასე როგორ შეიძლება, დედიკო! — დარიგებით უთხრა ბავშვს და მე მომიბრუნდა.

— ჩემთან გაქვს, შვილო, საქმე?.. დამიცადე ბავშვი ვასაუზმო.

ბავშვი შემებრალა. ორ შაურად არა, ათ შაურადაც ვერ დავლევდი ამ ამღვრეულ სასმელს. თითქოს ჩემი ფიქრები მოისმინაო, დიასახლისი კვლავ წამოდგა, ნიკელის ჩაიდნიდან სწორედ ისეთი სასმელი დამისხა.

— დალიე, გენაცვალე — ალერსით მითხრა.

— მადლობელი ვარ, ბატონო, მარა ჩაი დავლიე ახლა და.. .— ვუპასუხე ისე, რომ ამ სასმელისადმი ზიზღი ვერაფრით დავმალე.

— შენ, შვილო, ჩაი დაგილევია და ახლა კაკაოც დააყოლე.

და გაწეული ჭიქა ისევ მომიახლოვა.

„კაკაო!“ ეს რა ყოფილა! რალაც კარგი შეგონა... ფუ, როგორ სვამენ ამას აი მდიდრები“ — გავიფიქრე და ისევ ბავშვს დავაკვირდი.

მერე უცებ მომაგონდა, რომ ძაგვიანდებოდა, და მორცხვად ვუთხარი:

— ბოდიში, ბატონო, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ეს ყაბალახი თქვენ შეინახოთ, ახალნაყიდია და დუქანში...

დიასახლისის სახეზე გაკვირვების ღიმილი და ბრაზიანი შემოხედვა ერთმანეთში აირია... მე საშინელი უხერხულობა ვიგრძენი. ყაბალახი ტახტზე დავტოვე, დიასახლისს თვალი ავარიდე და არც მახსოვს, როგორ გადმოვედი ეზოდან.

ორიოდე თვე გავიდა. მე ჩემი შეკერილი წუღა მეცვა. გიგილო და მაქსიმელი ჩემით კმაყოფილი იყვნენ. შეგირდებიც პატივს მცემდნენ, მეც მთელი მონდობით ვმუშაობდი.

სერაპიონ კილაძე, არსენა ღლონტი და გიორგი ლომაძე ხშირად გამიბამდნენ საუბარს, როგორ მოგწონს ეს ცხოვრებაო, მამაშენი ნასაკირალში თუ იყო სროლაშიო და სხვა.

მერე და მერე მივხვდი, რომ პარტიულ მუშაობაში ჩაბმას მიპირებდნენ, ჯერ ამ საუბრებით მამზადებდნენ.

ზამთარი იდგა. მგონი, დეკემბერი იყო. თოვდა. ერთ დილით ჩემი მეზობელი ბათლომე მეგრელიშვილი დავინახე, ყაფანთან იდგა ბაზარში, ჩვენი სახელოსნოს პირდაპირ (ახლა რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმია). მე სასწრაფოდ გამოვედი, რომ შინის ამბავი მეკითხა. მივედი, შევესალმე. მან მკლავში ხელი მომკიდა და გვერდზე გამიხმო, ხალხს გამანაპირა, უფრო სახარაზოს.

— იცი, რეიზა მოვედი? — ჩმადაბლა მომმართა ბათლომემ.

— რა იყო, ბიძია, ხომ მშვიდობაა? — შემცბარმა ვკითხე.

— კი, მშვიდობაა. პეტრე კილაძემ, ჩვენმა მამასახლისმა, გამომგზავნა. მთავრობას მოუთხოვნია. ერთი კაი ბიჭი, ორკლასიანი რომ აქვს დაძთავრებული, იმფერი გამოგზავნეო სამეურნეო კლასშიო... აქანაია, ოზურგეთში. საქალაქო სკოლაშიც ისტავლისო და იმ სკოლაშიცო. საჭმელი და ბინა კაზიონი ექნებაო.

— მერე მე რაფერ წავალ?! — გულისტკივილით და ჭოჭმანით ვკითხე.

— მაი მე რა ვიცი... დაბადების მოწმობა, სწავლის მოწმობა და მამასახლი-

სის ქალალდი გამომატანეს.. და აწი შენ იცი, რას იზამ და რაფერ იზამ... — დაამთავრა ბათლომემ ამბავი და საბუთები გადმომცა.

საბუთები ჯიბეში ჩავიდევი ფრთხილად და გაოგნებული ვდუმდი. ბათლომეს სიტყვებმა გონს მომიყვანა, „ხომ არაფერს დამაბარებო?“. ვნახავ-მეთქი. ამის თქმა კი მოვასწარი და მეზობელი გაუჩინარდა.

სახარაზოში შევბრუნდი. მაქსიმელმა თვალი დამატანა. თურმე კაცის ფერი აღარა მაქვს. ძლივს მივაგენი ჩემს სკამს და სამუშაოს.

— ხომ მშვიდობაა შინ, ბიჭო, — შემეკითხა მაქსიმელი. ახლა ყველამ ძე მომაპყრო თვალი და მუშაობა შეჩერდა. ამ ცქერას ვერ გავუძელი, ტირილი წამსკდა და უკანა ოთახში გავედი. მაქსიმელი ფეხდაფეხ შემომყვა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

— ბებია ყოფილა ძლიერ ავად. — მეც გამიკვირდა, ისე ვიცრუე მოულოდნელად.

ბიჭებს მიეყურადებიათ და სახელოსნოში ერთი სიცილი ატყდა.

— რაღა ეშველება ბებიას? — მომაღლო ხმით თქვა არსენამ (ხმაზე ვიცანი) და სიცილი უფრო ხმამაღლა გაისმა. მაქსიმელმა თავი დამანება და სახელოსნოში შევიდა. წამსვე ხმაური შეწყდა. ცოტა სანი ვიჯექი ფიქრებში გართული. მერე სახელოსნოში შევბრუნდი და მუშაობა განვაგრძე. ვმუშაობდი და ხშირად ვგრძნობდი ბიჭების დამცინავ მზერას და გადაჩურჩულებას.

დაღამდა. ტრაპაიძის სასტვენზე დარაბები დაიხურა. ორი ჩამორჩენილი ბიჭი მუშაობას განაგრძობდა, თუმცა ასეთი წესი არ იყო. პირიქით, არსენა და სერაპიონი კიდევაც უშლიდნენ (ალბათ, „ასალთაობის“ გავლენით).

მაქსიმელმა თავისთან მიმიხმო, უკვე მილაგებულ დაზგასთან.

— თუ ძალიან გინდა, სვალ წადი და ავადმყოფი ინახულე. ისე, ნაშეტანს ნუ წუხხარ: ბებია და ბაბუა უნდა მოკვდეს, ბუნებრივია... დედა და მამაც უნდა მოკვდეს... ესეც ბუნებრივია... აბა, შვილები უნდა მოკვდნენ?! — დამიყვავა მაქსიმელმა. — კი წახვალ? მარა ასე თუ ითოვა, ხვალ გზაც აღარ იქნება... ხვალ გადავწყვიტოთ. — დუმილის შემდეგ თქვა და სახლში წავიდა.

მთელი ღამე არ მიძინია. ფიქრის საშუალებაც არ მომცემია, ისე ოხუნჯობდნენ უკვე დაწოლილი ბიჭები:

— რა ეშველება ბებიას? — მოსთქვამდა ერთი.

— მოდით, ბიჭებო, ვილოცოთ, ეგებას მორჩეს!

— გიგილო შემოვაროთ თავზე! — თქვა ერთმა და, „ასაკვირველიაო“, დაუშატა.

— და მაქსიმელიც მივაყოლოთ! —... — მაგიც „ასაკვირველია“.

— ღმერთს ბებიებისთვის სად სცალია. ჯერ დიმიტრა მგელაძე და ნიკოიე თაყაიშვილი უნდა წეიყვანოს — თქვა სერაპიონმა ნახევარხუმრობით და ყველა ამ წამოძახილს ერთსულოვანი ხარხარი ყვებოდა ხოლმე.

დილით ადრე ავდექი. ლოგინი მივალაგე. ჩაიც არ დამილევიაო, ისე გავედი ქალაქში. თან არსენას დავუბარე, ნათესავისას უნდა მივირბინო და იქნებ ცოტა შემაგვიანდეს-მეთქი.

ვიცოდი, სად იყო საქალაქო სასწავლებელი, მაგრამ სამეურნეო სკოლის შესახებ არაფერი გამეგონა.

მოწაფეები მიიჩქაროდნენ სკოლაში. მეც მათ ავედევნე. მოედანზე ორსართულიან შენობაში გავჩნდი. ქვემო სართულში სამასწავლებლო მიმასწავლეს. გვერდით ინსპექტორის (ასე უწოდებდნენ გამგეს) კაბინეტი იყო. კარებთან მიველი, მაგ-

რაძ გაღება ვერ გავბედე. არც ხელი მეპორჩილებოდა, არც ძუხლი. გაკვეთილი დაიწყო და სიჩუმე ჩამოვარდა შენობაში.

უცებ კაბინეტის კარი გაიღო. მღვდელი გამოვიდა ჟურნალით ხელში.

— ვინ გინდა, ბიძიკო? — დაბალი, ალერსიანი ხმით მკითხა მღვდელმა.

— გამგე მინდა. — მივუგე მე და ჯიბიდან საბუთები მექანიკურად ამოვიღე. მღვდელი გაბრუნდა, კარი გააღო და იქ მყოფს მიმართა:

— ბატონო ექვთიმე! ბავშვია თქვენთან. — კარი გამოიხურა და წავიდა. მე კი ინსპექტორის წინაშე აღმოვჩნდი.

— მოდი, ბიჭი. ეს რა ქაღალდებია?

— შინიდან გამოძიგზავნეს... — ჩვენი საზოგადოების მამასახლისს გამოუგზავნია...

მაგრამ ინსპექტორი მე აღარ მისმენდა, საბუთებს ათვალიერებდა.

იგი ძვალმსხვილი, სქელი, საშუალო ტანის კაცი იყო. თმა დაბალზე გადაკრეჭილი ჰქონდა, ულვაშები მოკლე, ჭაღარაგარეული, მსხვილი, ფართო თვალები და მოგრძო, შეერთებული წარბები ჰქონდა. მრისხანედ მომეჩვენა და შევკრთი პირველად.

გამგემ საბუთები დაათვალიერა. მომიალერსა. მშობლების და, საერთოდ, ოჯახის ამბები მკითხა, რაღაც თითქოს გამიშინაურდა კიდეც და რბილი ხმით მითხრა, ეს გაკვეთილი გათავდება და მეორე გაკვეთილიდან ჩვენი მოწაფე იქნებიო.

ტანში დამცეცხლა.

— ძალიან გინდა სწავლა?

— ძალიან... მარა რაფერ უნდა ვისწავლო! ხაზეინი, ალბათ, ახლაც მეძებს.

— რომელი ხაზეინი? — ტონი შეიცვალა ინსპექტორმა.

— მე, ბატონო, სახარაზოში ვარ შეგირდად...

— სახარაზოში? შეგირდად? არაფერია. მალე ჩვენი შეგირდი იქნები.

— „პირობის ძალა“ მიწერია ქაღალდში...

— რა პირობის ძალაა? რა ქაღალდია?

— ჩემი ხელით დამაწერიეს. ორ წელიწადს უნდა ვისწავლო ხარაზობა. თუ ვერ შევითვისე და ან ჩემით წავედი, ხუთი თუმანი „პირობის ძალა“ უნდა მივცე.

ინსპექტორს გაეცინა. მხარზე დამკრა ხელი და თავისკენ მიიზიდა.

— კაი ბიჭი დადექი, კარგად ისწავლე და ნურაფერის გეშინია. — მითხრა და სახელოსნოს ამბავი გამომკითხა: ვისია, უფროსი ვინაა, რამდენი შეგირდია და სხვა. ყველაფერი მოვუყევი და ვთხოვე, ახლა გავეშვი და მეორე დილისათვის მივველე.

— წადი. საბუთები დამიტოვე. დილით ჩემთან შემოდი.

ფეხები მტყდებოდა, სახელოსნოში რომ მივდიოდი. იგი საშინლად შემაშინებდა, რაც სწავლის გაგრძელების იმედი მომეცა. სახელოსნოში ბიჭები სიცილით შემხვდნენ. მაქსიმელი შემეკითხა, ბებიის თუ რამე გაიგეო. სადაც იყავი, ის ნათესავი თუ ნახეო. მე რაღაც ჩემთვისაც გაუგებარი მოვროშე. გული მიწუხდა, რომ ტყუილი დამირჩა თქმული, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ამ ტყუილმა ძალიან მიშველა მისვლა-მოსვლაში.

საღამოს, როცა მაქსიმელი შინ მიდიოდა, მეც გავყევი შორიახლოდან. ქალაქის თავში, ჭასთან, დავეწიე და შევაჩერე.

— სად მიდიხარ აქეთ? — გაკვირვებულმა მკითხა.

— მე... ბოდიშს ვიხდი, მაქსიმელ ბიძია, — ძლივს ამოვთქვი და ტირილი

ძომერია. უფროსმა თავზე ხელი გადამისვა, ნუ გეშინია, ბებია მორჩებაო, მითხრა.

— არა, ბატონო, ტყუილი დაშირჩა თქმული. ბებია სულ არაფერ შუაშია. მომივიდა ასე და მაპატიე... მე სხვა საქმე მაქვს...

მაქსიმელი ისევ ძელსკამზე ჩამოჯდა და გვერდით მომისვა. რა გაწუხებს, ბიძიაო, შემეკითხა.

ყველაფერში გამოვუტყდი უფროსს: რომ მე სწავლის გაგრძელების საშუალება მომეცა, რომ მთავრობის — მაშასადამის — გამოძახებით ძლებულობენ სკოლაში-მეთქი: ბოლოს ვთხოვე, „პირობის ქალაქდი“ მიშლის ხელს და სუთი თუმნის გადახდა არ შემიძლია, მომეხმარე და...

შეტი ვერაფერი ვთქვი მტირალმა.

ძაქსიმელმა ცოტა ხანი იფიქრა. გული მისკდებოდა განაჩენის მოლოდინში.

— მე შენ მებრალები, მაგრამ გიგილომ რომ შეიტყოს, — ქალალდი მოგეცი, მაშინვე გამაგდებს... ცოლ-შვილი შიმშილით დამესოცება. შენ რა უნდა ქნა, იცი, მას უნდა სთხოვო... მარა, არ იზამს—წამოდგა, დაჯდა, შეწუხდა.—იცი, რას გირჩევ? ახლა ნუ გავალიზიანებთ. ეგებას ასე აჯობოს. თუ გაძნელდა საქმე, კაცები ჩავრიოთ. თუ იჩივლებს — კაი ადვოკატი მყავს, გოგიტიძე: ციმბირიდან დეიხსნის კაცს. ჩემი მოყვარეცაა და ვთხოვ. არ გამაწბილებს. იგი მირჩევს, რაფერ მევიქცე და რა ვუყო იმ „პირობის ქალალდს“.

— მერე მე მაგი მიშველის?

— ბიძია, შვილებს გეფიცები, ნამდვილად ნე გიშველი: თუ გაჭირდა საქმე, თლად ვივარებ, არაფერი ხელწერილი არ მქონებია-მეთქი! აბა! ავკაცობას თუ დეიწყებს, ნახოს რასაც გეიტანს! მე ხომ მენდობი და ჩემ სიტყვას? არ გიღალატებ, იცოდე! მაგრამ ეს არავის უთხრა...

იმედი მომეცა, თუმცა მაინც საეგებიოდ მეჩვენა....

— ახლა წაი. ბიჭებმა ქე იციან, რომ ბებია ავადმყოფი გყავს...

მერე, გიგილო რომ შეიტყობს, მე ვეტყვი, სანახავად გავუშვი-მეთქი. — მერე ვნახოთო.

— გმადლობ, ბიძია მაქსიმელ! გენდობი და დაგიჯერებ... მადლობელი ვარ... ის თავისი გზით წავიდა, მე — სახარაზოში.

დილით სწავლის დაწყებამდე მივედი სკოლაში. ინსპექტორმა ერთ მასწავლებელს გადამცა და მანაც ზარის შემდეგ კლასში წინა მერხზე დამსვა. მეცადინეობა დავიწყე, მაგრამ ჩამორჩენილი აღმოვჩნდი.

გაკვეთილები დამთავრდა. გორგასლიძემ კაბინეტში მისმო, წიგნები და რვეულები მომცა უფასოდ და სამეურნეო სასწავლებელში ერთი მოწაფე და დახურული კონვერტი გამატანა. ეს სკოლა ნატანების ხიდთან იყო, მოზრდილ ბაღში, მდინარის მარცხენა მხარეზე, ოზურგეთ-ნატანების გზის პირას. თანმხლებმა ბიჭმა ჭიშკარში შემიყვანა და წავიდა.

ერთსართულიან ქვის შენობაში იყო მოთავსებული სამეცადინო ოთახი. საძინებელი, სასადილო და გამგის — აგრონომ კოტე ნაკაშიძის ბინაც. ძგონია, შვილი არ ჰყავდა, მეუღლესაც იშვიათად ვხედავდით.

კოტე დერეფანში იყო. მე კონვერტი გადავეცი. გახსნა. თვალი მოავლო და კარგად შემათვალიერა.

— ისადილე და მემრე („მემრე“ იცოდა) ჩემთან შემოდი. — მითხრა გამგემ და ძსარეულს ჩემზე ანიშნა. სასწავლო ნივთები რაფაზე დავაწყე და მოსადილეთა გვერდით დავჯექი.

ჩემი მისვლით პანსიონი შეივსო. სულ ათი ყმაწვილი ვიყავით, დაახლოებით თანატოლები, სხვადასხვა კლასებიდან. მაგრამ აქ მეცადინეობას და ცხოვრებას ერთ ჯგუფად გავდიოდით.

ლოგინი, ქვეშაგები ერთ ოთახში (საძინებელში) გვქონდა. ვიწროდ ვიყავით, მაგრამ ეს სულ არ გვიკვირდა. — ნეტავ სოფელშიც ასე მოწყობილი ვყოფილიყავით! დღეში სამი ჯერი კვება გვეძლეოდა და თვეში სამი გირვანქა შაქარი. დილა-საღამოს ჩაის გვაძლევდნენ და შაქარიც საკმარისი იყო.

სადილის შემდეგ ერთ საათს გვასვენებდნენ. მერე ბაღში ერთ-ორ საათს ვმუშაობდით: თოხნა, ბარვა, სხვლა, რგვა, ხეხილის ვაშენება კვლებში. შემდეგ ერთ საათს აგრონომიაში ვმეცადინეობდით. ბოლოს ვამზადებდით საქალაქო სასწავლებელში მოცემულ გაკვეთილებს.

პანსიონში განსაკუთრებით შვებათვისე მანანე მეხუზლას (შეიძლება იმიტომ, რომ ნიკოლოზ მეხუზლას მოგვარე იყო) და კასიანე კვაჭანტირაძეს. კიდევ იყო ორი ჭეიშვილი (პავლე ერმილეს ძე თუ ერმილე პავლეს ბე — ალარ მახსოვს) და მისი ბიძაშვილი ვალენტი. ესენი უფრო მოზრდილები იყვნენ და უფროსობდნენ კიდევაც.

საში დღე საკმარისი აღმოჩნდა, რომ აძხანაგებს დავახლოებოდი, სკოლას შევჩვეოდი და გაკვეთილებზე უფრო აქტივობა გამომეჩინა. ეს ყოფა ძოძწოხდა, მახარებდა.

მაგრამ ერთ დღეს ინსპექტორმა გამომიძახა. კაბინეტში შევედი. ექვთიძე აღელვებული იყო. გვერდით მღვდელი მასწავლებელი მელიტონ ქავჟარაძე ეჯდა, რაღაცას აშოშმინებდა. ბოლოს ყურადღება ჩემზე გადმოიტანეს. მელიტონი წაძოდგა და ახლოს მიმიწვია.

— აქეთ მოდით, ბიძიკო... ხარაზობა გირჩენია თუ სკოლაში სწავლა? — ალერსით მკითხა.

ძივხვდი, რომ კარგი არ მჭირდა. „სკოლა ყველაფერს მირჩევნია, ბატონო“, ვთქვი მე და ცრემლები ყელში მომაწვა.

ექვთიმე სწრაფად ადგა. სერთუკი გადაიცვა, კოკარდიანი ქუდი დაიხურა, საყელო შეისწორა, კედლის სარკეში ჩაიხედა, „ჩემთან წამოდიო,“ ძითხრა და კაბინეტიდან გამოვედით. მელიტონმა დამუქული ხელით მაჩვენა, მაგრად იყავი, ხუ გეშინიაო, და ქუჩაში გამოვედით.

ჩვენს სკოლას და მაზრის უფროსის კანცელარიას მიხდორი ყოფდა (ის მიხდორი შემდეგ ბაღად ვაქციეთ ერმილე და კოტე ნაკაშიძეების ხელმძღვანელობით). ჩქარი ნაბიჯითაც ძლივს ვეწეოდი ექვთიმეს. მივედით მაზრის უფროსის კანცელარიაში. ექვთიმემ კაბინეტი შეაღო და მეც უნდა შევეყვანე, მაგრამ უფროსმა ანიშნა, გარეთ დავეტოვებინე. მე გამოვბრუნდი და წინა, მოსაცდელ ოთახში ავიტუზე.

ლოდინი თითქოს ერთ წელიწადს გაგრძელდა. ბოლოს ექვთიმე სახეზე ალმოდებული, მაგრამ მხიარული გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან. ეს მხიარულება ნაწილობრივ მეც გადმომედო, უფრო ვუჩქარე ნაბიჯს. ამბის გაგება ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ექვთიმე არაფერს ამბობდა, მე კი შეკითხვას ვერ ვბედავდი.

სკოლაში შევედით. ექვთიმემ საათს დახედა. უკვე ზარი მისცეს. უმალვე გაჩნდნენ მელიტონი და სეფე ბურჭულაძე — მათემატიკის მასწავლებელი. სამივე შევიდა კაბინეტში და მეც შემიყვანა ინსპექტორმა.

— აბა, გოგოა თუ ბიჭი? — მოუთმენლად ჰკითხა ექვთიმეს მელიტონმა.

ბიჭია, ბიჭი და... დიდი ბიჭიც! — უპასუხა ფართოდ გაღიმებულმა ინსპექ-

ტორშა, — მაზრის უფროსთან უჩივლია ხარაზ გედევანიძეს, ბალანას ვასწავლეო, გამოვზარდეო, ამდენი ხანია ვარჩენო... ახლა სკოლამ წამართვაო... და როგორც ვიცით, გორგასალიძე მფარველობსო. მეც მამასახლისის მიმართვა ვუჩვენე, ბავშვი ნიჭიერია და კარგად სწავლობს-მეთქი... და ჩაიქნია ხელი უფროსმა — თუ შეძლება აქვთ მშობლებს, ხარჯები აუნაზღაურონო. არაფერი გააჩნია ბავშვს. არც მშობლებს მოუკითხავთ და მოსულან-მეთქი, მოვახსენე. მაშინ ხელი კიდევ ჩაიქნია, „ვაჭარია, გაუძლებს ზარალსო“ და ბოდიში მომიხადა შეწუხებისათვის...

— ახლა შენ კარგად უნდა ისწავლო — სერიოზულად მითხრა ექვთიმემ და კლასში გამისტუმრა. მეც სიხარულით ფრთაშესხმული გამოვედი კაბინეტიდან.

სოფელში მთელი ამბავი ატეხილიყო. გედევანიძეს თაყასთვის შეეტყობინებია. თაყა ჩემს მშობლებთან მივარდნილიყო, პირი გამატეხიეთ იმ პატიოსან ვაჭართან და სირცხვილი მაჭამეთო. ნახარჯი მაინც გაუსწორეთო.

დედაჩემს მოეგროვებია შინ და მეზობლებში ერთი კალათი ყველი და ოზურგეთში გამოეტანა. კითხვა-კითხვით მოსულიყო საქალაქო სასწავლებელში. ბიჭები მომვარდნენ, დედაშენი გეძებსო.

— ცოცხალი სარ, ბიჭო? — მითხრა გულაჩუყებულმა დედამ და გულში ჩაძიკრა.

— აბა, რა მომკლავდა! — ამაყად და მხიარულად ვუპასუხე და შევატყვე, დედის ნახვით და თან გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ცრემლებს მოითხოვდა.

— წამოდი, ნენა, გევისტუმროთ იგი უსვინდისო... ოცი გირვანქა კი იქნება აი ყველი. რა ვიცი, წელი კი მომტეხა მაგის თრევამ და...

— ნენა, შენი ჭირიმე, დუქანში ნუ მიმიყვან... — შევეხვეწე დედას, — ბიჭების მრცხვენია... ეგებას, ხაზეინიც შემხვდეს და ჩხუბი დამიწყოს... გაგიჟებულა კაცი, ნაჩალნიკთან უჩივლია...

— მართალი ხარ, ნენა, შენ იქინე ველარ გამოჩთები... აქანაი დამიცადე, აგერ „პაშიტნიკთან“... იმ ახალ „სამეველო“ კლასში ველარ წამოვალ... შინ დაშიგვიანდება და ღამე ვერ ვიარო — თქვა დედამ. კალათი მხარზე მოიგდო და წავიდა.

მე მოედნის კუთხეში, თურქეთთან ომში დაღუპულ რუსი მეომრების ძეგლთან, ავიტუზე დედაჩემის დაბრუნების მოლოდინში. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ გახარებული დედაც მოვიდა. გიგილო სახარაზოში დახვედროდა. დედას ბოდიში მოეხადა — „ამფერია ახლანდელი ბაღნებიო, ამხელა კაცთან შემარცხვინაო“. ყველი მიეცა, ჩემი ქვეშაგები წამოელო და სიხარულს ვერ ფარავდა.

— ისე, ნენა, ურიგო კაცი არ ყოფილა... — ყველი გაუხარდა, გემო გასინჯა, ხელებზე დამხედა, კაი ნახელავიაო და ძალლობაც დაშიყოლა. ყველა ასე კი არ იზამს... მარა რაცხა იყო, მორჩა და გათავდა... ახლა შენ და შენი ბიჭობა... ნასტავლი ქე მერჩიე. მამაშენსაც... ხარაზი იასონაიც კია, მარა თოხი ვერ მოიშორაო. მარტო იგი რად ღირს, რომ „კაზიონ“ ხარჯზე იქნები... შენ იცი და... ახლა გეიქეცი, სადილზე არ დაგიგვიანდეს... მე კიდევ...

ალბათ, „გნახავო“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გული აუჩუყდა, კოცნისას კურცხალი დამიგდო ლოყაზე და სწრაფად მოწყდა...

ო, დედა, დედა! რა მშრომელი და ძაჯაგანი იყო! ალბათ, ტირილით და ფიქრებით გალია თხუთმეტი კილომეტრი გზა ოზურგეთიდან მამათამდე, მოდი და, თუ ვაჟკაცი ხარ, გადაიხადე ამდენი ამაგი!

ახლაც ხშირად მგონია, რომ თვითონ მჭადს მარილზე აწებს და ყველს აგროვებს, რომ მეზობლების ვალი გადაიხადოს!

• •

დღევ, გამოთენდი, დღეო მზიანო,
გული კი არა, სულიც ხმაურობს,
უნდა მზის სხივთან ერთად ვიარო
ცის დიდ ბილიკზე სამოგზაუროდ.
მექნება, ალბათ უზომო ვალი,
ზეცის, ჰაერის, პურის და მიწის,
გარბის დღეები უხმო და მალი
და შორ სივრცეში ნათელი მიცდის.
ჩემს უნეტარეს და ჩემს ტკბილ მამულს
ვერ ელევიან ჩემი ფიქრები,
და როცა ასე ვეძახი წარსულს,
მე ვიცი, აწმყოს როგორ ვჭირდები.
მამული... ისევ ხმაურობს გული,
და მზე ორბივით ჰკიდია ცაზე,
ამოდის დილა, სავსე და სრული
და თავის ლამაზ სიცოცხლეს მასმევს.

• •

თეთრი დღეები ზმანებათა წინ
აკლდამებივით დგანან,
იქვე კოლხური ნასოფლარები
და სათიბები ჩანან,
ბებერ ციხეებს ნაბმლევ სხეულზე
არ უშუშდებათ ღარი,
და ქონგურებზე ბრმა მოხუცივით
დაბორიალობს ქარი.
მე იქ ამოვალ, სადაც ლოდები
თქვენს ცისფერ გზებზე წვანან.
ეს თქვენი ხმაა, თუ სევდიანი
ძველი კოლხური ნანა?
მე ასჯერ მომკლეს,
ასჯერ ავდექი
ცრემლით, იმედით, იჭვით.
მე თქვენს საფლავზე ამონათებულ
ბალახებიდან ვიშვი,
მე ისევ ვდგავარ,
ისევ ვხმაუროб,
ისევ ვიბრძვი და ვიღვწი,
ისევ აცხია დაღლილ გალავნებს
ძველი კოლხების სისხლი..

ლადო შარაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმში

1954 წლის შემოდგომაზე ბათუმში უნდა გახსნილიყო გამოჩენილი ქართველი მხატვრის თამარ აბაკელიას ნაწარმოებთა გამოფენა. მანამდე ეს გამოფენა მოეწყო სოხუმში, საიდანაც ექსპონატები გემით უნდა ჩამოეტანათ. ნავსადგურში რომ გავედი, მგზავრები უკვე ჩამოდიოდნენ გემიდან. ერთმა მათგანმა — ბათუმელმა ინჟინერმა ჯემალ ნიჟარაძემ მითხრა, ვისაც თქვენ ელოდებით, ეს-ეს არის მანქანაში ჩაჯდა და წავიდაო. როდესაც საქმის ვითარება გაიგო, დაუმატა: რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, თქვენ ნაზიმ ჰიქმეთს ხვდებოდით. იალტიდან მასთან ერთად ვიმგზავრე და ბევრი საინტერესო რამ მომითხრობა... ადვილი გასაგებია, როგორ გამახარა ამ ამბავმა. მით უფრო დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც დამავალეს შესანიშნავი თურქი პოეტის თანმხლები ვყოფილიყავი აჭარაში მისი სტუმრობის დროს.

ჩვენ მეორე დღეს, დილით, გავეცანით ერთმანეთს. ნაზიმ ჰიქმეთი თურმე მანამდე ყირიმში ისვენებდა. იქედან წამოსულა რამდენიმე დღით ბათუმის სანახავად, სადაც პირველად 1921 წელს იყო და შემდეგ სულ ნატრობდა, ისევ სწვეოდა ამ ქალაქს. მე თავიდანვე მოვიხიბლე ნაზიმის კეთილშობილური და ვაჟკაცური გარეგნობით, მრავლისმეტყველი თვალებით, მიმზიდველი ღიმილით, გულშიჩამწვდომი ხმით... ისე გულთბილად მიმიღო, თითქოს უკვე კარგა ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. ნაზიმ ჰიქმეთმა მითხრა, ბათუმში უბრალო ცნობისმოყვარეობამ რომი ჩამომიყვანა, ამ ქალაქთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების ფრიად სამახსოვრო ეპიზოდიო.

1921 წელს ნაზიმი მალულად ჩამოვიდა თურქეთიდან და ბათუმის გავლით მოსკოვს გაემგზავრა, იქ ჩაირიცხა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში. იგი დიდად მოხიბლული დარჩა ბათუმით და მუდამ იგონებდა აქ გატარებულ დროს. ბათუმში ნახა მან პირველად ვ. ი. ლენინის პორტრეტი, აქ მოისმინა „ინტერნაციონალი“, რომელსაც ჯგუფად შეკრებილნი რუსულ-ქართულ ენებზე მღეროდნენ. აქ ნახა წითელი არმიის ქვეგანაყოფები! წარსულის შთაბეჭდილებათა განახლებასთან ერთად, მას სურდა იმ გარდაქმნათა დანახვა, რაც საბჭოთა წლებში მოხდა საქართველოს ამ შესანიშნავ კუთხეში... შემდეგ სიამაყით დასძინა, ჩემში ქართული სისხლიც ჩქეფსო. თურმე, ბებიაძისი, დედის მხრიდან, ქართველი ყოფილა. მათ ოჯახში დანერგილი იყო ბევრი ქართული წესი, ქართულ სიმღერებსაც მღეროდნენ. ნაზიმს საქართველოზე ბავშვობაშიც ბევრი რამ მოესმინა, რის გამოც ვალდებულად თვლიდა თავს ახლოს გაცნობოდა ამ ქვეყანასა და მის ხალხს. ეს განზრახვა კიდევ უფრო მტკიცე გამხდარა მას შემდეგ, როდესაც პირველად დაადგა ფეხი საქართველოს მიწას. სამწუხაროდ, მაშინ დრო მეტად მცირე ჰქონდა. ამიტომაც, მოთმინება არ ყოფნიდა, როდის შემოივლიდა ნაცნობ ადგილებს, ისევ დატკბებოდა აქაური ბუნების სილამაზით... ნაზიმა შემომჩივლა, თურქეთის საპყრობილეებში გადატანილმა წლებმა დიდად შემირყიეს ჯანმრთელობა და ჯერაც კარგად ვერ მოვმჯობინდი, რაც გადაღლის უფლებას არ მაძლევსო. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბათუმში მისი

ყოფნის პროგრამას... შეეცადე, საპატიო სტუმარს შეძლებოდა ენახა ყოველივე ის, რაც სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა ჩვენს კუთხეზე, მისი ხალხის ახლებურ ყოფასა და შრომით საქმიანობაზე.

ნაზიმ ჰიქმეთმა თითქმის მთელი ბათუმი მოიარა, გაისეირნა ზღვისპირა პარკში, დაათვალიერა პიონერთა პარკი, ავიდა ბათუმის მთაზე, გაეცნო ქალაქის ახალ ნაგებობებს, მათ შორის ბათუმის საზაფხულო და დრამატული თეატრის შენობებს. შემდეგი მარშრუტი იყო ბოტანიკური ბაღი, მწვანე კონცხი. ნახა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, დაინტერესდა ამ საწარმოს მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომითა და ცხოვრებით.

ნაზიმ ჰიქმეთს ყველაფერი აინტერესებდა — აწმყოსა და წარსულის ამბებიც. ცხადია, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი მეპასუხა მის კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა, უპირველესად, აჭარისა და, საერთოდ, საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებულ მიღწევებს. ნაზიმ ჰიქმეთი განსაკუთრებით გაახარა იმან, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში დიდად განვითარდა განათლება, მეცნიერული კვლევა-ძიება, ლიტერატურა და ხელოვნება. მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ამ პროცესის აქტიური მონაწილე გახდნენ ქალები. შედარებისათვის კაპიტალისტური თურქეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მაგალითი მოჰყავდა, ხაზგასმით აღნიშნავდა სოციალისტური სისტემის აშკარა უპირატესობას. ამის ერთ-ერთ ნათელ და უდაო დადასტურებად მიაჩნდა ყველაფერი ის, რაც მან ნახა და გაიგონა საბჭოთა აჭარაში.

ნაზიმ ჰიქმეთმა დიდად გაიხარა, როცა გაიგო, ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე პირველად საქართველოში დაიდგა მისი „ლეგენდა სიყვარულზე“. ეს პიესა მან საპყრობილეში დაწერა და რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1952 წელს. ნაზიმმა ყველა წვრილმანი მკითხა დადგმის თაობაზე, განსაკუთრებით დაინტერესდა რეჟისორის ჩანაფიქრით, პიესის დედააზრის სცენური ხორცშესხმის დეტალებით. მითხრა, როდესაც ამ პიესას ვწერდი, მოწადინებული ვიყავი მეჩვენებინა სიყვარულის უდიდესი ძალა, რომლის წინაშე ყველა იხრის ქედს და მას წინ არაფერი არ ალუდგება, სიკვდილიც კი. იგი ყოველთვის აკეთილშობილებდა ადამიანებს, თანასწორუფლებიანობას ანიჭებდათ მათ, რა წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. და თუ პიესაში დიდი ტრაგიზმი ჩანს, მხოლოდ იმისთვის, რომ ღრმად განაცდევინოს მკითხველსა თუ მაყურებელს სიყვარულის ძალა და სიდიადე, მოუწოდოს ყველას — სათუთად შეინახონ ეს დიადი გრძნობა... ბევრი საინტერესო და მახვილგონიერი აზრი გამოთქვა ნაზიმ ჰიქმეთმა იდეურ-ესთეტიკური მრწამსის შესახებ და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რაოდენ მდიდარი შემოქმედებითი ალღოს მქონე იყო, როგორ ასულდგმულებდა ზოგადსაკაცობრიო იდეალები.

ამის შესახებ იგი ვრცლად და საინტერესოდ ელაპარაკა ადგილობრივ მწერლებს. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, გიორგი სალუქვაძე, ამირან შერვაშიძე, ნანა გვარიშვილი, ილია რურუა. გაიმართა ფართო მსჯელობა თანამედროვე ლიტერატურის როლზე ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ადამიანთა დარაზმვაში რეაქციული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაზიმ ჰიქმეთი დიდი ყურადღებით ისმენდა ჩვენი პოეტების ნაწარმოებებს, თხოვდა მათ, ლექსები განმეორებით წაეკითხათ, რათა უფრო კარგად ეგრძნო ქართული ენის თავისებური, პოეტური ჟღერადობა. მან რამდენიმე საკუთარი ლექსიც წაიკითხა, ეს პოეზიის ნამდვილი ზეიმი იყო. ჰიქმეთმა მითხრა, ბურსის ციხეში ყოფნის დროს მშობლიურ ენაზე ვთარგმნე ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“,

ამ რომანის გაცნობამ უფრო შემაყვარაო რუსი ხალხი, რუსული ენაო. მადლიერებით ილაპარაკა მწერალ გრიგოლ აბაშიძეზე, რომლის თაოსნობით 1952 წელს თბილისში ქართულად დაიბეჭდა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები. წიგნს წამძღვარებული ჰქონდა გ. აბაშიძის შესავალი წერილი.

ნაზიმმა ისიც მითხრა, რომ ბევრ თავის ლექსში ახსენებს კარლ მარქსს, ფრიდრიხ ენგელსს, და რამდენიმე ლექსი მიუძღვნა პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. 1924 წელს ერთი ლექსი დაწერა გორკაში ყოფნის დროს, როდესაც გაეცნო იმ სახლს, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა. ამ ლექსში არის ასეთი ადგილი:

არა, თავს სევდა-გლოვას ნუ მიუცემთ
ის არ მოკვდარა, იცოცხლებს მარად!
ჩვენ შევახრულებთ ყოველთვის მტკიცედ
— რაც გვიანდერძა, რაც დაგვაბარა!

1956 წელს ბათუმში დაიბეჭდა ნ. ჰიქმეთის ლექსები. წიგნში მოთავსებულია 35 ლექსი, თარგმნილი ფ. ხალვაშის, ნ. მალაზონიას, გ. სალუქვაძის, შ. როყვას, შ. შუბლაძისა და ი. ბერიძის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს ნ. ჰიქმეთის შესავალი წერილი, რომელიც ფ. ხალვაშმა ჩამოიტანა მოსკოვიდან, სადაც იგი ხშირად ხვდებოდა პოეტს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ წიგნის რედაქტორი ვიყავი.

1971 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დასტამბა მ. ვარშანიძის თარგმნილი ლექსები, რომელშიაც მოთავსებულია ნ. ჰიქმეთის 6 ლექსი.

აჭარაში ყოფნის დროს ნაზიმს თან ახლდა ექიმი ლიდია ივანოვნა, რომელსაც ლიდი ივანას ეძახდა. ჩემი გადამრჩენელიაო, ამბობდა. ექიმი ხშირად შეახსენებდა თავის პაციენტს, აკრძალული გაქვს თამბაქოს მოწევა, ღვინის დალევა, ღამის 11 საათის შემდეგ მუშაობაო. დღისით კი 1-2 საათი მაინც უნდა დაისვენო, ჭამის რეჟიმი დაიცვაო. ნაზიმიც უხმოდ ასრულებდა ლიდია ივანოვნას რჩევას. სხვათა შორის, ბათუმელ მწერლებთან შეხვედრის დროს, სხვა ლექსებთან ერთად ამ მკურნალისადმი მიძღვნილი ლექსიც წაიკითხა.

საუბრისას როგორლაც რამდენიმე გურული ანეკდოტი მოვუყევი. ძლიერ მოეწონა და ბევრი რამ უბის წიგნაკში ჩაინიშნა. ასე მითხრა: იუმორის გრძნობა ამკობს ადამიანს; მე მიყვარს იუმორი, ოფიციალურ შეხვედრებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამხანაგ-მეგობრებთან და, საერთოდ, ცხოვრებაში ღიმილმორეული ქცევა, ღიმილდამშვენებული საუბარი მიზიდავსო.

დრომ სწრაფად გაირბინა. დადგა განშორების წუთი, საპატიო სტუმარს რომ ვაცილებდით, „ინტურისტის“ შენობასთან ფოტოსურათი გადავიღეთ, ეს სურათი მუდამ მაგონებს ნაზიმ ჰიქმეთთან შეხვედრის დაუვიწყარ დღეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმელი მენავთობეები

მხატვარი ზურაბ ხაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ ელუარი

ჩვენ ვარსებობთ

ხედავ ნიჟარა გამოხეთქა სიღამოს ალმა
და საგრილეში გაბვეულ ტყეს გადაეფინა

შენ ზარმაცი მზით განათებულ უკაცრიელ დაბლობებს ხედავ
და თოვლი თოვლი ზღვის სიმაღლეა
ალბორგებული რომ მიიღტვის სილაჟვარდისკენ

ხედავ ნაზ ხეებს და ქვებს სრულქმნილს დაფარულ შველას
ანდა ქალაქებს გადაღებილებს მოოქრული მელანქოლიით
ბოდიშებით სავსე ტროტუარს
ხედავ მოედანს მარტოობის დგას მომღიმარე აქ ქანდაკება
და მის მეზობლად სახლი სიყვარულისა

ძხეცებსაც ხედავ
ავ ორეულებს შეუწირავთ ერთმანეთისთვის
უმანკო ძმები და ერევა მათი ლანდები
სისხლის უდაბნოს

ბავშვს ხედავ იგი ლამაზია იგი თამაშობს იგი იცინის
ო იგი ბევრად პატარაა
ვიდრე ტოტებში ფრთხიალა ჩიტი

ხედავ პეიზაჟს რომ აუდის მედინი წყლისა და ზეთის სუნი
აქ უნაყოფოს ვერაფერს ნახავ გადაულოცავს სიძწვანე მიწას
ზაფხულისათვის

---

* დაცულია დედნის პუნქტუაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ვალს უბრუნებს ხილით
მერმე ქალები ჩამოდიან ძველი სარკიდან
ახალგაზრდობა საკუთარი და სოფაბუკის შენის რწმენა მოაქვთ მათ
შენთვის

იმათგან ერთი გამჭვირვალეს გაფარებს რიდეს
და რიდის მიღმა შენ უშენო სამყაროს ხედავ

* * *

მაგრამ ჩვენ ისევ გავაცოცხლებთ ყველაფერს ქვეყნად
და თქვენ ჩემს ლომებს ჩემს ოქროს ალმებს
ველებს ხეობებს ფათერაკებს დახლართულ ხვანჯებს
სიმწვანეს ქვეყნის გულჩვილ ქალაქებს
გიპატრონებენ ადამის ძენი
ნამცეც-ნამცეც რომ შეუკრიბავთ ოცნება ბრძენი
გიპატრონებენ გალუმპულნი ოფლით და ცრემლით
სისხლით მოთხვრილნი ადამის ძენი
მე ვხედავ, ვხედავ გულოვან და კეთილ არსებებს
მათ მოიშორეს სიკვდილივით უაზრო ტვირთი
და დაქანცულებს ტკბილად სძინავთ მზის ღრიანცელში.

ფრანგულიდან თარგმნა **ლევან ბერძენიშვილმა.**

ქართველი ჩეკისტი უკრაინაში

უკრაინელმა ჟურნალმა „პრაპორმა“ („დროშა“) დაბეჭდა ლ. ვოლჟანისა და ე. ზვონეცკის „ნარკვევები პირველ ჩეკისტებზე“, რომლის ერთ თავს — „დიპლომატიური მისია“ (იგი ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ჩეკოველი ჩეკისტის ვასილ სიხარულიძის საქმიანობას შეეხება) „ჭოროხის“ მკითხველებს ვთავაზობთ.

ვასილ სიხარულიძეს გაელვება — ვიღაცამ ფრთხილად შეახო ხელი მხარზე. თვალები გაახილა და მძიმედ ასწია თავი.

ის იყო, თენდებოდა. გვერდით კომენდატურის თანამშრომელი პოტასკაევი იდგა.

— ამხანაგო სიხარულიძე, — მოახსენა მან, — ეს არის ეშელონი ჩამოდგა. მეტად უჩვეულოა: სულ სამი ვაგონია. მგზავრებმა მანდატები კი წარმოადგინეს, მაგრამ ჩხრეკას თავს არიდებენ. აქაოდა, ჩვენ მშვიდობიანი საბჭოთა დელეგაცია ვართო...

— ერთი წუთი მომითმინე, — ვასილმა სწრაფად დაიბანა ხელ-პირი, გიმნასტურა ჩაიცვა.

მას შემდეგ, რაც ჩეკისტის მძიმე ხვედრმა ხარკოვიდან აქ, შფოთიან სადგურ ჟოლობოვკაში* გადმოისროლა, ვასილ სიხარულიძეს აღარ უხილავს მშვიდი დღე. რა არ გადახდა თავს, მაგრამ დიპლომატებთან ჩალიჩი არ შეხვედრია...

სიხარულიძეს გონება დაეძაბა. დიპლომატიური მისია... მისთვის, კომენდანტისთვის, ამის თაობაზე არავის არაფერი უცნობებია. სასაზღვრო განიჯვის* გარეშე კი მას უფლება არ ჰქონდა თუნდაც ერთი მატარებელი გაეშვა სადგურიდან.

ისინი შპალებზე მიაბიჯებდნენ ლიანდაგის გასწვრივ. განთიადის ნისლს სქელ ბურუსში გაეხვია ვაგონები, რომლებშიც სასაზღვრო ჩეკას თანამშრომლები — მებრძოლები ცხოვრობდნენ. ასევე ბუნდოვნად მოჩანდა წყალსაქაჩი და ვაგზლის დაბალი შენობა.

პირველ ლიანდაგზე სამი სალონ-ვაგონი მოჩანდა. ახლოს შეიარაღებული წითელარმიელები მიმოდიოდნენ.

---

* რკინიგზის სადგური ჟოლობოვკა (კურსკ-ვოროჟბას მაგისტრალი) 1918 წელს სასაზღვრო პუნქტი იყო საბჭოთა რუსეთისა და გერმანელების მიერ ოკუპირებული უკრაინის საზღვარზე.

— ყარაული დავუწესე, — თითქოს თავს იმართლებსო, განმარტა პო-
ტასკაევმა.

— სწორადაც მოიქეცი. — შეაქო კომენდანტმა.

ვასილმა დიდხანს უკაკუნა, ვიდრე კარს გაუღებდნენ. ვაგონიდან პარ-
ფიუმერიისა და ნუგბარი საჭმლის სურნელი ატანდა. მშიერმა პოტასკაე-
ვმა კრუნჩხვით გადაყლაპა ნერწყვი.

— რა გნებავთ? — გამხდარი მომცრო ტანის ოქროსსათვალიანი კაცი
მოუთმენელ ვიზიტიორებს მიაშტერდა.

— მე სასაზღვრო ჩეკას კომენდანტი გახლავართ. გთხოვთ, გვაჩვე-
ნოთ სამგზავრო დოკუმენტები და დაგვეხმაროთ ვაგონებისა და მგზავრთა
ნივთების საბაჟო შემოწმებაში.

სათვალიანმა მომცრო ტანის კაცმა თეატრალურად გაშალა ხელები:

— სამწუხაროდ, ჩემთვის არ მოუციათ მოლაპარაკების რწმუნება, —
მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე კი დაუმატა: — ახლა თქვენ თვითონ კონსუ-
ლი გაგესაუბრებათ.

კონსული მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა კორიდორში. ასე,
სამოცისა იქნებოდა, ნახევრად სამხედრო ტანსაცმელი ეცვა.

სამოქალაქო მანერით წარუდგა ჩეკისტებს.

— ჩვენი დელეგაცია კიევს მიემგზავრება მოლაპარაკებაზე. აი ჩემი
მანდატი, — მან დაუდევრად გაუწოდა საბუთი. — ოღონდ არ მესმის, რა-
ტომ ღაგვაყოვნეს. ვიმეორებ, ჩვენ გველოდებიან კიევში. დაგვიანება სე-
რიოზული გართულებებით ემუქრება მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, თქვენ
გაქვთ თუნდაც მცირე წარმოდგენა ჩვენი დიპლომატიური მისიის საბელმ-
წიფო მნიშვნელობაზე?..

— მაქვს. მაგრამ არსებობს საბაჟო შემოწმების ინსტრუქცია... ეს სა-
საზღვრო სადგურია, და ჩემმა თანამშრომლებმა უნდა შეამოწმონ მგზავ-
რთა მთელი ბარგი და პირადი ნივთები. ჩვენ ვერ დავუშვებთ გამონაკლისს
თქვენთვის, რადგან არავითარი მითითება არ გაგვაჩნია. საბუთები ყველას
აქვს?

— ცხადია, — კონსულმა ნერვიულად აიჩეჩა მხრები, — მაგრამ გაჩხ-
რეკაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხვალ თუ თვითნებურად მოიქცევით, მოს-
კოვს მოვახსენებთ...

ამ სიტყვების შემდეგ კონსულმა თავი დაუკრა და კარს მიეფარა.

სიხარულიძე დუმდა. ასეთ ხათაბალას ჯერ არ გადაყრია... ბოლოს,
გულმოსულად უთხრა პოტასკაევს:

— ვაგონები სამარქაფო ლიანდაგზე დააყენე! მოვსინჯავ, ეგება მოს-
კოვს დავუკავშირდე. საგანგებო შემთხვევაა.

ვიდრე სამანევრო ორქლმავალი სალოს-ვაგონებს ჩიხში დააყენებდა,
ჟოლობოვკაში ახალი შემადგენლობა მოვიდა.

მგზავრები პერონზე გამოცვივდნენ, საკონტროლო-საშვებ პუნქტს მი-

აშურეს. აქ ამოწმებდნენ საბუთებს და საგზაო ნივთებს. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აკრძალული იყო გატანა: ოქროსი და ვერცხლისა, ძვირფასეულობისა და იარაღისა.

სადგურის ჩეკას კომისარი იმ დღეს არ ყოფილა ჟოლობოვკაში, და ვასილი იძულებული იყო მის მაგივრადაც გადაეწყვიტა საკითხები. საზრუნავი თავზე საყრელად ჰქონდა, და მიავიწყდა კიდევაც დელეგაცია.

მაგრამ დელეგაციამ თვითონ შეახსენა თავი. ნაშუადღევს კონსულის წარმოგზავნილი მოვიდა და ითხოვა, საგარეო საქმეთა სახკომში დავრეკავო.

სახარულიძემ უარი უთხრა, ამასთან განუმარტა, პირდაპირი მავთულით ლაპარაკი საზღვრისპირა ჩეკას უპირატესი უფლებაა.

— თქვენი თანდასწრებით, —შეჰპირდა ის, — მე დავურეკავ სრულიად რუსეთის ჩეკას.

მოსკოვიდან უპასუხეს: ფელიქს ედმუნდის ძე აქ არ იმყოფება და არც არის ცნობილი, როდის იქნებაო. როგორ მოქცეოდნენ დელეგაციას, სრულიად რუსეთის ჩეკას მორიგემ არ იცოდა, მაგრამ თავის მხრივ მაინც ურჩია: ვითარების მიხედვით იმოქმედეთო.

...მატარებელს, სადაც დელეგაცია იმყოფებოდა, ისევე როგორც ადრე, წითელარმიელები ყარაულობდნენ.

— რატომ დაგვაყოვნეს აქამდე? — უკვე მერამდენედ კითხულობდა ალელვებული კონსული. — ჩვენ დაპატიმრებულნი ვართ?

იგი მოითხოვდა, რომ გაეშვათ მატარებელი.

— ჩვენ არ გაყოვნებთ. მცირეოდენი საბაჟო ფორმალობა — და თქვენც განაგრძობთ გზას.

— მაგრამ ეს ხომ უპრეცედენტო შემთხვევაა, გაგონილა დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაჩხრეკა საკუთარ ქვეყანაში?

სიხარულიძემ უკიდურეს ზომას მიმართა.

— მოვიდა მითითება... პოტასკაევ, დაუძახეთ ხალხს და დაიწყეთ შეჩოწმება!

რაკი მიხვდა, საქმე ცუდად შემობრუნდაო, კონსული გახევდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩეკისტთა ჯგუფის თანხლებით სიხარულიძე უკვე მიწყნარებულ სალონში დააბიჯებდა.

მგზავრთა საბუთებს იგი თვითონ სინჯავდა. ბევრ კუპეში ქალები ისხდნენ. ამ დროს, კონსულის მაერ მიცემულ ქალალდებში არცერთი ქალის გვარი არ იხსენიებოდა.

— დელეგაციის თანამშრომელთა მეუღლეები არიან, — განმარტა დიპლომატმა.

— მაგრამ ისინი, — კომენდანტმა იმ კუპეზე მიუთითა, სადაც რამდენიმე სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი იჯდა. მათ მანერაში ყოფილ ოფიცრებს შეიცნობდით. — რატომ არიან უსაბუთოდ?

კონსული მოიღუშა. წინანდებური რიხის გარეშე უპასუხა:

— ესენი მეეტლეები, ცეცხლფარეშები და მეეზოვეები არიან. ჯიუტში დიდხანს მოგვიწევს ყოფნა...

დაიწყეს ნივთების შემოწმება. ვაგონის ბოლოში იატაკზე კარგა მოზრდილი ბოქლომგაყრილი დაწნული კალათი მოგხვდებოდათ თვალში. სამგზავრო საჭიროებისათვის მეტად დიდი ჩანდა. სიხარულიძე ბოქლომს ძიაძგა.

— უჩვეულო შიგ არაფერია, — აჩქარდა კონსული. — დელეგაციის თანამშრომელთა თბილი ტანსაცმელია, ყინვები რომ დაიჭიროს...

— გთხოვთ, მომცეთ გასაღები!

— მაპატიეთ, მაგრამ გასაღები დაგვეკარგა... გარწმუნებთ, იქ მხოლოდ ჭინჭებია...

— პოტასკაევ, ერთი მოსინჯე.. .ვასაღების გარეშე!

მართლაც, კალათში ტანსაცმელი ელაგა. ვასილმა ჭინჭები აიღო და ხელში ქაღალდების დასტა შერჩა: რიაბუშკინსკის ფირმის ყველა წესით გაფორმებული ანგარიში.

— ჩვეულებრივი ბუღალტერიაა. — ღიმილით თქვა კომენდანტმა და კვლავ კალათზე დაიხარა.

კონსული გაფითრდა.

— ესეც შენი... თბილი ტანსაცმელი.

ჩეკისტების თვალწინ აბრწყინდა ოქროსა და ვერცხლის ნიკთების ბრწყინვალე გროვა...

— ორი დარჩეს დასაცავად! კალათი დაპლომბეთ! — განკარგულება გასცა ვასილმა. — პოტასკაევ, განვაგრძოთ ჩხრეკა.

ბოლო კუპეში თვალში გეცემოდათ ტომარაში გახვეული გრძელი ფუთა.

— ამაშიც თბილი ჭინჭებია?

კონსული დაიხარა, საიდუმლოდ ჩასჩურჩულა ვასილს ყურში:

— ფული მიგვაქვს უკრაინაში იატაკქვეშელ ბოლშევიკთა საქმიანობისათვის... ის ძვირფასეულობაც და კალათიც მათთვისაა...

— სად არის საბუთები ძვირფასეულობასა და ფულზე? — ხმამაღლა შეეკითხა ვასილი.

— ეს ხომ იატაკქვეშეთისაა, — კვლავ ჩურჩულით თქვა ნირწამხდარმა დიპლომატმა. — კონსპირაციული მიზნით...

— იატაკქვეშა მუშაობისათვის სახსრები ადგილზე მოიძებნება. აქ კი ყველაფერს საბუთი უნდა ახლდეს. იქნებ, ისიც გინდათ თქვათ, რომ ეს უსაბუთო ხალხიც იატაკქვეშა საძუშაოზე მიდის?

— სწორედ ასეა. უმკაცრესი კონსპირაციაა, მაგრამ ჰე თქვენ ვენდობით...

— გმადლობთ, — გულმოსულად ჩაიბუზღუნა ვასილმა. — მიჩვენეთ, რაა ფუთაში!

ტომრის ფუთაში ათი მილიონი „ნიკოლაზის“ მანეთი იდო.

სალამოს სალონ-ვაგონები მგზავრებითურთ ჩეკისტთა დაცვასთან ერთად მოსკოვს დააბრუნა კომენდანტმა...

გამოხდა ხანი, და სიხარულიძემ შეიტყო, რომ დელეგაციის რამდენიმე წევრი, მათ შორის კონსულიც, ყოფილი მეფის დიპლომატი, — ძვირფასეულობის საიდუმლოდ გატანისა და თეთრგვარდიელ ოფიცერთა გაპარების ცდისათვის, რომელთაც დონისაკენ ეჭირათ გეზი, — დაპყრიტეს. რუსეთის მილიონერის რიაბუშინსკის ნდობით აღჭურვილ პირთა თხოვნით ძველ დიპლომატს უნდოდა გერმანელების მიერ ოკუპირებულ კიევში გაეტანა მისი ქონება.

უკრაინულიდან თარგმნა ბრიგილ სიხარულიძემ.

გუგული დიასამიძე

ჰერეთელთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში

აჭარის ტოპონიმიაში მკვლევართა ყურადღებას იქცევს სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები.

ენობრივ თავისებურებათა თვალსაზრისით სამეურნეო ტოპონიმებში მკვეთრი ცვლილებები არ ხდება. უმთავრესად სახელის პირვანდელი სახე ნათლად არის შენარჩუნებული, ოღონდ ხშირად გაფორმებულია პრეფიქსით. „პრეფიქსიან გეოგრაფიულ სახელთა უმრავლესობა სამეურნეო ტოპონიმიკას ეკუთვნის“ (5, 140), უმთავრესად ამ რიგის ტოპონიმები პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისაა და მათში გამოხატულია წინავითარება. ასეთ შემთხვევებში გეოგრაფიული სახელები ნაწარმოებია ნა-ავ, ნა-ევ, ნა-არ, ნა-(ე)ვ-არ პრეფიქს-სუფიქსებით. ზოგჯერ კი ნა-ევ მაწარმოებლებს ერთვის -არ სუფიქსი და ხმოვნის ამოვარდნით ნა-(ე)ვ-არ მიიღება. მაგალითად: ნასელვარი — (ნა-სელ-ევ-არ-ი). ხშირად ნა-ავ აფიქსიან ტოპონიმებში სუფიქსის გავლენით ფუძისეული ხმოვანი დაკარგულია. მაგ. ნასლავღელე (← ნასელავღელე. ზენდიდი).

ტოპონიმთა შესწავლამ ცხადყო, რომ აჭარაში ოდითგანვე დაწინაურებული ყოფილა მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა და სხვა. „სამეურნეო ტოპონიმიკა ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო წარსულთან ერთად სამეურნეო აწმყოსაც გადმოგვცემს (4, 155). ბევრ შემთხვევაში, როცა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული წყაროები და ფოლკლორული მონაცემები ძუნწ ცნობებს გვაწვდიან ამა თუ იმ რეგიონის სამეურნეო წარსულის შესახებ, ტოპონიმები უტყუარ და კონკრეტულ მასალებს შეიცავენ გეოგრაფიულ-სამეურნეო გარემოს დასახასიათებლად. სწორედ ამიტომ იყო, რომ აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ჩაუწერიათ“.

აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფამ დღემდე შემოგვინახა გეოგრაფიული სახელები: ნადიკვარი — სათესი (რაქვთა, ლომანაური), ნასელვარი (სათესი (ზუნდაგა, უჩხითი, აქუცა, აბუქეთა...), ნასელვარი ტყე (მილისი),

---

* სტატია აგებულია ქვემო აჭარის ტოპონიმიკის მასალებზე.

ნასელვარი ქედი — სათესი (ჭანივრი), ნასლავღელე— სათესი (ნაკვალდული (კვინჩხა, ზენდიდი), საღომე — სათესი (ორცვა), ღომა — მთა (ნამონასტრევი), ნაღომევი||ნაღომვარი — ბუჩქნარი (მილისი, შევაბური, დანდალო, ინაშარიძეები, სულ 14 ერთეული). ნაბრინჯვალი — სათესი (ხარაულა), ნაპურვალი (ნაპურევარი) — საძოვარი (გეგელიძეები, ჩიქუნეთი, ჭანივრი... სულ 12 ერთეული), ნაჭვავი — საძოვარი (დანდალო), ნაჭვავარი — სათესი (მერისი), ნაჭვავღელე — ნაკადული, სათესი (სიხალიძეები), ნაქერვალი — სათესი (დვეთი), ნაქერვალა — საძოვარი (სასადილოყელი, საფარიძეები),. საკანაფე — სათესი (გუნდაური), ნაკანაფვარი — ტყე (ქინძაკარავი, ჯალაბაშვილები), ნაფეტვარი — სათესი (ინაშარიძეები), ნაოსპარი — ქედი (მერისი), დოლივისტყე — ტყე (მილისი), დოლოგანი სოფელი, ნამოხვარი — ჩაი (ინაშარიძეები, ჭანივრი). მახო — სოფელი, ნამახვარი — სათესი (ქედქედი), ასლიბაღი — ციტრუსები (ახალსოფელი), ნაასლარი — სათესი (შევაბური, ვაიო, ხარაულა), ნაასლევი — სათესი (გეგელიძეები, კოკოტაური).

მინდვრის კულტურების ხანგრძლივ ისტორიაზე მოგვითხრობენ არქეოლოგიური ძეგლები, უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები, ფოლკლორული და ტოპონიმიკური მასალები.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის მასალებში მიკვლეულია სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული იარაღები. ამ პერიოდის სადგომებში (ოდიში, თეთრა-მიწა, სათაფლია, ძევრი, ანასეული, ხუცუბანი, გურიანთა, კისტრიკი) აღმოჩენილია ქვის ხელსაფქვავები, კაჟის ნამგლის პირები, სათხრელ-საჩიჩქნი იარაღები და დანახშირებული მარცვლეული კულტურების ნაშთები (3, 262). რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, ენეოლითის ხანას, სამიწათმოქმედო კულტურა საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. აქ უკვე კულტურული მცენარეულობა ფეტვი, ქერი, ხორბალი, სელი, კანაფი სათანადო ადგილს იჭერს ადამიანის სამეურნეო ყოფაში (17, 683-684). ტოპონიმებში ინტენსიურობით გამოირჩევა მემინდვრეობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები, რაც ნათლად მეტყველებს მინდვრის კულტურების მრავალფეროვნებაზე. პურს, ფეტვს, ჭვავს, სელს, ქერს, ბრინჯს, კანაფსა და სხვებს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ადრიდანვე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. მარცვლეული კულტურების სიხშირეზე მიუთითებს აჭარის თითქმის ყველა სოფელში გეოგრაფიული სახელის კალოს არსებობა და კალოობასთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები. ტოპონიმები: კალო, ნაკალევი, კალოსპირი, კალოგვერდი და ა. შ. 120 ადგილზე გვაქვს დამოწმებული.

კალოობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მონაცემებს შეიცავს ჭვანის ხეობის სათავეებში, ალპურ ზონაში ფიქსირებული ტოპონიმი ნაკალევი. ამ მიდამოებში მარცვლეული კულტურების სხვა კვალი დღეისათვის არ მოგვეპოვება. კლიმატური პირობები აქ გამორიცხავს კულტურულ მემინდვრეობას. არც აქაურ მცხოვრებთ დაუცავთ გადმოცემები ნაკალევის შესახებ. ამ ტოპონიმის სიძველეზე მოგვითხრობენ აგრეთვე ამ მიდამოებში აღწერილი წარმართული ეპოქის ძეგლები, ნასახლარები, უფრო ზემოთ კი აღმართულია ქვაკაცები, შუშანის||შუშანის კილდე, შეიდინ ტბა და სხვა. როგორც ჩანს, ამ ხეობის უძველეს მცხოვრებლებს აქ მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები და კიდევაც ლეწავდნენ. შესაძლებელია ტოპონიმი ნაკალევიც წარმართული ეპოქიდან მომდინარეობდეს. უძველეს ტოპონიმთა შორის საინტერესოდ მიგვაჩნია ისეთები,

როგორიცაა ნაქერვალი, ნაფეტვარი, ნაჭვავარი და სხვ., რომლებიც, უდავოა, შესაბამის უძველეს მარცვლეულ კულტურებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქერთან დაკავშირებული ტოპონიმები. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქერის ნაშთები მოპოვებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად ენეოლითის ხანის ძეგლებში (17, 984; 16, 195-196). როგორც ჩანს, ქერის კულტურას დასავლეთ საქართველოშიც ადრიდანვე ეჭირა ერთ-ერთი გაბატონებული ადგილი. ამ რიგის ტოპონიმთა სიხშირის გარდა, ყურადღება მიიქცია ხალხურმა დღესასწაულმა ქ ე რ ო ბ ა მ, მისი ამოსავალი ქერის მოყვანის უძველესი ტრადიციები უნდა იყოს. აღნიშნული დღესასწაული აჭარის ზოგიერთ ხეობაში დღესაც სრულდება. იგი დაკავშირებულია საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებასთან, სათესი კულტურების სელექციის საკითხებთან, გამწევი ძალის გამოზამთრებასთან და სხვა. ქერობაში, ჩართულია აგრეთვე მაგიური რწმენა-წარმოდგენები—ქ ა შ ა ტ ო ბ ი ს ცერემონიალი. წარმართული ეპოქის რელიგიური საწესჩვეულებო ქაშატობა უნდა მიუთითებდეს ამ დღესასწაულის, თვით ქერის კულტურისა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმების სიძველეზე.

აჭარის გეოგრაფიული სახელები მდიდარ მონაცემებს შეიცავენ ხორბლეულის ენდემური ჯიშების: მ ა ხ ა ს, ა ს ლ ი ს, დ ო ლ ი ს პ უ რ ი ს და დ ი კ ა ს შესახებ (18, 5). მკვლევარი ნ. კახიძე საგანგებოდ ყურადღებას ამახვილებს მაჭახლის ხეობაში მახას პურის გავრცელებაზე და ასკვნის, რომ ამ ხეობაში გავრცელებული „ხასი პური“ იგივე მ ა ხ ა ა. ამავე დროს აღნიშნავს, რომ მ ო ხ ა (ნამოხვარი) მ ა ხ ა ს ლაზური (ჭანური) შესატყვისი ჩანსო (7, 102). ტოპონიმიკური მასალების შუქზე ირკვევა, რომ ენდემური პურის ჯიში მახა აჭარის რეგიონში ადრიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული. საქართველოს არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მახას მარცვლის ნაშთები ფიქსირებულია ნეოლითური ხანის მასალებში (17, 5).

ადრე, როგორც ჩანს, საუკეთესო პურის ჯიშს ასლს მიაკუთვნებდნენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც „მახა ასლსა ჰგავს“. ტოპონიმიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ ასლის კულტურას ფართოდ მისდევდნენ აჭარაში. სტ. მენთეშაშვილის დაკვირვებით სიმინდის კულტურას სამეურნეო ყოფაში გაბატონებული ადგილი დაუჭერია, ხოლო პურეული კულტურები თანდათან გამქრალა. რაც შეეხება ასლის კულტურას, გეოგრაფიულ სახელებში დატოვა თავისი ხსოვნა (9, 155).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, მახას ჯიშის პურთან დაკავშირებული ტოპონიმები ნ ა მ ო ხ ვ ა რ ი (ნა-მახ-ევ-არ-ი — (ინაშარიძეები, ჭანივრი), ნ ა მ ა ხ ვ ა რ ი — სათესი (ქედქედი), მ ა ხ ო სოფელი (ხელვაჩაურის რაიონი).

მიკვლეულ ტოპონიმიკურ მასალებში ყურადღებას იქცევს ასლთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები ნ ა ა ს ლ ე ვ ი, ა ს ლ ი ყ ა ნ ა, ა ს ლ ი ბ ა ღ ი, ნ ა ა ს ლ ა რ ი. უნდა აღინიშნოს, რომ მახასთან შედარებით ასლის, როგორც ენდემური პურის, საინტერესო სახეობის აღმნიშვნელი ტოპონიმები მცირეა, დიდი უმრავლესობა მოდის ქვემოაჭარის ტერიტორიაზე.

ყურადღებას იპყრობს აჭარულ ხალხურ საქორწინო პოეზიაში დამკვიდრებული შაირი, რომელიც მაყრის გამგზავრებასთან არის დაკავშირებული და მთლი-

ანად გადმოგვცემს არა ასლის პურის მირთმევას, არამედ გულითად გამასპინძლებას:

„პური ვჭამე ასლისაო
დროც მოვიდა წასლისაო“.

უნდა აღინიშნოს, რომ პურს და პურისაგან დამზადებულ პროდუქტებს აჭარულ საქორწინო საწესჩვეულებო რიტუალში წამყვანი ადგილი ეჭირა.

ტოპონიმიკურ ნომენკლატურაში ყურადღებას იქცევს ხორბალთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები ქობლები (სათესი, ზენდიდი), ქვაბლიანი — ხეობა (სამხ. საქართველო), ქობულეთი — რაიონი (აჭარის ასსრ) და სხვ.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ქართულ ხორბალს უკავშირებს მეგრულ ქობალს, ჭანურ ქოვალს, და მიაჩნია, რომ რაჭული ქუბა მეგრულში დაცული ქობალ-ის ბოლომოკვეცილი ფორმა უნდა იყოს. ქობალი ხუარბალის ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს. არსებითად ამ ორ სიტყვას მხოლოდ „რ“ ასხვავებს, რადგან ქობალს და ქოვალს ეს თანხმოვანი აკლია. მაგრამ ეს ბგერა ქართულში ხშირად ქრება და ამისი არა ერთი სხვა მაგალითიც მოგვეპოვება. იმგვარადვე, როგორც ძველ ქართულში — ხუარბალი, შემდეგში ხვარბალ-ად ქცეული, თანამედროვე თუ უფრო ადრინდელ ქართულშიც „ხორბლად“ იწოდება, ისევე საფიქრებელია, მეგრული „ქობალი“ და ჭანური ქოცალი წინანდელი „ქვაბალის“ და „ქუაბალი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი (15, 320-321).

ამ რიგის ტოპონიმებიდან მკვლევართა დაინტერესებას იწვევს გეოგრაფიული სახელი ქობულეთი — (რაიონული ცენტრი და ქალაქი აჭარის ასსრ), რომლის წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (2, 240; 12, 104-104-1, 25 (III).

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს ქობულეთის თემის სახელწოდება „ქობალიდან“ მომდინარედ მიაჩნდა: მკვლევარი ასევე ხეობა ქობლიანს//ქვაბლიანს ქობალს უკავშირებდა. მეცნიერის ნააზრევს ნათელი მოჰფინა ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიურმა გათხრებმა (6, 195), სადაც აღმოჩენილია არა ძარტო მარცვლეულის საფქვავები, არამედ ხორბლეულის ტრანსპორტირების ტარა. არქეოლოგ ა. კახიძის აზრით, ფიჭვნარის ნაქალაქარზე მიკვლეული თიხის ამფორების ერთი ნაწილი გამოყენებული იყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და სხვაგან მარცვლეული კულტურების გასატანად (6, 195). ქობულეთის მხარე მარცვლეული კულტურების — ხორბლის, ბრინჯისა და სხვათა წარმოებაში XX საუკუნის 30-50-იან წლებამდე ინარჩუნებდა პრიორიტეტს. აქაურ ბრინჯს საერთო მოწონება ჰქონდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. გამომდინარე აქედან, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ხორბლის უძველეს მხარეს ქობალეთი//ქობულეთი შერქმეოდა. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ქობულეთის ეტიმოლოგიის მეცნიერულად დასაბუთებული ახსნის საფუძველს იძლევა.

ტოპონიმთა დიდი ნაწილი დაკავშირებულია ისეთ უძველეს მარცვლეულ კულტურებთან, როგორიცაა ფეტვი, ჭვავი, ოსპი და სხვ. აქედან გამომდინარე, გვაქვს ტოპონიმები: ნაფეტვარი, ნაფეტვარა, ნაჭვავარი, ჭვანა, ნაოსპარი და ა. შ. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ფეტვის კულტურა. (15, 322).

ფეტვის არსებობის კვალი ძირითადად ტოპონიმებმა შემოგვინახეს, შეკრებილი მასალებით დასტურდება, რომ ფეტვი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მთელ

აჭარაში. იგი სხვა კულტურების გვერდით გამოიყენებოდა აჭარული სუფრისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა კერძების დასამზადებლად (7, 97-98).

ტოპონიმები ნაღომვარი, ნაღომევი, საღომე, ღომა, ღომას მტა და ა. შ. ადასტურებენ, რომ ამ კულტურას აჭარის მოსახლეობის ყოფაში საკმაო ადგილი ეჭირა. „XV-XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს საბუთებში ღომი თითქმის ყველგან გვხვდება, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ღომი არც ერთ საბუთში არაა მოხსენიებული“ (15, 368). ამის შესახებ ვახუშტი გარკვევით ამბობს: „კახეთში გარნა არა სთესენ ღომს“ (13, 526).

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით დასავლეთ საქართველოში ღომის 13 სახეობაა დადასტურებული (15, 328).

ღომის გავრცელების შესახებ საინტერესოა ჟან შარდენის ცნობა, რომლის მიხედვითაც „მეგრელები, მათთან ერთად ჩერქეზები, თურქეთის ქვეშევრდომი ქართველები, აფხაზები, მეოტიის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე, შავი ზღვის ნაპირების ყველა მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ღომის ცომით იკვებება“ (20, 25-26). მოგზაურის ჩანაწერების მიხედვით, „მეგრელთა ჩვეულებრივ მარცვლეულ პურს ღომი შეადგენს“ (20, 25-26). ჟ. შარდენის ცნობას ადასტურებს ასევე არქანჯელო ლამბერტიც, „მეგრელები ჩვეულებრივი პურით კი არა, ღომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებული არიან, შემოტანილ პურს იქ ვერ გაყიდიანო“ (8, 56).

აჭარის მცხოვრებთა ყოფაში რომ ღომს სათანადო ადგილი ეჭირა, ამაზე მოსახლეობაში დღემდე შემონახულია თქმულება „ღომას მთის“ შესახებ. მარითისა და მერისის ხეობის მოსახლეობას შორის ადრე გაურკვეველი იყო, თუ ვის ეკუთვნოდა ახლანდელი ღომას მთის საძოვრები და დავაც ხშირი იყო. ხინოწმინდელს მოუწვევია ამ ხეობათა წარმომადგენლები და უთქვამს: „ვინც ღომას მთაზე ცხელი ფაფის ატანას მოასწრებს, მთაც მათი იქნებაო“. ამაზედ იყო ბჭობა, თუ რის ფაფის წალება შეიძლებოდა სიმხურვალე რომ არ დაეკარგა. მერისელებმა ბრინჯის ფაფა წაიღეს, მარითელებმა კი — ღომისა. ღომის ფაფას მთაზე ატანის შემდეგაც დიდხანს არ დაუკარგავს სიმხურვალე, ხოლო ბრინჯისა, მთაზე ატანამდე გაცივდა. ხინოწმინდელის გადაწყვეტილებით მთა მარითელებს მიეკუთვნა და ამიერიდან იქ მათი საზაფხულო იალაღები გაშენდა და „ღომას მთა“ დაერქვა.

მინდვრის კულტურების ტოპონიმებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ჭვავთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები: ნაჭვავარი, ნაჭვავარა, ჭვავიყანა, ჭვავის სათიბე“, ამავე ძირიდან უნდა მომდინარეობდეს ასევე ოიკონიმი ჭვანა, მისი თავდაპირველი ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ჭვავოვანა→ჭვაოვნა →ჭვავნა→ ჭვანა. გვაქვს ამ რიგის წარმომავლობის სხვა ტოპონიმებიც: თხილვანა (←თხილოვანა), ბარცხანა (←ბარციხოვანა), გეოგრაფიულ სახელში ჭვანა ბოლო „ა“ მასუბსტანტივებელი სუფიქსია, ხოლო „ოვან“ — მაწარმოებელი, რომელიც რისამე კუთვნილებას, ქონებას გამოხატავს.

მიუხედავად იმისა, რომ ოიკონიმი ჭვანა მთელი ხეობის სახელად იქცა და საფუძვლად ძველი კულტურა ჭვავი დაედო, დღეისათვის ამ ხეობის მოსახლეობის ყოფაში ჭვავთან დაკავშირებით მცირე მასალებია დაცული, მისი არსებობა მხოლოდ ტოპონიმებმა შემოგვინახეს.

ტოპონიმიკური მასალების შუქზე ირკვევა, რომ აჭარაში დიდი ადგილი სჭერია ბოჭკოვან მცენარეებს სელსა და კანაფს. ამ კულტურებთან დაკავშირებული ტოპონიმები თითქმის ყველა სოფელშია დადასტურებული. უფრო მოჭარბებულად კი ქვემო აჭარის გეოგრაფიულ სახელებში ვხვდებით: ნასელვარი,

ნასელვარა, ნასლავღელე (ნასელავიღელე), საკანაფე, ნაკანაფვარი და ა. შ. სელის კულტურას ქართველი ტომების სამეურნეო ყოფაში დიდი ადგილი ეჭირა. უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები შეიცავენ არაერთ საინტერესო ცნობას კოლხეთში სელის კულტურის დაწინაურებაზე და ძისგან დამზადებული პროდუქციის მნიშვნელობაზე როგორც საშინაო მოხმარების, ასევე საგარეო ვაჭრობაში. კოლხური სელის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ასურულ წყაროებში. ძვ. წ. აღ. VIII საუკუნის სარგონის ტექსტში მოხსენიებულია კოლხური სელის, ურარტული ცისფერი და მეწამული შალის ქსოვილისაგან დამზადებული ტუნიკა (პერანგი) (19, 180).

ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის, ცნობით „კოლხეთის... ქვეყანაში... გარდა თაფლისა (ეს მეტად მწარეა) ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს“ (14, 123).

საქართველოში სელთან ერთად საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა კანაფის კულტურა. აჭარის ტერიტორიაზე შეკრებილი ტოპონიმიკური მასალები მიუთითებენ კანაფის კულტურის გავრცელებაზე.

კანაფი საგანგებოდ განოყიერებულ ადგილს მოითხოვდა. იგი მწირ ნიადაგში არ ხარობდა. ნოყიერ ნიადაგში კანაფის ღერო დიდს იზრდებოდა, ამავე დროს მისი ქერქი საკმაოდ დიდი და სქელი გამოდიოდა. ამიტომ უძთავრესად ტოპონიმები საკანაფე, ნაკანაფვარი ნასახლარებსა და ნაფუძრებთან ახლოს არის ფიქსირებული.

კანაფას ქერქისაგან ქსოვილების გარდა დიდი გამოყენება ჰქონდა მესაქონლეობაში პირუტყვის „თავ-კაპის“ დასაგრეხად, სატვირთო ბაწრების დასამზადებლად.

კანაფის ზეთს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა სამკურნალო თვალსაზრისით და საწესო-რელიგიურ რიტუალებში. კანაფის ზეთი იხმარებოდა ასევე ქვის დამუშავების ხალხურ ხელოვნებაში. აჭარის უძველესი მცხოვრებლები კანაფის ზეთს იყენებდნენ, აგრეთვე ე. წ. „კუტილამპების“ გასანათებლად ნავთის შემოსვლამდე.

გურიის მოსახლეობაში კანაფი გამოიყენებოდა სასუდრე ტილოს მოსაქსოვად, რომელსაც ამავე დროს მაგიურ-რელიგიური საფუძველი ჰქონდა (10, 78).

როგორც დავინახეთ, მემინდვრეობის ძველ კულტურებთან დაკავშირებული ტოპონიმების შეკრება-შესწავლას, დიალექტოლოგიურ-ენობრივი თვალთახედვის გარდა, მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ლიტერატურა

1. ალავიძე მ., ქობულეთის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 1975. 25.III.

2. ბატონიშვილი ვ., საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1904.

3. ბერძენიშვილი (კილაძე) ნ., ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, თბილისი, 1951.

4. გეგეშიძე მ., ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა, თსუ, შრომები, ტ. 37, 1949.

5. ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

6. კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბილისი, 1971.

7. ჯახიძე ნ., მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე, „მაცნე“, I, 1966.

8. ლამბერტი არქ., სამეგრელოს აღწერა, ი. ჭყონიას თარგმანი, თბილისი, 1938.
9. მენთეშაშვილი სტ., აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, II, 1937.
10. რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.
11. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.
12. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959.
13. ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.
14. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.
15. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1930.
16. ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ, შრომები, 49, 1953.
17. Менабде В. Л. Боганико-систематические данные о хлебных злаков древней Колхиды, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, I, № 9.
18. Менабдзе В. Л. К истории культуры пшеницы, Москва 1964.
19. Пиотровский Б. П. История и культура Урарту, Ереван, 1944.
20. Шарден Ж., Путешествие по Закавказью, Тифлис, 1901.

გივი გამრეკელი

მოჭადრაკე ილიაჭა

მართლაც „დაბნეული კუ“

ამერიკელ დიდოსტატ რობერტ ბირნს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ საჭადრაკო განყოფილება მიჰყავდა და ხშირად ახასიათებდა თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეებს. ერთერთ მიმოხილვაში ბირნმა შვედი დიდოსტატი ულფ ანდერსონი თამაშის სტილით „დაბნეულ კუს“ შეადარა.

ეს შედარება მართლაც მარჯვე აღმოჩნდა, თუნდაც იმიტომ, რომ სტატიის გამოქვეყნებიდან გავიდა წელიწადნახევარი, როცა ანდერსონმა ბირნს პირადი წერილი გაუგზავნა და კუსთან დამსგავსებისათვის უკმაყოფილება გამოთქვა.

ბუმერანგი

შოტლანდიელმა საერთაშორისო ოსტატმა დევიდ ლევიმ ინგლისის ჟურნალ „ჩესში“ დიდოსტატებისა და ოსტატების „შავი სია“ გამოაქვეყნა. ეს ის მოჭადრაკეები არიან, რომლებიც დევიდ ლევის სიტყვით, საერთაშორისო ტურნირებზე ქულებს „ყიდულობდნენ და ჰყიდიდნენ“.

ლევის სიამ დიდი გამოხმაურება და პოლემიკა გამოიწვია. ამ პოლემიკის დროს გამომჟღავნდა, რომ ლევიმ იყიდა ქულა, რომელმაც მას საერთაშორისო ოსტატის წოდება მოუტანა!

სანამ საათებს არ ცმაროებდნენ

თბილისის ერთ-ერთ ჩემპიონატში მოჭადრაკეები საათების გარეშე თამაშობდნენ. თვით მოჭადრაკის ნამუსზე იყო, რამდენს იფიქრებდა. ზოგისათვის წუთები იყო საკმარისი, ზოგსაც სვლაზე რამდენიმე... საათიც არ ჰყოფნიდა.

და აი, ტურნირის ბედი ერთადერთ პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ოსტატი სმოროდსკი და პირველთანრიგოსანი აღამალიანი. ეს უკანასკნელი მაინც იმით იყო განთქმული, რომ შეეძლო დღე და ღამე ეფიქრა. რა გაეწყობოდა! სმოროდსკი მაინც შეუდგა თამაშს, მაგრამ სულ ათიოდე სვლის შემდეგ მეტოქე ღრმად ჩაფიქრდა. ოსტატმა დრო აღარ დაჰკარგა, წავიდა და კარგად... ივახშმა. როცა ორი საათის შემდეგ იგი კლუბში დაბრუნდა, მეტოქე ისევ ღრმა ფიქრში იყო გართული. ვინ იცის, რომელ სტრატეგიულ გეგმას ირჩევდა.

სმოროდსკის მოუთმენლობა შეეტყო, მაგრამ ამასობაში კარები გაიღო და კლუბში მისი მეუღლე შემოვიდა. ოსტატს ბედნიერი აზრი მოუვიდა — მეუღლე კინოში დაეპატიჟებინა.

ღამის სეანსის შემდეგ სმოროდსკიმ ცოლი სახლში გააცილა, ისევ კლუბში დაბრუნდა, მაგრამ ვაი ამის მომსწრეს — აღამალიანი ისევ ფიქრობდა. ოსტატმა ითმინა, ითმინა და შუ-

ალამე კარგა ხნის გადასული იყო, როდესაც ფიგურები აურია და... პარტიაც წაგებულად ჩაეთვალა.

ადამალიანი თბილისის ჩემპიონად გამოცხადდა. ვინ იცის, იქნებ ეს წოდება მას შემდეგაც შეენარჩუნებინა, მაგრამ თბილისის ჭადრაკის მესვეურთა გადაწყვეტილებით მომდევნო პირველობა უკვე... საათებით ჩაატარეს.

რევანში აღებულია!

1941 წელს თბილისელი მოჭადრაკე ოთარ თურქესტანიშვილი ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ნორჩ მოჭადრაკეებს. თურქესტანიშვილმა ორი პარტია წააგო, დანარჩენი კი მოიგო. საინტერესოა, რომ მონაწილეთა შორის იყო 13 წლის ტიგრან პეტროსიანი, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი.

1953 წელს პეტროსიანი, ამ დროისათვის უკვე ცნობილი დიდოსტატი, ერთდროული თამაშის სეანსს ატარებდა. მონაწილეთა შორის იყო... ოთარ თურქესტანიშვილი. პეტროსიანმა მოიგო ეს პარტია და შესძახა: „რევანში აღებულია!“

შეწირა თუ დაკარგა?

ჰასტინგსის 1936-37 წლების საახალწლო ტურნირში ოსტატები ჟორჟ კოლტანოვსკი და ჯორჯ ტომასი საკმაოდ უღიმღამოდ თამაშობდნენ.

ერთ-ერთი პარტიის მსვლელობისას ტომასმა კოლტანოვსკის პოზიციას დახედა და როდესაც მან სვლა გააკეთა, ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, თქვენ შესწირეთ ხარისხი, თუ, უბრალოდ, დაკარგეთ?

— ახლა ვერაფერს მოგახსენებთ. თუ პარტია მოვიგე, ეს იმას ნიშნავს, რომ შევწირე, თუ დავმარცხდი, მაშინ, ეტყობა, უბრალოდ წავაგე ხარისხი!

ჭკუა ასწავლა

როდესაც მოჭადრაკეები სატურნირო პარტიებს თამაშობენ, მათ შორის საუბარი არ არის მიღებული.

არ არის მიღებული, მაგრამ ზოგიერთს რა გააჩერებს. როგორც კი მიგელ ნაიდორფი ითამაშებს ხოლმე, მყისვე სცილდება დაფას და ნებისმიერ მონაწილეს ეკითხება:

— როგორ მოგწონთ ჩემი სვლა?

მეტისმეტად კორექტულმა და თავაზიანმა პაულ კერესმა ვერ მოითმინა, გადაწყვიტა ნაიდორფისათვის ჭკუა ესწავლებინა.

როცა ნაიდორფმა მორიგი სვლა გააკეთა, მისი პოზიცია უკვე სავსებით მოსაგები იყო. ჩვეულებისამებრ იგი მაინც წამოდგა და კერესს ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ ჩემი სვლა?

— მძიმე პოზიციაა. საცაა წააგებთ.

ნაიდორფი მიხვდა და ამიერიდან მოჭადრაკეებს უკვე აღარაფერს ეკითხებოდა.

ნუ ენდობი მეტოქეს

ნაიდორფი გლიგორიჩს ეთამაშებოდა. იუგოსლაველი დიდოსტატი სასტიკ ცაიტნოტში იყო, პოზიცია კი მეტად გამწვავდა და ფიქრს მოითხოვდა. ნაიდორფმა მეტოქეს ძახე დაუგო — შეწირა ფიგურა. რის შემდეგ უძლიერეს იერიშს იღებდა. მეტოქის შეცდომაში შესაყვანად ნაიდორფმა თავზე ხელი იტაცა — ეს რა მომივიდაო.

გლიგორიჩი, რომელსაც მოფიქრების დრო არა ჰქონდა, ენდო მეტოქეს, მოკლა მისი ფიგურა და ერთბაშად უიმედო პოზიციაში აღმოჩნდა. რამდენიმე სვლის შემდეგ იუგოსლაველს დანებება მოუხდა.

გადაეჩვია

მოჭადრაკეები სულ სხვადასხვანაირად იქცევიან სვლების მოფიქრების დროს. ზოგნი გაუნძრევლად სხედან და წარბსაც არ იხრიან, ზოგნი ხელ-

ში რალაცას ათამაშებენ, ზოგნი, ასე გაისუსტებენ, ოხრავენ კიდეც.

დავით ბრონშტეინს უცნაური ჩვეულება ჰქონდა. სვლების მოფიქრებისას თითებს თმებში იყოფდა, მას ხელზე იხვევდა და ნელნელა... ექაჩებოდა.

გავიდა დრო. ბრონშტეინი გადაეჩვია თმების ქაჩვას. რატომ? იმიტომ, რომ სრულიად... გამელოტდა.

მხოლოდ 27

ყმაწვილი რობერტ ფიშერი ტურნირში მონაწილეობის დროს უცვლელად ჯინსის შარვალს და მოქსოვილ ჯემპრს იცვამდა. 1960 წელს იგი ბუენოს-აირესში თამაშობდა და ძალზე გაუკვირდა ერთი რამ: ყოველ ახალ პარტიაზე ნაიდორფი ახალ კოსტუმში გამოწყობილი მოდიოდა. ფიშერს ეს ჭკუაში დაუჯდა და ნაიდორფს შეეკითხა:

— მითხარით, თუ შეიძლება, რამდენი კოსტუმი გაქვთ?

— მგონი 150 — უპასუხა ნაიდორფმა.

გავიდა რამდენიმე წელი. ფიშერი და ნაიდორფი რომელიღაც ტურნირში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— ძე თქვენ გადაგაჭარბეთ — უთხრა ფიშერმა.

— რას გულისხმობთ?

— მე მოვხსენი თქვენი რეკორდი, ამჟამად 187 კოსტუმი მაქვს!

ნაიდორფს ყველაფერი გაახსენდა.

— გილოცავთ. მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ. სინამდვილეში მე მხოლოდ 27 კოსტუმი მაქვს!

ეჭვი არ ეპარებოდა

ერთხელ ალიოხინმა უარეს პოზიციაში გადადო პარტია. მისმა მეტოქემ კოლტანოვსკიმ თავმომწონედ ჰკითხა ტარტაკოვერს:

— როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს ამ პარტიას?

— ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ალიოხინი გაიმარჯვებს!

— დიახ, მაგრამ მე ხომ გაცილებით უკეთესი პოზიცია მაქვს?!

— დიახ, მაგრამ თქვენ ხომ არ მეკითხებით, ვისი პოზიციაა უკეთესი. თქვენ გაინტერესებთ, ვინ მოიგებს, და მეც გიპასუხებთ — ალიოხინი.

პარტია მართლაც ალიოხინმა მოიგო.

„რა ენაზე ფიქრობთ?“

ალიოხინი მრავალმხრივ განვითარებული კაცი იყო. მან სორბონის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, რომელიც ჩინეთის ციხეების პრაქტიკას ეხებოდა.

მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფლად ფლობდა 10 ენას. ერთხელ მას ჟურნალისტმა ჰკითხა, რომელ ენაზე ფიქრობთო.

— როდესაც საქმე ყოველდღიურ საკითხებს ეხება, რუსულად ვფიქრობ, აბსტრაქტულ საკითხებზე — გერმანულად, როცა საზოგადოებაში ვარ — ინგლისურად ან ფრანგულად...

— როცა საქმე ჭადრაკს შეეხება?

— მაშინ რუსულად ვფიქრობ.

* * *

1953 წელს შვეიცარიაში მსოფლიოს პრეტენდენტთა ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები: ბოლესლავსკი და ნაიდორფი.

უკვე მეექვსე სვლაზე, ლაზიერების გაცვლის შემდეგ, ნაიდორფმა საზავო წინადადება მისცა მეტოქეს.

— ყაიმი გნებავთ?

— არა.

— თქვენ მოგებაზე თამაშობთ?

— არა.

— რას ნიშნავს ეს! თქვენ, რა, წაგება გინდათ?

— არა, რატომ. მე, უბრალოდ, თამაშის გაგრძელება მინდა.

ორიოდე საათის შემდეგ მდგომარეობა სრულიად გამარტივდა. დაფაზე წარმოიქმნა კუთა სრულიად საყაიმო ენდშპილი. ბოლესლავსკი ღრმა ფიქრში იყო გართული, რამაც ნაიდორფი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— აშკარა ყაიმია! წამოიძახა მან.

— რა თქმა უნდა. — იყო მშვიდი პასუხი.

— კი, მაგრამ ამდენ ხანს რაღაზე ფიქრობთ?

— ეხ, იცით რა? — თქვა ბოლესლავსკიმ — საფიქრი როგორ არა მაქვს! ხვალ შავებით პეტროსიანთან ვთამაშობ. ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია, რა ვუპასუხო, თუ თამაშს ინგლისური დასაწყისით დაიწყებს.



უსიტყვოდ

პავლე შევერდიაევის ნახატები.

გ ა ს უ ლ ო რ თ ვ ე შ ი

იუბილეს მიეძღვნა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყვეს სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი.

შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დ. ხახუტაიშვილი.

მოხსენებები — „საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა ხელისუფლების მე-60 წლისთავზე“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს სსრ ახალმშენებლობებზე“, „ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი: მიზანი და ამოცანები“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები“, „არქეოლოგიური ძეგლები საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლთა შესწავლის შედეგები“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კლასიკური ხანის ძეგლთა კვლევის შედეგები“, „აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები“ წაიკითხეს პროფესორებმა ო. ლორთქიფანიძემ, თ. მიქელაძემ, თ. ჩიქოვანმა, დ. ხახუტაიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა გ. ცქიტიშვილმა, ს. გოგიტიძემ, ა. კახიძემ, მეცნიერ-მუშაკმა შ. გამყრელიძემ.

სამეცნიერო სესიის მუშაობის შედეგები შეაჯამა პროფესორმა ო. ლორთქიფანიძემ.

სოხუმელთა გასტროლები

ბათუმში გასტროლები გამართა სოხუმის ქართულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა.

ათი დღის განმავლობაში სოხუმის თეატრის მსახიობებმა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე წარმოადგინეს თავიანთი 6 საუკეთესო სპექტაკლი — „ბალადა ახალგაზრდა გვარდიელებზე“, „ნუ გეშინია, დედა!“, „კავკასიაში“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ძალად ექიმი“ და „ყარამანი ცოლს ირთავს“. ისინი განსხვავებული ჟანრისა და სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებია, მაგრამ ყველა მათგანი გამსჭვალულია ჰუმანისტური იდეებით, ბოროტებაზე სიკეთის გარდუვალი გამარჯვების რწმენით, ადამიანის პატივისცემითა და სიყვარულით.

გასტროლების პერიოდში სოხუმელ თეატრალურ მოღვაწეებს ბევრი საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ, მათ შორის ხელვაჩაურის რაიონის მშრომელებთან. ისინი გაეცნენ ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, ჟურნალისტთა კლუბში შესვდნენ აჭარის ჟურნალისტებსა და მწერლებს, და ყველგან, სადაც კი იყვნენ მოძმე აფხაზეთის წარმომადგენლები, გრძნობდნენ დიდ სიყვარულსა და გულითადობას.

შეხვდნენ დელეგატებს

აკაკი წერეთლის სახელობის № 22 საშუალო სკოლის მე-5 კლასის პიონერებმა და შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენის, ლიტერატურისა და პედაგოგიკის სპეციალობის მესამე კურსის პრაქტიკანტმა სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატებს — ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანების მუშას მადონა სიხარულიძესა და ქარ-

თული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსის ფრიადოსან სტუდენტს მზევინარ დოლიძეს.

შეხვედრა გახსნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ა. ჯაფარიძემ.

სტუმრებს მიესალმნენ პიონერები ნ. ლლონტი, დ. ჩაჩანიძე, თ. ნინიძე, სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ც. ბოჭორიშვილი, ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი ი. ბიბილეიშვილი, სტუდენტები ჭ. ჭანიძე, ლ. მამულაშვილი, ლ. კაკაბაძე, ლ. ცეცხლაძე.

მ. სიხარულიძის შრომითს საქმიანობაზე ისაუბრა მისმა კოლეგამ ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანების მუშამ ნ. ხანთაძემ, ხოლო მ. დოლიძის შესახებ — სტუდენტმა ნ. შარაძემ.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული მონტაჟი „პიონერული პატაკი პარტიას“ და ლიტერატურული ინსცენირება „ლენინური გვარდია“.

ყრილობის დელეგატებმა მ. სიხარულიძემ და მ. დოლიძემ უპასუხეს მოსწავლეთა შეკითხვებს, გაუზიარეს მათ ყრილობის შთაბეჭდილება.

პიონერებმა საპატიო სტუმრებს გადაცეს სამახსოვრო საჩუქრები, გადაიღეს სურათები.

„შენ ახალი საქართველო გჭვია“

ბათუმის ცენტრალური ბიბლიოთეკის № 16 ფილიალში შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამართეს თემატიკური საღამო „შენ ახალი საქართველო გჭვია“. იგი მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილეს.

ბათუმის ცენტრალური ბიბლიოთეკის № 10 საბავშვო ფილიალის გამგემ ნ. ყაჭეიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა საქართველოს 60 წელი“, მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი „შენ ახალი საქართველო გჭვია“.

სიტყვით გამოვიდნენ ბათუმის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ნაკაიძე, პედაგოგები ე. სუხუნაიშვილი, ბ. ჩხაიძე, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნ. ჭყონია, № 14 საბავშვო ბიბლიოთეკის ფილიალის გამგე ნ. ნაცვალაძე.

„მაჭახელას“ ახალი ნომერი

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ მოამზადა ხელნაწერი ალმანახის „მაჭახელას“ მორიგი მეშვიდე ნომერი. იგი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.

ალმანახი იხსნება წრის ხელმძღვანელის დოცენტ პ. ნაცვლიშვილის წერილით „ახალი შემართებით“.

პოეზია და პროზა წარმოდგენილია ნატალია ჭელიძის, ელგუჯა დადუნაიშვილის, ირინე ბაბილუას, ოთარ გელაძის, მაია მახარაძის, ერმილე მესხიას, ევგენი თავდგირიძის, ვახტანგ ლლონტის, დალი ყლენტის, ქეთევან გიორგაძის, მერი ნიჟარაძის, თამაზ წულუკიძის, ჟუჟუნა შაინიძის, თინათინ შერვაშიძის და მანანა სულაბერიძის ნაწარმოებებით.

„ახალ თარგმანებში“ მკითხველი გაეცნობა მიხეილ ლერმონტოვისა და სევერიანინის ლექსებს, რომლებიც თარგმნა ვახტანგ ლლონტმა.

ჟურნალი გვთავაზობს აგრეთვე შალვა კვასხვაძის, მურმან გორგოშაძისა და გიორგი გიორგაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს.

ალმანახი მხატვრულად გააფორმეს სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლემ მ. მახარაძემ და სტუდენტმა გ. გაბუნიამ.

წიგნის განხილვა

ქ. ბათუმის № 26 საშუალო სკოლაში მოეწყო საღამო, რომელზეც განიხილეს კრებული „იყო და მარად იქნება“. იგი

დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების 100 წლისთავს ეძღვნება.

დარბაზში ყლერს ქართული მელოდია. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან მოსწავლეები ვ. დუმბაძე, ა. ლომთათიძე, დ. ჯაბუა. მ. მოისწრაფიშვილი, რ. დუმბაძე, მ. მეფარიშვილი, რ. ლორთქიფანიძე, დ. დოლიძე და სხვები.

შემდეგ გამოვიდნენ მოსწავლეთა სტუმრები — რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრ. ხალვაში, პოეტი ჯ. ქათამაძე, კრებულის შემდგენელი მ. ვარშანიძე, აჭარაში ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ჰაიდარ აბაშიძის ქალიშვილი ლ. აბაშიძე, მთარგმნელი ი. გორაძე, მ. ვანლიში, ქ. ბათუმის № 14 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. რუხაძე, ქ. ბათუმის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი თ. ჩხატარაშვილი.

ხალიჩების მჭსოველი

მთაში ოდითგანვე მისდევდნენ ქსოვას, რომელიც თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

და, აი, შარშან კარგი საქმე გაკეთდა — შუახევის რაიონის სოფელ ზამლეთში ხალიჩების საქსოვი საამქრო გაიხსნა. მთიელ ქალიშვილებს ხალიჩების ხელით ქსოვა თუშმა ოსტატმა თამარ მაძლარაძემ შეასწავლა. ამ საქმეში თავი გამოიჩინა ბუთურაულელმა ეთერ მიქელაძემ. ფურტიოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სამი წელი კოლმეურნეობაში მუშაობდა. მუყაით ქალიშვილს ახალი გზა გაეხსნა თავისი ნიჭისა და უნარის გამოსავლინებლად. მალე დაეუფლა ახალ პროფესიას და უკვე ნახევარი წელია დამოუკიდებლად შეუდგა ხალიჩების ქსოვას.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზოიძე, დავით თედორაძე, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 15.4.81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.4.81. საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 1323, ემ 00609, ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის. 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118